


Royal District Theatre




თეატრი

Bughadze

stage-director G. Tava

NUZZAR AND MEPHISTO



ის

3
2004

სტუდიის

თეატრი

და

ცხოვრება

3

კერაქცოხი

გურამ ბათიაშვილი

ჯანსუღისპირის მდივანი

ნილო მაჭავარიანი

2004

**პაილი
ივნისი**

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“

1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი — საქართველოს თეატრალური საზოგადოება

შინაარსი

სთმშ კავშირის გამგეობის სხდომა	3
შესტს კავშირის ყრლობა	5
შესტს გამგეობის სხდომა	18

სპეცტაკლეზი

ნათუნა წულაძე — საფესტივალო მიმოხილვა	20
ნათია ყავლაშვილი — ნუგზარი და მეფესტოფელი	32
ანა ივანიშვილი — ახალი „ძველი სახლი“	36
თბილისის თეატრების რუკა	43

პორტრეტი

ნოდარ გურაბანიძე — „როცა ასეთი სიყვარულია“ (ესკიზი ნატალია ჩხიკვაძის პორტრეტისათვის)...	47
ნანა ქრელაშვილი — თამაშის აზარტული ტრფიალი	53

იუზილე

ოლლა თაბუკაშვილი — ქართული კინოს ლეგენდა (ნატო ვაჩნაძე-100)	62
ვასილ კიკნაძე — სახელოვანი 80 წელი	67

მეშუარეზი

ვასილ კიკნაძე — გამოთხოვება მოგონებებთან (გაგრძელება)	72
--	----

ხსოვნა

ნათელა ურუშაძე — ლილი ლომთათიძე	79
---------------------------------	----

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სხდომა

31 მაისს გაიმართა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის სხდომა.

დღის წესრიგში იყო ორი საკითხი:
1. გორის გერისთავის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია.

2. ყრილობის გამართვის თარიღის შესახებ.

გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი გაბილაიამ ისაუბრა თეატრის, მისი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის პრობლემებზე და აღნიშნა, რომ თეატრმა მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა 2003 წლის გაზაფხულზე. ნაცვლად ოთხისა, ექვსი წარმოდგენა დადგა. ერთი აღადგინა და თეატრის შემოსავალი 4700 ლარიდან 10700 ლარამდე გაზარდა. მისთვის თეატრს არ გადაუხდია 1700 ლარი. ახალმა გუბერნატორმა რაიონის გამგეობის სხდომაზე გაბილაია დაადანაშაულა 2001-2002 წლებში არსებულ ფინანსურ დარღვევებში და მოითხოვა მისი განთავისუფლება.

გამგეობის სხდომამ იმსჯელა ამ საკითხის გარშემო (გ.ლორთქიფანიძე, ა.ვარსიმაშვილი, ნ. არველაძე, გ.მარგველაშვილი) და დაადგინა, რომ თავმჯდომარე და რამდენიმე წევრი გორში გაემგზავრებიან საკითხის ადგილზე გასარკვევად.

მეორე საკითხის ირგვლივ ისაუბრა ავთანდილ ვარსიმაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ ყრილობის შემოდგო-

მაზე გადადების სურვილი გაჩნდა მას შემდეგ, რაც კავშირის სტატუსის საკითხი საეჭვოდ განისაზღვრა. ჯონი ხეცურიანთან და ელდარ შენგელაიასთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ არსებობს საჯარო სამართლის სუბიექტის ორი ფორმა — უწყებრივი და კორპორაციული. გარკვეული ჯგუფები პარლამენტში მუშაობენ, რომ კავშირი იყოს სახელმწიფოებრივი და არა საზოგადოებრივი, უწყებრივი და არა კორპორაციული. უნდა გადავიდეთ არასამთავრობო ორგანიზაციების სივრცეში. ეს ცვლილებები რამდენიმე კვირაში გაირკვევა. ახლანდელი კანონებით — აღნიშნა ვარსიმაშვილმა, — არასახელმწიფოებრივი სექტორი ვართ და რალაც კოდებია, რაც ხელს ვერ შეგვიშლის.

გიორგი მარგველაშვილმა ისაუბრა კავშირებისა და შემოქმედებითი კავშირების წესდებათა შორის სხვაობის შესახებ და შესთავაზა გამგეობას, რომ თუ ორგანიზაციის სახელწოდებიდან ამოვიღებთ სიტყვა „შემოქმედებითს“, კანონს შემოქმედებითი კავშირების შესახებ აღარ დაეკეცვმდებარებით და მეტი გასაქანი გვექნება, რასაც თავმჯდომარე გ.ლორთქიფანიძე კატეგორიულად არ დაეთანხმა.

მსახიობმა ნანა ფაჩუაშვილმა აღნიშნა, რომ მსახიობების უფლებები შეიზღუდა თეატრში. მისი აზრი განავრცო ნათელა ურუშაძემ, რომელმაც აღნიშნა ასევე, რომ ყველაფერზე ვსაუბრობთ, გარდა იმ 1500 წევრისა, რომელთაც

1921

საქართველოს
კავშირების
გამგეობის
სხდომის

უნდა გააკეთონ არჩევანი.

გიორგი მარგველაშვილმა მოითხოვა, რომ თავმჯდომარეობის მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამა და ეყაროს კენჭი პროგრამას და არა პიროვნებებს.

ვასილ კიკნაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ყრილობის გადადების შესახებ, რომელიც დაასაბუთა რამდენიმე მოსაზრებით — ივნის-ივლისის თვეებში მისი ჩატარების შეუძლებლობა თეატრალურ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისა და თეატრებში სეზონის დახურვის გამო. აგვისტო — თავისუფალი თვეა და ამდენად, ლოგიკურად მიიჩნია ყრილობის სექტემბრის დასასრულს ან ოქტომბრის დასაწყისში გადატანა.

დავით ანდღულაძემ მოითხოვა, რომ შემოღებული იქნას კოლექტიური მმართველობა, რომელშიც შენარჩუნებული იქნება გ.ლორთქიფანიძე თავისი დიდი ავტორიტეტით. მან მიიჩნია, რომ კავშირს უნდა

მართავდეს ხუთკაციანი ჯგუფი, ე.წ. „ბორდი“, სამეთვალყურეო საბჭო.

გამგეობამ იმსჯელა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის თაობაზე, რაზედაც იურისტ აკაკი ენუქიძეს მოსთხოვა განმარტება რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა გიგა ლორთქიფანიძემ ისაუბრა კავშირის დარბაზის რეკონსტრუქციის თაობაზე, ე.წ. „მკვდარ“ ობიექტებზე და მათი სავარაუდო გამოყენებისა და სპონსორთა მოზიდვის თაობაზე. საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო გამგეობის ყველა წევრმა. კოტე ნინიკაშვილმა მიზანშეწონილად მიიჩნია ყრილობის უახლოეს ხანს ჩატარება — საორგანიზაციო მუშაობა უკვე განუვლია, ყველაფერი მზად გვაქვს და გადადება საქმის ჩაშლას ნიშნავსო.

გამგეობამ დაადგინა: სთმშ კავშირის ყრილობა გაიმართოს 7 ივნისს, მსახიობის სახლში.

შემაჯავებელი კავშირი — „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ ყრილობა

2004 წლის 7 ივნისს ჩატარდა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ყრილობა. ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნა 297 თეატრალური მოღვაწე. რეგისტრაცია გაიარა 236 დელეგატმა.

ყრილობა უფლებამოსილი გახდა შედგომოდა მუშაობას.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ გიგა ლორთქიფანიძემ. მისი წინადადებით ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა პროფესორი ვასილ კიკნაძე: 123 წლის წინ გაიმართა თეატრის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. 123 წლის წინ საფუძველი ჩაეყარა თეატრის მოღვაწეთა თანამოაზრეობას, ურთიერთობას. ჩვენმა საზოგადოებამ დღემდე დიდი ჭაპანი გახსნია. მის სათავეში იდგნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ამ დღიდან მოყოლებული თეატრალური კავშირის ხელმძღვანელები იყვნენ საქართველოს გამოჩენილი პიროვნებები. ასე იყო მე-19 საუკუნეში, ასე იყო კომუნისტურ სისტემაში და ასეა დღესაც, ასე რომ, ეს დიდი ტრადიცია დღეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. რთულ პერიოდში ვცხოვრობთ, საზოგადოებაში გაიღვიძა აგრესიამ, მაგრამ სასიხარულოც ბევრი ხდება. ამის მაგალითად აჭარაც გამოგვადგებოდა. ოსეთის პრობლემაც იმედს გვაძლევს იმისა, რომ იწყება ქართველი ხალხის კონსოლიდაცია, გაერთიანება. ჩემი სურვილია, დღევანდელი ყრილობა იყოს ნაკლებად ემოციური, ვინაიდან ჩვენ ისედაც საკმაოდ ემოციურები ვართ. მინდა ვიყოთ რაც შეიძლება რაციონალურები, რათა მომავალმა თაობამ შეაფასოს (ყრილო-

ბის მსვლელობა ფირზე იწერება), რაოდენ ღირსეულად ჩატარდა ეს ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგშია: 1. სამანდატო კომისიის არჩევა. 2. წესდების ახალი რედაქციის განხილვა — დამტკიცება. 3. სთმშ/კ-ის თავმჯდომარის ანგარიში. 4. რეგლამენტის დამტკიცება და 5. არჩევნები. თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიშვა, იურისტი დაგვეხმარება მის გადაწყვეტაში. ამასთანავე, უნდა ავირჩიოთ ყრილობის მდივანიც. არის წინადადება, რომ ავირჩიოთ ქ-ნი **ნანა ჯიქურაშვილი**. (თავმჯდომარემ კენჭი უყარა კანდიდატურას) უნდა ავირჩიოთ სამანდატო კომისია. არის წინადადება, მისი შემადგენლობა განისაზღვროს სამი კაცი: **გიორგი ცქიტიშვილი, სანდრო მრეველიშვილი, გია კიტია**. (თავმჯდომარემ კენჭი უყარა კანდიდატურებს). ახლა გადავდივართ მეორე საკითხზე — წესდების ახალ რედაქციაზე, იგი გამოქვეყნდა ყურნალში — „თეატრი და ცხოვრება“ და გამგეობის ყველა წევრს დაურიგდა. შეიქმნა კომისია, რომელმაც განიხილა და გამგეობაზე გამოიტანა წესდების ეს პროექტი. დარწმუნებული ვარ, ვისაც აინტერესებდა, გაეცნობოდა მის ტექსტს ათი დღის განმავლობაში და იმედია, დღეს თავიანთ მოსაზრებებსაც გაგვაცნობენ. ზოგადად შეგახსენებთ ზოგიერთ ცვლილებას: 1. კავშირი არც ეყოდა (რაც ადრე წესდებით ევალეობოდა) და არც ამჟამად ერევა თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაში, რაც შელახავდა მის ავტონომიურ უფლებებს. ასეთი ზოგადი საკითხები ამოღებულ იქნა. ადრე თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა იყო 5 წელი, პროექტში არის 3 წელი, ორჯერ არჩევის უფლებით. ადრე იყო პრეზიდიუმი, შემდეგ იყო გამგეობა და სამდივნო. ახალ

პროექტში გამგეობა განისაზღვრა 61 წევრის შემადგენლობით და მათგან 11 უნდა იყოს პრეზიდიუმის წევრი. სხვა მხრივ პროექტი შეესაბამება კანონს შემოქმედებითი კავშირების შესახებ.

გთხოვთ, გამოთქვათ აზრი — დავამტკიცოთ წესდების პროექტი თუ ვიკამათოთ მის ირგვლივ? წესდების პროექტი ორჯერ განვიხილეთ გამგეობის სხდომებზე, 10 დღით ადრე უნდა შემოეტანათ წინადადებები ცვლილებების თაობაზე, მაგრამ არ შემოსულა.

მერაბ გეგია: ვის ჰქონდა ეს 10 დღე. მაინტერესებს, ყველას გაქვთ ეს წესდება ნაკითხული? მე ვარ დელეგატი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი და ჩემამდე ეს წესდება არ მოსულა, მაგრამ ვინაიდან წინა წესდებას ვიცნობ, ვთვლი, რომ საგრძნობლად გაუარესებულია. მოვასწარი წესდების გაცნობა, რადგან 11 სთ-ის ნაცვლად, ყრილობა 12-30 წთ-ზე დავინწყეთ. (ყრილობა დაიწყო მხოლოდ ნახევარი საათის დაგვიანებით, 11.30 წთ-ზე — რედ.). წინა წლებში გარკვეული იყო ორი რამ: რისთვის არსებობს თეატრალური კავშირი და რა დანიშნულება აქვს მას. ეს არის ყველა თეატრის დაცვისათვის შექმნილი შემოქმედებითი კავშირი. ეს მთავარი იდეაა.

სად გაქრა პროცენტული განაკვეთი, რომელიც შეაქვს ყოველ წევრს? სად გაქრა მითითება, რას იხდიან თეატრები? მომეჩვენა, რომ წლებანდელი წესდება არის ამორფული და ძნელად აღსაქმელი. კავშირმა უნდა დაიცვას ჩვენი უფლებები, შეაფასოს ჩვენი საქმიანობა სხვადასხვა პრეზიდიუმსა თუ ჯილდოს სახით.

წესდების ირგვლივ კამათში ასევე მონაწილეობა მიიღეს დავით ანდლულაძემ და ანდრო ენუქიძემ. კამათი შეეხებოდა საკითხს, თუ ვინ აირჩევდა პრეზიდიუმს — ყრილობა თუ გამგეობა. წესდების პროექტის მიხედვით ყრილობა ირჩევს გამგეობას, გამგეობა — პრეზიდიუმს. ასევე დადგა საკითხი, რომ თეატრალური საზოგადოების მართვისათვის უარი გვეთქვა და შექმნილიყო

ერთგვარი მმართველობითი — 5 კაციანი ორგანო. იურისტის განმარტების შემდეგ ყრილობის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს. ყრილობამ წესდება მიიღო ჩასწორების გარეშე.

ყრილობამ განსაზღვრა მომხსენებლისა და მოკამათეთა რეგლამენტი, მოხსენებისათვის — 50 წთ. გამომსვლელთათვის — 5 წთ. განცხადებისათვის 2-3 წთ.

ყრილობამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ პერიოდში გარდაცვლილი თეატრალური მოღვაწეების: ზურაბ ანჯაფარიძის, მარინე თბილელის, მზია მახვილაძის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, იური ზარეცკის, ვაჟა ბრეგაძის, ია გამრეკელის, ნოდარ ჩაჩანიძის, ბარბარა იანვარაშვილის, ნოდარ ჰაჩნაშვილის, გაიოზ გოგიბერიძის, ოთარ რეხვიაშვილის, ნანა ხატისკაცის, თენგიზ მაისურაძის, თამარ თეთრაძის, ვიქტორ ნინიძის, გიგოლა თალაკვაძის, ლუბა უგულავას, დათო გაჩეჩილაძის, გოგი გეგეჭკორის, ლერი პაქსაშვილის, კოტე მახარაძის, ანზორ ქუთათელაძის, პეტრე წულაიას, გივი ახმეტელის, ელენე საყვარელიძის, ლერი გაფრინდაშვილის, იზა გიგოშვილის, დათო ტურიაშვილის, ლალი ყურულაშვილის, კოკა იგნატოვის, იური ჩიკვაიძის, კობა კობეშიას, ნელი მგალობლიშვილის, ვახტანგ სალარიძის, ჯემალ მდივანის ნათელ სსოვნას.

სიტყვა საანგარიშო მოხსენებისათვის
ედღევა კავშირის თავმჯდომარეს, საქართველოს სახალხო არტისტს **გიგა ლორთქიფანიძეს:**

— ჩემი მასწავლებელი ალექსეი პოპოვი ამბობდა, უკეთესად რომ ვიცხოვროთ, უფრო ხშირად უნდა ვიაროთ სასაფლაოზეო. გთხოვთ, ნუ დავემსგავსებით სხვა კავშირებს, და ღირსეულად ჩავატაროთ ჩვენი ყრილობა, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

დათო ანდლულაძის მიერ ხსენებული მოგონებების საღამოების გარდა, ჩვენ სხვა მრავალი ღონისძიებაც გავმართეთ. თეატრალური კავშირის მოღვაწეობის ბოლო წლები საკმაოდ რთუ-

ლი იყო. რა თქმა უნდა, კავშირის მუშაობა იმ მასშტაბით ვეღარ მიმდინარეობდა, როგორც ადრეულ წლებში. ადრე ჩვენ ვიყავით მდიდარი ორგანიზაცია, გვექონდა წარმოება, გვექონდა შემოსავლები. მაშინ ეს იყო ერთადერთი კავშირი ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც პენსიაზე გასულ წევრს დანამატს უხდიდა. თუ პენსია იყო 150 მანეთი, მსახიობებს და რეჟისორებს კი ხელფასი ჰქონდათ 400 მანეთი, 250 მანეთს უმატებდა თეატრალური საზოგადოება. წარმოება მთელს საქართველოში გაჩერდა და ჩვენთან რაღა მოხდებოდა?! ადრეულ წლებში მზა პროდუქციის გასაღება გეგმაზომიერად ხდებოდა. დღეს ჩვენი წარმოება ვერ უწევს კონკურენციას უცხოურ პროდუქციას. მაგალითად, თუ ქურთუკი ჩვენს წარმოებას უჯდება 50 ლარი, უცხოეთიდან ის მეთედ ფასში შემოაქვთ. ამდენად, წინათ თუ ბრძოლა იყო ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე, ახლა ის აღარავის სჭირდება. ქარხანა, რომელიც გვაქვს, ჩვენ კი არ გვინახავს, ჩვენ ვინახავთ მას, რადგან მას დაცვა ესაჭიროება, რომ არ განიავდეს. გვექონდა სამი მაღაზია, სადაც ჩვენს პროდუქციას ვყიდდით, მაგრამ ისინი ქალაქს ეკუთვნოდა. როდესაც გამოცხადდა საყოველთაო პრივატიზაცია, იქ მომუშავე კოლექტივებმა შეისყიდეს ისინი. რაც შეეხება მინიშნებით ნათქვამ „ბერიკონს“, ერთმა მთავრობამ მოგვცა ის, მეორემ კი წაგვართვა.

ჩვენი ძირითადი ქონებაა, — აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სამსართულიანი, 3200 მ² ფართის შენობა, შეფასებული 296000 ლარად; მსახიობის სახლი ქუთაისში, ორ სართულიანი შენობა — 420 მ², 91000 ლარი; აჭარის განყოფილების ოფისი, რომელშიც შეჭრილია აჭარის თეატრალური კავშირის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ცინცქილაძე. მართალია, ის არ არის ჩვენი საკუთრება, მაგრამ სახელმწიფომ გადმოგვცა, რათა საჭიროებისამებრ გამოგვეყენებინა. ცინცქილაძეს არ ჰქონდა უფლება მიეთვისებინა ეს ფართი მაშინ, როცა აჭარის თეატრალურ კავ-

შირს უკვე ახალი თავმჯდომარე ჰყავს. თბილისის სანარმოო კომბინატი, უზარმაზარი შენობა ეზოთი, 28000 ლარის ღირებულების; ქუთაისის სანარმოო კომბინატი — ორსართულიანი შენობა 2200 მ² ფართით, საბალანსო ღირებულება 55000 ლარი; კაფე-ბარი „დურუჯი“ — 25000 ლარი; დასასვენებელი სახლი მანგლისში — ორსართულიანი შენობა — 8000 ლარი; გვექონდა ბობოყვათის შენობა, იგი დაშალეს და ქვიშაა იქ ახლა. იმედი მაქვს, აჭარაში მდგომარეობა, რომ შეიცვლება, გვეშველება. მას შემდეგ, რაც კონფლიქტი მოხდა, არ ვყოფილვარ ბათუმში. ამჟამად, იქ არსებულ სანარმოო კომბინატში (170000 ლარი საბალანსო ღირებულება) ლტოლვილები არიან შეჭრილები.

გვექონდა სოხუმში დასასვენებელი სახლი, შეფასებული 21000 ლარად. იქ დავინწყეთ ხუთსართულიანი სანატორიუმის აშენება. ხუთივე სართულის ამოყვანა დაგვიჯდა 32000 ლარი. გვეკუთვნოდა აგრეთვე სოხუმის სანარმოო კომბინატი და ცხინვალის სამსართულიანი სანარმოო კომბინატი.

1650500 ლარის ქონება გვაქვს სულ. არც ისეთი ღარიბი დანესებულება ვართ, თუ მოვიხმართ სათანადოდ. დღესდღეობით, ჩვენი შემოსავლები მხოლოდ მსახიობის სახლის ნაწილობრივი გაქრავებით შემოიფარგლება. ასე ვშოულობთ ქართული თეატრის დღის ყოველწლიური პრემიების თანხებს, გაცემთ დახმარებებს. მხოლოდ წელს, დახმარების სახით 13000 ლარია გაცემული. „დურუჯში“ 100 კაცზე უფასო სადილებს ვმართავთ და გაჭირვებული ხალხი დადის 5-6 კილომეტრიდან. საანგარიშო პერიოდში პრემიები — 1044 ლარი გაიცა. გაზეთი „ქართული თეატრის დღე“ წელს ასგვერდიანი იყო. შევინარჩუნეთ „თეატრი და ცხოვრება“ — ერთადერთი ჟურნალი, რომელშიც თეატრის შესახებ სამეცნიერო შრომები იბეჭდება. ჟურნალი „ხელოვნება“ კი დაიხურა. 14500 ლარი დაჯდა ჩვენი ჟურნალის შენარჩუნება. გორში, ქუთაისში, მცხეთაში ჩატარდა თეატრის დღეები. ჩატარდა ფესტივალები. რუსთავის ფესტივალში

მონაწილეობა არ მიგვიღია, რადგან შედეგები არაობიექტურად იქნა შეფასებული. ბორჯომში, გურჯაანში, ვანში მოყვარულთა თოჯინური თეატრების ფესტივალები ჩატარდა.

მოსკოვში ჩეხოვის სახელობის ფესტივალზე მივლინებული იყვნენ გამოჩენილი მოღვაწეები (თავმჯდომარემ ჩამოთვალა მათი გვარები).

კარგი იქნებოდა, კავშირის შენობა გადაქცეულიყო მომავალში თეატრალურ ცენტრად, სადაც ყველა თეატრი უჩვენებდა თავის სპექტაკლებს. ამას სჭირდება ახალი ტექნიკა და აღჭურვილობა. დღეს ყველაზე მომგებიანია კინო. ამიტომ, უნდა შევიძინოთ კინო-ტელე აპარატურა. ჩვენ წარმოებას ვერასოდეს განვაერთარებთ. თუ შეველევიტ მას, შეიძლება მოვანყოთ კინოჩვენებები, ტელეჩვენებები, სპექტაკლების პრემიერები. ამით კავშირის შემოსავლებიც გაიზრდება და ფუნქცია გაფართოვდება. ოღონდ ღირსეულად ჩავატაროთ ყრილობა და მომხრე ვარ იმისაც, რომ აღარ ვიყარო კენჭი. ვცდილობდი, მთელი ცხოვრების მანძილზე თაობებს შორის ურთიერთობა მქონოდა, დამეცვა მსახიობის უფლებები. ჩავატაროთ, გნებავთ ღია კენჭისყრა, გნებავთ — ფარული. მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

სარდაფის თეატრის რეჟისორმა ოთარ ეგაძემ გორის თეატრის ხელმძღვანელის გიორგი გაბილიას შესახებ ისაუბრა. სიტყვით გამოვიდა გ. გაბილიაც.

დიმიტრი ჯაიანმა გულისტკივილით ისაუბრა რუსთავის თეატრალური ფესტივალის უიურის არასწორი გადწყვეტილებების შესახებ და წამოჭრა ზუგდიდის თეატრის პრობლემა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ელიკო ასლამაზაშვილმა, ნოდარ იაკობაძემ, ალექო ჯანელიძემ, ლევან როსვაძემ.

ყრილობა გადავიდა დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე: თავმჯდომარის არჩევნები. ყრილობის თავმჯდომარემ ვასილ კიკნაძემ დელეგატებს სთხოვა დაესახელებინათ კავშირის თავმჯდომარის კანდიდატურა.

გიორგი ქავთარაძე: ყველამ ვიცით, რომ დღეს ყრილობის ძირითადი საკ-

ითხი არის თავმჯდომარის, გამგეობისა და მისი პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის არჩევა. მე გამოვდივარ წინადადებით, ბატონ გიგას დავუჭიროთ მხარი. შევეცდები დავასაბუთო ჩემი წინადადების საფუძვლიანობა. ის არის აქტიური კაცი, შესანიშნავი მოღვაწე, რაშიც ყველა დამეთანხმება. განსხვავებული აზრი არც იმ ხალხს ექნება, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგნი იყვნენ. ბატონი გიგა ფლობს ერთ ძალიან კარგ თვისებას — ის არის ყველა თქვენთაგანის, იმ 236 კაცის (აქ რომ მოვიდნენ) თავმჯდომარე, რომელიც გვეერთიანებს ჩვენ. მე არ ვიცი კიდე ვინ დასახელდება, მაგრამ ვინც უნდა იყოს, ასეთი გამაერთიანებელი ვერ იქნება. სანამ ბატონი გიგა ჩვენს გვერდითაა, არა მხოლოდ რესპუბლიკაში, არამედ კონფედერაციაშიც ნაგვადდება. ყველამ არ იცის, რომ ამ შენობაში ყრილობასაც ვერ ჩავატარებდით, რადგან შენობას ჰქონდა ელექტროენერჯის უზარმაზარი დავალიანება 10000 დოლარის ოდენობით. ბ-ნ გიგა დაუკავშირდა კონფედერაციის თავმჯდომარეს კირილ ლაზროვს, ლაზროვი დაუკავშირდა ანატოლი ჩუბაისს და მისი დიდი ავტორიტეტის გამო, ეს თანხა გადმოგირიცხეს. ეს თითქოს პატარა რალაცაა, მაგრამ ბევრ რამეზე მეტყველებს. ამიტომ, მე მხარს ვუჭერ ბატონი გიგას კანდიდატურას (ტაში).

ლილი იოსელიანი: ვთვლი, რომ სანამ გიგა ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ის უნდა იყოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელი. ამისათვის უამრავი მიზეზი არსებობს: პირველ ყოვლისა, მისი ნიჭიერება, ორგანიზატორული ნიჭი, გულისხმიერება, მხარდაჭერა. მან იცის ხელოვნების საიდუმლობა — ის გზა, რომლითაც თეატრი შეიძლება წავიდეს წინ.

მედეა კუჭუხიძე: მე გამოვდივარ გიგა ლორთქიფანიძის მხარდასაჭერად და გავიმეორებ ქ-ნ ლილის, ჩემი მასწავლებლის ნათქვამს იმის შესახებ, რომ ბ-ნ გიგა არის ნიჭიერი რეჟისორი, ნამდვილი შემოქმედი, არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული. რე-

უისურა არის პროფესია, თეატრის ხელმძღვანელობა კი სხვა პროფესიაა. შეიძლება კარგი რეჟისორი იყო, მაგრამ თეატრის ხელმძღვანელობა არ შეგეძლოს, მითუმეტეს, ისეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, როგორც თეატრის მოღვაწეთა კავშირია. ბ-ნ გიგას აქვს იშვიათი თვისება სხვისი ტკივილი საკუთარ ტკივილად გაიხადოს, უფრო მეტად დაიცვას სხვისი ინტერესები, ვიდრე თავისი. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, დავფიქრდეთ, როცა კანდიდატურებს დავასახელებთ, მითუმეტეს, კენჭისყრის დროს, გააჩნიათ თუ არა ეს თვისებები იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ პრეტენზია იყვნენ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეები.

ყრილობაზე გამოსულმა მსახიობებმა **გურანდა გაბუნია** და **პალიკო ნოზაძე** მხარი დაუჭირეს გიგა ლორთქიფანიძის კანდიდატურას. მხატვარმა **შოთა გლუჯიძემ** ისაუბრა თავისი მეგობარი რეჟისორების — ლევან ნულაძისა და ოთარ ეგაძის პოზიციაზე და თანადგომა გამოუცხადა გიგა ლორთქიფანიძეს (სამწუხაროდ, ამ თეატრალურ მოღვაწეთა სრულ ტექსტს მკითხველს ვერ ვაწვდით — ისინი მიკროფონისგან შორს იდგნენ და გამოსვლის ჩანერა ვერ მოხერხდა. რედ.)

გიორგი შალუტაშვილი: მე მომხრე ვარ იმისა, რომ აქ არ იყოს პერსონალიზაცია საუბარი. ბ-ნ გიგას დამსახურების აღნიშვნა უხერხულიც კი არის ჩვენს საზოგადოებაში. ყველა კარგად ვიცნობთ მას, მაგრამ ვთვლი, რომ უნდა მივიღოთ კონსტრუქციული გადაწყვეტილება და მხარი დავუჭიროთ არა პროფესიებს, არამედ კავშირის განვითარების პროექტებსა და პროგრამებს, რათა ხვალ და ზეგ არ ვნახოთ ჩვენი თეატრები და ჩვენი თეატრის ხალხი მუხლებზე დაჩოქილი. ერთადერთი პროექტი, რომელიც ხელში ჩამივარდა, ავთო ვარსიმაშვილის პროექტია და მინდა გითხრა, რომ ეს არის შეჯერებული პროექტი და არა მხოლოდ მისი. ამიტომ მხარს ვუჭერ ამ პროექტს. მისი 60-70% რომ განხორციელდეს, ძალიან კარგად იქნება საქმე.

ჩემი სამი თაობის სტუდენტობამ ადგილი მონახა თავისი შემოქმედებით ენერჯის გამოსავლენად ავთო ვარსიმაშვილის თეატრში. მე მომხრე ვიყავი, არ დასახელებულიყვნენ პროფესიები და ინკოგნიტოდ ყოფილიყო ყველაფერი, რადგან მთავარი კავშირის განვითარების პროგრამაა. რა თქმა უნდა, ავთო ვითონ ნაიკითხავს თავის პროგრამას.

სიტყვა ეძლევა კავშირის თავმჯდომარეობის კანდიდატს ალ. გრიბოედოვის სახ. რუსული სახელმწიფო თეატრისა და თავისუფალი თეატრის ხელმძღვანელს **ავთანდილ ვარსიმაშვილს**.

ა. ვარსიმაშვილმა საუბარი დაიწყო კავშირის ძირითადი ფუნქციის თაობაზე და აღნიშნა, რომ კავშირის წევრთა თანამდებობაზე დანიშვნები და განთავისუფლებები არ უნდა ხდებოდეს კავშირის გვერდის ავლით.

— ასევე, არ უნდა ხდებოდეს პარლამენტში თეატრალური კანონების და დებულებების მიღება. ეს საკითხი თავად კავშირმა უნდა გადამწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვღებულობთ იმ შედეგებს, რაც დღეს სახეზეა. კავშირი უნდა იყოს ადმინისტრაციული მართვის უშუალო მონაწილე, სავალდებულო არ არის ბოლომდე გაითვალისწინონ მისი აზრი, მაგრამ ჰკითხონ მაინც. ეს, რაც შეეხებოდა კავშირის წევრთა და ვითონ ორგანიზაციის დაცვას, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ მას უახლოეს პერიოდში. რაც შეეხება კავშირის შემოქმედებით მუშაობას, მის პოპულარიზაციას, რაც ჩვენ გვგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა აღსდგეს კრიტიკოსების მივლინებები რეგიონალურ თეატრებში. ადრე ისინი წერდნენ სტატიებს რეგიონის თეატრების სპექტაკლებზე. რეგიონალური თეატრები ამჟამად გრძნობენ თავს მიტოვებულად და დაჩაგრულად. რეგიონის ყველა პრემიერა უნდა ფიქსირდებოდეს. ისინი უშვებენ სპექტაკლებს, მაგრამ არაფერი ინერება. ეს კი მათი გულისტკივილია, ეს ქართული თეატრის გულისტკივილია. ყველა პრემიერა რეგიონში უნდა რჩებოდეს ისტორიაში. ტრადიცია უნდა აღსდგეს.

კავშირისათვის აუცილებელი პრიორიტეტია კონფედერაციაში ყოფნა, რასაც ბატონი გიგა ბრძანებდა, ჩვენც მხარს ვუჭერთ ამ პრიორიტეტს, მაგრამ ამავე დროს გთავაზობთ სხვა ქვეყნების თეატრალურ კავშირებთან ურთიერთობას. არსებობს უამრავი კავშირი, რომლებთანაც ჩვენს კავშირს დღემდე არა აქვს ურთიერთობა. ამან შეიძლება ძალიან ბევრი მოგვცეს. მოვიტან თურქეთის მაგალითს, პრაქტიკულად ეს არის აუთვისებელი ყამირი ჩვენთვის — თეატრის მოღვაწეებისათვის. მე შევხვდი მათ მინისტრს. თქვენთვის ცნობილია, ჩვენმა თანამემამულეებმა რობერტ სტურუამ და ანდრო ენუქიძემ გახსნეს იქ სარეჟისორო ფაკულტეტი, სადაც მათ გარდა მოღვაწეობენ ჩვენი რეჟისორები — გია ანთაძე, ცოტნე ნაკაშიძე და სხვ. თურქები მზად არიან გახსნან ბაზარი ქართველი ხელოვანებისათვის. ისინი აღიარებენ ქართული თეატრის პრიორიტეტს. თურქეთში ეწყობა 18 თეატრალური ფესტივალი. ეს ქვეყანა ფინანსურად საკმაოდ ძლიერია და ყველა ამ ფესტივალზე ისინი თანახმანი არიან, მიიწვიონ ქართული თეატრები. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს თეატრალური ურთიერთობები, საგარეო კავშირები, რომელთა დამყარება პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რის გარეშეც ჩვენი კავშირი ვერ იარსებებს და დაემსგავსება რაღაც ამორფულ ორგანიზმს.

სასწრაფოდ უნდა დავინყოთ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გაახალგაზრდავების პროცესი. რეალობა სახეზეა — ყველაზე ახალგაზრდა წევრი 38-40 წლისაა. თბილისში, ჩვენს თვალწინ წარმოიქმნა შემოქმედებითი ჯგუფები: ანდრო ენუქიძის, გიორგი შალუტაშვილის, გოჩა კაპანაძის, დათო დოიაშვილის და სხვ. არ მინდა ვინმე გამომჩიეს. დღევანდელი ქართული თეატრის მოღვაწეთა დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა და ისინი არ არიან კავშირის წევრები. ჩემი თხოვნით შემოქმედებითი ჯგუფების ხელმძღვანელები რამდენიმე დღის წინ განწვრიანდნენ და მინდა, რომ მათ მიმართონ თავიანთი ჯგუფის

წევრებს, რომ ისინიც შემოვიდნენ კავშირში. ბევრმა მსახიობმა ისიც კი არ იცის, სად მდებარეობს კავშირის შენობა.

ძალიან კარგი ფაქტია, რომ წელიწადში ერთხელ გამოდის ჩვენი გაზეთი „ქართული თეატრის დღე“, მაგრამ ვფიქრობ, ქართული თეატრი ღირსია, ჰქონდეს ყოველთვიური გაზეთი. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ გამოდის ორ თვეში, ხანდახან, სამ თვეში ერთხელ, ვფიქრობ, რომ ჯერ ყოველთვიური უნდა გახდეს ჟურნალი, ხოლო თეატრალური გაზეთი კი მომავალში ორ კვირაში ერთხელ უნდა გამოვიდეს.

ვიცი, გაჩნდება შეკითხვა, რა თანხებით შევძლებთ მის დაფინანსებას. მჯერა, რომ თუ ეს პროცესი დაიწყება, თანხებიც მოიხაება. მე შემიძლია გითხრათ ერთ-ერთ მცდელობაზე. ვესაუბრე რამდენიმე გაზეთის რედაქტორს გაზეთის დამატების შექმნის თაობაზე. საუბარია იმ გაზეთებზე, რომელთაც აქვთ დიდი ტირაჟი. მათ შეგვთავაზეს რედკოლეგიის შექმნა კავშირის ბაზაზე. ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი.

მეორე ვარიანტი გრანტების მოზიდვაა. პრესის მუშაკებმა იციან, რომ არსებობს გრანტები. განა ჩვენ ოდესმე შეგვიტანია საბუთები, რომ მოგვეპოვებინა ისინი იმისათვის, რომ დაგვეარსებინა ყოველთვიური გაზეთი? განა არ ვართ ღირსნი, რომ ყოველთვიურად ინერებოდეს რეცენზიები? ჩვენი კრიტიკოსები გახდნენ უმოქმედონი. გაზეთები არ ბეჭდავენ ვრცელ რეცენზიებს, მათ მხოლოდ ჟურნალისტური ჩანახატები სჭირდებათ. აღარ არსებობს პროფესიული პრესა. არსებობს მხოლოდ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელიც შემოსულ მასალებს ვერ იტევს. ამიტომ, გაზეთის დაარსება საჩქარო საქმეა.

რაც შეეხება 14 იანვრის დღესასწაულს, ქართული თეატრის დღეს. ვფიქრობ, რომ ის გაცილებით პომპეზურად უნდა ჩატარდეს. რადიკალურად უნდა შეიცვალოს მისი ორგანიზება. ჩვენ უნდა შევქმნათ ყიური, რომელშიც შევლენ კრიტიკოსები, რომლებიც დაასახელებენ

ღირსეულ სპექტაკლებს. ამ დღის ღირსეულად ჩატარება ქართული თეატრის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და ის გახდება არა ჩვენი, არამედ ქართველი ხალხის საყოველთაო ზეიმი.

შემდეგი პრობლემა, რომელიც აქვს დღესდღეობით ქართულ თეატრს, არის რეკლამა. ჩვენ გვაქვს რეკლამა „რუსთავი-2“-ზე, მაგრამ ყველა თეატრს სჭირდება რეკლამა. თეატრალური კავშირი ყოველდღიურად უნდა აკეთებდეს თეატრალურ აფიშას, სადაც თეატრები უსასყიდლოდ განათავსებენ თავიანთ სარეკლამო კლიპებს. ეს უნდა მოხდეს არა მარტო ცენტრალურ ტელევიზიაში, არამედ რეგიონულ ტელევიზიაშიც. მაღლობა ღმერთს, ყველა ქალაქშია ტელევიზია. საჭიროა მათთან მოლაპარაკება, რათა ისინიც ყოველდღე უშვებდნენ თეატრალურ აფიშას. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება პოპულარიზაცია, გვჭირდება ხალხთან მისვლა, ისევე, როგორც ხალხს სჭირდება ჩვენთან მოსვლა.

რაც შეეხება მსახიობის სახლს, აი, ამ სცენას, სადაც მე ვდგავარ. მივესალმები ამ შეხვედრებსა და ბენეფისებს, აქ რომ იმართება, მაგრამ, ვფიქრობ, ეს დარბაზი უნდა გახდეს თანამედროვე ქართული დრამატურგიის ლაბორატორია. ეს უნდა იყოს მისი მთავარი ფუნქცია. ვიცით, რომ დათო საყვარელიძე უკვე ატარებს ექსპერიმენტებს ამ მიმართულებით. მან ჩამოაყალიბა ასეთი ლაბორატორია და ჩემი სურვილია, მისთვის მიგვენდო ეს საქმე. საჭიროა აქ ტარდებოდეს პიესების ყოველთვიური კითხვა, რათა ამ დარბაზში იმუშაონ თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე. რა თქმა უნდა, ეს არ გამოორიცხავს ექსპერიმენტულ სპექტაკლებს.

რაც შეეხება დარბაზის რეკონსტრუქციას, ჯერ ერთი, დათო ამბობს, რომ თუ ის შემოვა თავისი ლაბორატორიით, თანხის რაღაც ნაწილსაც შემოიტანს. ჩვენ ხშირად ვაკრიტიკებთ სოროსის ფონდს. ისიც რომ დაგვეხმაროს, რა არის ამაში ცუდი? სოროსის ფონდი კი არა, ადოლფ ჰიტლერის ფონდი რომ იყოს, თუკი მოგვეცემს თანხებს, ეს

დარბაზი რომ გავარემონტოთ და მოვანესრიგოთ, მე ყველაფერზე თანახმა ვარ. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ყველაზე აუცილებელი და სასწრაფო საქმე კავშირისთვის არის, დაინყოს ქართული თეატრის კომპიუტერული საიტის შექმნა, სადაც შეტანილი იქნება ყველა მსახიობისა თუ რეჟისორის საქმიანობა ფოტოებით, ბიოგრაფიებით. ეს უზარმაზარი საქმეა და უნდა გაკეთდეს, ვინაიდან ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ეს საიტები არსებობს.

და ბოლო საკითხი — დარბაზისა და მესამე სართულის გაქირავებით შემოსული თანხებით უნდა შეიქმნას სადადგმო ფონდი. ჩვენ გვჭირდება მცირე გრანტიებიანი ფონდი, რომელიც მიეცემა დადგმებისათვის არა მარტო ახალგაზრდა, არამედ გამოცდილ რეჟისორებსაც რეგიონალურ თეატრებში. სასურველია ერთხელ მაინც კვარტალში რამდენიმე, დაახლოებით 3-4 ათასიანი გრანტი. საინტერესო პროექტებზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენ არ ვიცით რა ფონდი გვაქვს კავშირში, რა ქონებას ვფლობთ, ჩვენ არ ვიცით კავშირის რეალური ბიუჯეტი. ყველა გეგმა კავშირის ქონების გაუთვალისწინებლად წარმოვადგინე. ეს არის სხვადასხვა რესურსი და ძალისხმევა, რომლის გარეშეც არაფერი კეთდება. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა კავშირმა დაიბრუნოს ავტორიტეტი. მე არ მრცხვენია, ვთქვა - დაიბრუნოს ავტორიტეტი, ვინაიდან მახსოვს, რა ავტორიტეტიც ჰქონდა მას წარსულში, თქვენს დროს, ბატონო გიგა. მინდა გითხრა, რომ საკმაოდ ფიცხი ხასიათის ვარ, მაგრამ არავისთან პრობლემა არ მექნება, ვითანამშრომლებ ყველასთან, ვისაც ენდომება აკეთოს რაღაც ქართული თეატრის საკეთილდღეოდ. მე ბევრჯერ მითქვამს ბ-ნ გიგაზე თბილი სიტყვები და ეს არ არის ლირიკა. სინდისი არ მომცემს იმის უფლებას, არ ვთქვა, რომ ბ-ნი გიგა მართლაც შენირულია ქართული თეატრისათვის. თუ ვილაცხას უთქვამს, რომ უყვარს რუსთაველის თეატრი, ვილაცხას უყვარს მარჯანიშვილის თეატრი, ბ-ნ გიგას უყვარს სრულიად

საქართველოს ყველა თეატრი. დღეს მოვიდა რადიკალური ცვლილებების დრო. ჩვენ არ გვინდა დავუკარგოთ ბ-ნ გიგას ღვანლი. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ბ-ნ გიგას მივანიჭებთ საპატიო თავმჯდომარის ტიტულს მთელი თავისი უფლებებით, შეუნარჩუნდება მანქანა და სხვა პრივილეგიები. ასევე, თუ ჩვენ აგვირჩევენ, შემოვდივარ წინადადებით, ყრილობამ აირჩიოს თავმჯდომარე სამი წლით. ჩვენ კი ერთი წლის შემდეგ მოვინვეთ ყრილობას, გავაკეთებთ ანგარიშს განუვლი მუშაობის შესახებ და თუ თქვენ ჩათვლით ჩვენს მუშაობას არადადამაკმაყოფილებლად, პირობას გაძლევთ, გადავდგებით ერთი წლის შემდეგ.

შეკითხვა დარბაზიდან:

— ბ-ნო ავთო, თქვენი ხედვა კავშირის განვითარებისა, ვფიქრობ, რეალურია. თუ მიგიმართავთ ადრე კავშირის გამგეობისთვის და გაგიზიარებიათ თქვენი აზრი მისთვის?

ა. ვარსიმაშვილი: კარგი შეკითხვაა. ეპიზოდურად, რა თქმა უნდა, ვამბობდით ამას. მეტსაც გეტყვით, — ვაკეთებდით. ღია სულუაშვილმა იცის ამის თაობაზე. ექსპერიმენტიც გვქონდა მესხეთის თეატრში, მე ძალიან მჭიდრო კავშირები მაქვს რეგიონებში. აქ ითქვა ამის შესახებ და ეს არ იყო ჩემს მიერ ნათქვამი, მე ვმონაწილეობდი ბ-ნ გიგასთან ერთად გორისა და ფოთის თეატრების კონფლიქტების მოგვარებაში.

ისევ ვიმეორებ, ნამდვილად არ ვაპირებ ვინმესთან კონფლიქტს. ბ-ნო გიგა, ძალიან მიყვარხართ და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მე არ ამირჩევენ, მაინც მიყვარებით.

გიგა ლორთქიფანიძე: ახალგაზრდამ კითხვა დაუსვა ავთო ვარსიმაშვილს, თქვენ ამ საკითხზე ლორთქიფანიძესთან თუ გისაუბრიათო. თუ თვლით, რომ ჩემზე საყვარელი ადამიანი არ არის და საპატიო თავმჯდომარედ მასახელებთ, ხომ შეიძლებოდა ისე, რომ თავმჯდომარე არ გამხდარიყავით, გესაუბრათ ჩემთან ამ პრობლემებზე? ზოგი რამ ჩემთვის არ იყო ახალი, ზოგი სიახლეთაც მომეწონა. ნუ გეჩქარებათ თავმჯ-

დომარეობა, სული ნუ გისწრებთ. მე დავიმსახურე ჩემი ცხოვრებით, რომ არ მომეყენოთ შეურაცხყოფა, ტკივილი და მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, რასაც თქვენ ურჩევთ ქართულ თეატრს და მის მოღვაწეებს. გადაწყვეტილი მქონდა არ მეყარა კენჭი, რადგან ვფიქრობდი, ოპოზიცია მყავდა, მაგრამ ჩემი ეჭვი არ გამართლდა. ახლა კენჭისყრამ გადაწყვიტოს ყველაფერი.

სანდრო მრეველიშვილი: დიდია ბ-ნ გიგას ავტორიტეტი და საინტერესოა ის პროგრამაც, რაც ახლა იყო წარმოდგენილი. ვფიქრობ, საჭიროა ცვლილებაც. ალბათ, უნდა გამოიძებნოს თანამშრომლობის ფორმები.

გ. ლორთქიფანიძე: თქვენ ხართ რეჟისორები. მიხედვით თქვენს თეატრებს. მე ყოველთვის შვილებივით მიგიღებთ და მზად ვარ, ყველაფერი თქვენთან ერთად ვაკეთო. მომეწონა ყველა იდეა, რაც ვარსიმაშვილმა წამოაყენა და მზარს ვუჭერ. ერთად ვიყოთ და ერთად ვაკეთოთ ეს საქმე.

ალექსანდრე ქანთარია: მინდა მივესალმო ყველას, განსაკუთრებით უფროს თაობას, ვინც ბევრი გააკეთა ქართული თეატრისათვის და იმედს გამოვთქვამ, უფრო მეტს გააკეთებს, რადგან ნიჭს, მოგეხსენებათ, არა აქვს ასაკი. ამას წინათ ერთ-ერთმა ყურნალისტმა მკითხა, მსახიობის სახლში ვარდების რევოლუცია რომ უნდა გათამაშდეს, ვინ რა როლს თამაშობსო. მე ვუთხარი, არ ვიცი, ასეთი სპექტაკლი ჯერ არ დადგმულა, მაგრამ მაინტერესებს, ერთ-ერთ მთავარ როლს — სოროსის როლს — ვინ ითამაშებს-მეთქი. ამ საქმეს დიდი ფული სჭირდება და თუკი ვინმეს ექნება სურვილი — ან ივანიშვილს, ან პატარკაციშვილს ან ბენდუქიძეს, რომ ქართულ თეატრს ერთი სპექტაკლი მაინც დაუფინანსოს, პირველი მე მივესალმები ამ ფაქტს. (მიმართავს გიორგი შალუტაშვილს). ჩემო გიორგი, მე არავის წინააღმდეგი არ ვარ, შემიძლია ნებისმიერი პროგრამა და პროექტი შევადგინო, მაგრამ მისი დაფინანსებაა მთავარი. შემიძლია სპექტაკლის დადგმა და მიმუშავია კიდევ ამ შენობაში. იყო

რეჟისორი, გქონდეს სცენა და არ დადგას სპექტაკლი, ეს იგივეა, რომ ბოდში და სანოლში შერონ სტოუნი გენვეს და თვალი დახუჭო. თუ ჩემს ან სხვის გარშემო გაჩნდება თანამოაზრეთა გარკვეული ჯგუფი, იგი ვერ განვდება მთლიანად ქართულ თეატრს. მე ვეთანხმები გოგი ქავთარაძეს, რომ სხვა თავმჯდომარე ვერ იქნება ყველას ლიდერი, მინდა დავფიქრდეთ ამაზე. დღეს აქ არ წყდება ქართული თეატრის ბედი, ქართული თეატრის ბედი წყდება თეატრსა და იმ სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელიც უნდა გატარდეს. ამის გამო გვმართებს დაფიქრება. მე, მაგალითად, ვერ ვხედავ ცვლილების აუცილებლობას. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გარკვეულმა ჯგუფმა იშოვოს თანხა, მაგრამ ის განვდება ერთ პრობლემას, შეიძლება ერთ, ორ რეგიონში რაღაც პრობლემები გადაიჭრას, მაგრამ ყველა რეგიონს ჩვენი ფინანსები ვერ განვდება.

ბატონი გიგა არის მნიშვნელოვანი და საინტერესო ფიგურა, თუ მას ერთი მომხრე მაინც ეყოლება, ეს მე ვიქნები. მე ისიც მხიბლავს, რომ ამ ასაკის კაცი გვეჯიბრება ქართული თეატრის სიყვარულში. თუ ეს კავშირი არ შემოიფარგლება სამ წელიწადში ერთხელ შეკრებით მხოლოდ და ჩვენ რამეს გავაკეთებთ, კარგი იქნება. ჩემთვის ხშირად უთქვამთ, რატომ დგახარ ჯაბა იოსელიანის გვერდით, ეს პოზიცია წამგებიანიაო. მაგრამ ვერ გაუგიათ, რომ ჩემთვის წამგებიანი და მომგებიანი პოზიციები კი არ არის მთავარი, არამედ პიროვნებები. მე მხარს ვუჭერ გიგა ლორთქიფანიძეს.

ნათელა არველაძე: ჩვენი მიზანია რაღაცის შეცვლა. ახალ სასიცოცხლო სივრცეში იცვლება სახელმწიფო წესრიგი და უნდა შეიცვალოს წესრიგი ჩვენს კავშირშიც. მე არავის წინააღმდეგი არ ვარ. ყველანი მიყვარხართ, მაგრამ ბრუტოსისა არ იყოს, სამშობლო და თეატრი მიყვარს ყველაზე მეტად. თუ როგორი გუნდით უნდა იმუშაოს კავშირმა მომავალში, ეს არის ჩვენი ხვალისდელი მუშაობის ქვაკუთხედი. დღევანდელი

გუნდით რთულია ფეხი ავუწყოთ თანამედროვე ცხოვრებას. გთხოვთ, გააკეთეთ არჩევანი კოლექტიური შემადგენლობის, გუნდის მიმართ, რომლის მხრებზე უნდა გადავიდეს კავშირის მუშაობა. დღეს არ არის არავითარი დაპირისპირება. ბრძოლის ველი ერთია, ერთი კარი გვაქვს, იქ უნდა გავიტანოთ ბურთი. ახალი წესრიგის ადამიანებს კი უნდა შევასხენოთ, რომ „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ქართულ თეატრს ორი მიზანი აქვს, ეს არის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, ჩვენ ორივე სახის კონტაქტები უნდა დავამყაროთ. მთავრობა უნდა ჩავაყენოთ ქართული თეატრის სამსახურში. რაც უნდა ნიჭიერი იყოთ თითოეული თქვენგანი, თუ არ გაჩნდა ერთი ისტორიკოსი მაინც, რომელიც შემოქმედებითი პროცესის მატერიალიზაციას მოახდენს, თქვენი ნიჭი დაიკარგება. თანამედროვე თეატრმცოდნეობა უგულვებელყოფილი იყო თეატრალურ პროცესებში, თუნდაც ფესტივალებში.

რაც შეეხება გაზეთს, გაზეთი უნდა არსებობდეს. მნიშვნელოვანია გაახალგაზრდავდეს კავშირი და მასთან ერთად, ქართული თეატრმცოდნეობის სამეცნიერო წრეებიც. დღეს გვაქვს ერთი ჟურნალი და ერთი თეატრალური უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებული. თუ ჩვენ ქართველ თეატრმცოდნეებს დავუკარგავთ ამ ერთ ჟურნალს, მაშინ ქართული თეატრის სამეცნიერო კვალიფიკაციის მქონე თეატრმცოდნეები ვეღარ გვეყოლება. აი, ეს სირთულე უნდა გაითვალისწინოთ. და კიდევ, უნდა შეიცვალოს, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი, ისევე, როგორც სხვებიც.

და ბოლოს, ძალიან გთხოვთ, გააკეთეთ ისეთი არჩევანი, რომ სამი წლის შემდეგ აქ არც ერთმა არჩეულმა თავმჯდომარემ არ თქვას, გუნდმა არ შემოიწყო ხელი და ჩემი საქმე ვერ გავაკეთეო.

ვასილ კიკნაძე: არ ვეთანხმები ქნათელას რედაქტორის თაობაზე. მან გადაარჩინა ჟურნალი ამდენი აგრესიისა და კონფლიქტებისგან, რომელიც პრე-

სის ყველა ორგანოშია ამ წლების მანძილზე და არ დააპირისპირა არავინ ერთმანეთს (ტაში).

ვასილ ჩიგოგიძე: მე არ ვიცი, ბატონო გიგა, რა სიტუაციაა რაიონის თეატრებში, მაგრამ ვიცი ერთი რამ, თეატრში ხუთი თვეა ხელფასი არ მიუღლიათ. ცალკეულ დადგმაზე უხდებათ სამინისტროში მისვლა, სადაც ფულს ვერ აძლევენ.

გიგა ლორთქიფანიძე: ვერავინ დამაბრალებს, რომ თეატრის ინტერესებს არ ვიცავ, მაგრამ არც ის შეიძლება, არაფერი დავინახოთ. სხვათა შორის, დღეს სახელმწიფოს თავისუფლად შეუძლო ეთქვა — არ შემიძლია, მაგრამ არ თქვა. ბოლოს და ბოლოს კი, როცა ჩვენ გავუმრავლებთ სახელმწიფოს უმუშევართა რიცხვს და კისერზე დაკვიდებთ ყველაფერს, იტყვის, არ მინდა, ბატონო ამდენი თეატრი, ამდენი თეატრი არც ერთ რესპუბლიკაში არ არისო. პროფკავშირები რომ შეიქმნება, ეს ფონდიც გაჩნდება. ახლა სად მიდის, ის გადასახადი, რომელსაც ყველა მსახიობი და რეჟისორი იხდის, კაცმა არ იცის. ის ფული შემოვა პროფკავშირში. ალბათ, გაერთიანდება თეატრალური კავშირის წევრობისა და თეატრალური პროფკავშირის გადასახადი და გვექნება ფული, რომელსაც მოვახმართ ისევ ამ გაჭირვებულ ხალხს. ამიტომ, წინადადება შემომაქვს მივიღოთ ეს დებულება, რომელიც მოგვცემს საშუალებას, გავაგრძელოთ მუშაობა კანონზე და დავადგინოთ ჩვენი ურთიერთობის წესები.

დ. ანდლულაძე: თუ ყრილობა მიიღებს გადანყვეტილებას, რომ პრეზიდიუმი არჩეულ იქნას ყრილობის მიერ, ეს იქნება ჩემთვის მისაღები. ჩვენ ვსაუბრობთ ერთი ადამიანის მეორეთი შეცვლაზე. გამოდიან ჩემთვის საპატივსაცემო ადამიანები, და ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს ვინმეს სჭირდება ერთგულების დამტკიცება. ეს ნამდვილად არ ეკადრება დღევანდელ თავყრილობას. ერთგულება ყველას სჭირდება და მეც იმიტომ ვარ აქ, რომ მინდა ვუერთგულო იმ საქმეს, რასაც

ჩვენ ყველა ვემსახურებით. დღევანდელი დღე არის წინააღმდეგობებით აღსავსე, ურთულესი დღე ქართული თეატრისათვის. მთავარი ის კი არ არის, შეიცვლება თუ არა ბატონი გიგა ავთოთი, ან სხვა კანდიდატურით, არამედ ის, რომ უნდა შეიცვალოს სტრუქტურა. თუ არ შეიცვალა მიდგომა, თუ არ იქნა ჭეშმარიტი კავშირი, ანუ იმ ხალხის კავშირი, რომლებმაც დაინახეს, რომ სახელმწიფო მათზე აღარ ზრუნავს, მთელი ძალისხმევა აზრს დაკარგავს. ავთომ გაიხსენა თქვენი პერიოდი, ბატონო გიგა, მაშინ სხვა ქვეყანა იყო. დღეს სხვა ქვეყანაა, სხვა ხელისუფლება, რომელსაც ჯერჯერობით არ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება კულტურისადმი, საკუთრივ თეატრისადმი, მით უმეტეს პრიორიტეტთა სიაში არ შეუტანია. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საკუთარ თავზე. დღეს ასეთი მომძლავრებული თავისუფალი პროფესიის ეპოქაში, როცა მსახიობობა თავისუფალი პროფესია ხდება, კავშირში უნდა არსებობდეს საინფორმაციო ბანკი. დღეს უამრავ რამეზე შეიძლება ლაპარაკი, რასაც უნდა ემსახურებოდეს კავშირი. მაგრამ, გეტყვით მთავარს, ამას ვერ გააკეთებს ვერც ყოფილი თავმჯდომარე, და ვერც ახალი თავმჯდომარე, თუ მხოლოდ ამ არჩევნებით შემოვიზღუდებით. მე გთავაზობთ, ავირჩიოთ გუნდი იმ ხალხისა, რომელიც აიღებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას კავშირზე. დღეს ეს ფორმა მიღებულია მსოფლიოში, მე კარგად არ მესმის, რატომ უნდა უნდოდეს რეჟისორს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარეობა. ეს ჩემთვის მძიმე ტვირთია, და რატომ ვაკისრებთ ამას ერთ ადამიანს, რათა სამი წლის შემდეგ კიდევ მოვიდეთ და ავირჩიოთ. მე თქვენ გთავაზობთ საბჭოს არჩევას. გუნდის არჩევას, რომელიც აიღებს გუნდურ პასუხისმგებლობას. არ შემიძლია საჯარო სიყვარული არ გამოვუცხადო ბატონ გიგას გულწრფელად, ბატონ გიგას ახლადარჩეული თავმჯდომარე კი არ უნდა სთავაზობდეს საპატიო თავმჯდომარეობას, მას აქვს ის გამოცდილება, რომელიც საჭირო



შეიქმედებითი კავშირი —
„საქართველოს თეატრალური
საზოგადოების“ ახლადარჩეული
თავმჯდომარე —
გიგა ლორთქიფანიძე

იქნება ამ გუნდისთვის. ასევე კავშირში უნდა შემოვიყვანოთ ის ხალხი, რომელიც კავშირს მიღმაა. ბევრი მირეკავს და მეუბნება, რა საჭიროა საერთოდ ეს კავშირი, რატომ მიდიხარ იქ, რატომ იკლავ თავს, რატომ კარგავ დროს. იმიტომ რომ, მინდა ისინიც შემოვიდნენ კავშირში და მას მოახმარონ თავიანთი ნიჭი. ეს საშუალო თაობის წარმომადგენლებსაც ეხება, მათ აქვთ ენერჯია, გამოცდილებაც და ბევრი რამ გაუკეთებიათ კიდეც. აი, სწორედ ეს საბჭო გააერთიანებს კავშირს და არა კონკრეტულად რომელიმე პიროვნება. ახლა ჩვენ არასწორ გზას ვადგავართ. მე თქვენ გთავაზობთ საბჭოს იდეას. კარგად დაფიქრდით.

ვ. კიკნაძე: არის წინადადება, იყოს არა თავმჯდომარე, არამედ გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც კოლექტიურად უხელმძღვანელებენ კავშირს. ვიდრე თქვენს აზრს მოვისმენდე, გეტყვით, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, ხუთ ქართველს ერთი საქმისათვის რომ უხელმძღვანელოს. მსგავსი შემთხ-

ვევა ჯერ არ ყოფილა, მაგრამ, მაინც ვალდებულნი ვართ, კენჭი ვუყაროთ ამ წინადადებას.

აკაკი ენუქიძე: იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გამოვიდე. მოკლედ განმარტებოთ. კავშირს აუცილებლად უნდა ჰყავდეს გამგეობა და რადგან ამ გამგეობის ხშირი შეკრება გაძნელებდა, მისი რიგებიდან ის აირჩევს პრეზიდიუმს. ნესდება ამ სახით უკვე მიღებულია და თავმჯდომარეზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.

სოფიკო ქიაურელი: არ ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ შეურაცხყოფილი ვარ თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად. მიმდინარეობს თეატრალური ყრილობა. რატომ არ არის აქ კულტურის მინისტრი, მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი? არავის აინტერესებს, რა ხდება დღეს ქართულ თეატრში, რა გვტკივა, რა გვიხარია. სანამ ეს არ იქნება, არაფერი გვეშველება. ნუთუ, ვერ გრძნობთ, რომ დღეს თავმჯდომარის არჩევაში არ არის საქმე. დღეს ქართულმა თეატრმა დაკარგა თავისი დიდება. მე არ დამა-

ვინყდება, დედას სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე მიმდინარეობდა თეატრალური ყრილობა პარლამენტის შენობაში. ბოლო სიტყვა თქვა დედამ: რომ იცოდეთ, რა ლამაზები ხართ ყველაო. ამას ჩვენ არ უნდა ვამბობდეთ. ამას ჩვენი სახელმწიფოს, მთავრობის წარმომადგენელი უნდა გვეუბნებოდეს. დღეს ვინ წარმოადგენს ქართულ თეატრს? კულტურის მინისტრი, მე მგონი, ჯერ არც ერთ თეატრში არ ყოფილა. იყო სადმე? სარდაფში ყოფილა. რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრებში ვერ წავიდოდა? მაგრამ უნდა ჰქონდეს სურვილი, შეხვდეს ქართველ მსახიობებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართულ თეატრში რამდენიმე პერსონა არსებობს მხოლოდ, რომლებიც ხშირად გამოდიან ტრიბუნაზე. მე მიხარია, რომ აქ არის ქ-ნი ლილი იოსელიანი, ქ-ნი ნათელა ურუშაძე, შესანიშნავი მსახიობების ჩამოთვლას არ მოვყვები ახლა, რომლებიც ადიდებდნენ ქართულ თეატრს. ჩვენ ჩვენი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ჩვენს მთავრობას. წინააღმდეგი ვიყავი პარლამენტში მსახიობებისა და რეჟისორების ყოფნისა, მაგრამ იქ რომ დღეს ქართული თეატრის გულშემმატიკივარი არ არის, ეს ფაქტია. ქართული ხელოვნებისა და თეატრის გარეშე ისინი არაფერი არ არიან. თუკი მსოფლიო საქართველოს იცნობს, ეს არის ქართული თეატრი, კინო, ქორეოგრაფია — ვუსმინე ავთოს გამოსვლას და დამეთანხმებით ალბათ, რეჟისორების ლიგა რომ შეიკრიბა, ბევრი კარგი რამ ჰქონდათ პროგრამაში. მერე შექმნეს პროფკავშირი, მსახიობებს რომ ამოესუნთქათ, მაგრამ არაფერი არ მოხდა. თითოეულ მათგანს ერგო თითო-თითო თეატრი, დასხდნენ ამ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებად და კრება დარჩა მხიარული. მე არ ვაყენებ შეურაცხყოფას არც ავთოს, არც დათოს, არც გოგას, ჩემი შვილები და პატარა ძმები ხართ. ეს ხომ არ არის პროვინული საქმე — დღევანდელი თავმჯდომარის არჩევა. წყდება ქართული თეატრის, ქართველი მსახიობის ბედი. ამინდს მსახიობები, ვარსკვლავები ჰქმნიან. დღეს კი ისინი მათხოვრულ დონეზე არიან. ჩემი

პრობლემები გვერდზე იყოს. რაც ავთომ ილაპარაკა, ყველაფერი ის გასაკეთებელია, მაგრამ რა გიშლით, რომ ყველაფერი ეს გავაკეთოთ ერთად. რომ იყოს გიგა, რამდენი დარჩა 77 წლის კაცს? გიგას ბევრი უარყოფითი თვისება აქვს, მაგრამ ერთ-ერთი თვისება, რის გამოც მას ყველაფერი ეპატიება, ეს არის სიკეთე. დღევანდელი ყრილობის შემდეგ, გიგას უკვე ეცოდინება, რომ აღარავინ აღარ აირჩევს — დროც ვეღარ აირჩევს, ამოვუდგეთ გვერდში ყველანი და მოდით, ყველამ ერთად ავირჩიოთ გამგეობა, პრეზიდენტი. არ მახსოვს, გიგას რომელიმე სპექტაკლი გამოეტოვებინა — თქვენია ხვალინდელი დღე. მოუარეთ მსახიობს, რადგან მის გარეშე არაფერი ხდება. როგორი ფანტასტიური მიგნებებიც არ უნდა გქონდეს, მსახიობის გარეშე ვერაფერს განახორციელებთ. არ გააბედინოთ არავის, რომ ერთი საათი არ დათმოს ჩვენ ყრილობაზე დასასწრებად. გიყურებთ და მჯერა, რომ ერთად ვიქნებით და ისე გადავწყვიტოთ ყველაფერი, როგორც შეეფერება ქართულ თეატრს.

ვ. კიკნაძე: დასახელებულია ორი კანდიდატურა საარჩევნო ბიულეტენში შესატანად: ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე და ბ-ნი ავთო ვარსიმაშვილი.

დაიწყო ხმის მიცემის პროცედურა. საარჩევნო ბიულეტენების დათვლა გაჭიანურდა, რადგან იგი დიდ ყურადღებას მოითხოვდა.

მოგვიანებით ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ქავთარაძე აცხადებს კენჭისყრის შედეგებს:

— რეგისტრაცია გაიარა 207 დელეგატმა. ყუთში აღმოჩნდა 206 ბიულეტენი, ბათილი — 8 ბიულეტენი.

გიგა ლორთქიფანიძემ მიიღო 131 ხმა, ავთანდილ ვარსიმაშვილმა — 67.

ამრიგად, თავმჯდომარედ არჩეულია გიგა ლორთქიფანიძე.

გიგა ლორთქიფანიძის წარდგინებით თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია თეატრმცოდნე კოტე წინიკაშვილი, მდივნად თეატრმცოდნე გიორგი ცქტიშვილი.

შეიქმადებინა კავშირი — „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ გაგზავნის წევრთა სია

1. ნათელა არველაძე
2. დათო ანდლულაძე
3. თემურ ბადრიაშვილი
4. გურამ ბათიაშვილი
5. ლაშა ბულაძე
6. გოგი გაბილაია
7. ნოდარ გურაბანიძე
8. იური გეგეშიძე
9. შალვა განერელია
10. პაატა გულიაშვილი
11. დავით დოიაშვილი
12. ანდრო ენუქიძე
13. შოთა გლურჯიძე
14. გოგი თოდაძე
15. ვანო იანტბელიძე
16. ლიანა კალმახელიძე
17. მერაბ თავაძე
18. ლილი იოსელიანი
19. მარინე კახიანი
20. გაიოზ კანდელაკი
21. გოჩა კაპანაძე
22. ქეთევან კიკნაძე
23. ვასილ კიკნაძე
24. გია კიტია
25. მედეა კუჭუხიძე
26. გიგა ლორთქიფანიძე
27. ნუგზარ ლორთქიფანიძე
28. ზურაბ ლომიძე
29. გოგი მარგველაშვილი
30. ჯემალ მაზიაშვილი
31. სანდრო მრეველიშვილი
32. ნიკა მემანიშვილი
33. კოტე ნინიკაშვილი
34. ლევან როსვაძე
35. გურამ საღარაძე
36. დავით საყვარელიძე
37. ირაკლი სამსონაძე

38. ლია სულუაშვილი
39. რობერტ სტურუა
40. ლევან სვანაძე
41. გიორგი სიხარულიძე
42. დავით ტურაშვილი
43. ნანა ფაჩუაშვილი
44. ჯეირან ფაჩუაშვილი
45. კოტე ფურცელაძე
46. გოგი ქავთარაძე
47. ნუკრი ქანთარია
48. ამირან შალიკაშვილი
49. გიორგი შალუტაშვილი
50. თემურ ჩხეიძე
51. ვასილ ჩიგოგიძე
52. გიორგი ცქიტიშვილი
53. ნანა წერეთელი
54. ლევან წულაძე
55. ნინელი ჭანკვეტაძე
56. სოფიკო ჭიაურელი
57. თამაზ ჭილაძე
58. თამარ ხიზანიშვილი
59. დიმიტრი ჯაიანი
60. ნიკა ჯანდიერი
61. ალექო ჯანელიძე

გაგზავნის ვერ მოხვდნენ:

1. არმენ ბაინდურიანი
2. აქესენტი გამსახურდია
3. ნიკოლოზ გომელაური
4. ავთანდილ ვარსიმაშვილი
5. ნოდარ იაკობაძე
6. ლევან ხეთაგური
7. ასმათ ტყაბლაძე
8. იური ცანავა

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ეროვნული
სისტემა

შემოქმედახიტი კავშირი — „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ გაგვიგვის სხდომა

14 ივნისი, 2004 წელი

დღის წესრიგი:

- 1). გ. ლორთქიფანიძის პროექტი საზოგადოების სტრუქტურული ცვლილებების შესახებ;
- 2). პრეზიდენტის წევრთა არჩევა.

სხდომას ესწრებოდა ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის 36 წევრი. 10 წევრის არდასწრება ჩაითვალა საპატიოდ.

გამგეობამ ცნობად მიიღო გიგა ლორთქიფანიძის განცხადება საზოგადოების 19 წევრისგან, რომელნიც უარს აცხადებენ კავშირის წევრობაზე. მათ შორის გამგეობის წევრები: 1. თემურ ბადრაშვილი, ლაშა ბუღაძე, პაატა გულიაშვილი, დავით დოიაშვილი, ანდრო ენუქიძე, გოჩა კაპანაძე, გია კიტია, გოგა მარგველაშვილი, ნიკა მემანიშვილი, დავით საყვარელიძე, გიორგი სიხარულიძე, დავით ტურაშვილი, კოტე ფურცელაძე, გიორგი შალუტაშვილი.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ გამგეობას წარმოუდგინა საზოგადოების სტრუქტურული ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც კავშირი, იცავს რა თავის წევრთა უფლებებს, აყალიბებს შემდეგ გაერთიანებებს: 1) მსახიობთა; 2) რეჟისორთა; 3) დრამატურგთა; 4) რეგიონალური თეატრების; 5) თეატრმცოდნეთა; 7) საგამომცემლო-სარედაქციო; 8) საბავშვო და მუსიკალური თეატრების (ოპერა, პანტომიმა, თოჯინები, მარიონეტები, მუსიკალური თეატრი; 9) საბიუჯეტო-საფინანსო, ანუ თეატრის საქმიანობის მართვა.

გიგა ლორთქიფანიძემ სათითაოდ

განიხილა გაერთიანებების მომავალი საქმიანობის ზოგადი კონტურები და წამოაყენა წინადადება, რომ პრეზიდენტის წევრები ჩაუდგნენ სათავეში თითოეულ მათგანს.

ნათელა არველაძემ ისაუბრა საინფორმაციო ბანკის თაობაზე, რომელსაც ყველა ხელოვანისა თუ თეატრის მუშაკის შესახებ ექნება ამომწურავი ინფორმაცია.

ალექსანდრე ჯანელიძემ მთავარ პრობლემად დრამატული თეატრების დაცვა დაასახელა, რომლებიც რაიონებში უკიდურეს შევიწროებას განიცდიან მათი ხელმძღვანელებისგან და გამოთქვა ვარაუდი, რომ თუ ყურადღება დროულად არ გამოიჩინა კავშირმა, სამ წელიწადში ისინი, ალბათ, არსებობას შეწყვეტენ.

დავით ანდლულაძემ არ მოინონა პრეზიდენტის 11 წევრით შემოფარგვლა და კვლავ 3-5 კაციანი საბჭო მოითხოვა. „პრეზიდენტი, საბჭო ეს არის ჩემთვის „ბორდი“ — აღნიშნა მან, — მთავარია არ მოხდეს კავშირის გაყოფა“.

სანდრო მრეველიშვილმა თერთმეტ წევრიან პრეზიდენტს დაუჭირა მხარი. ნუკრი ქანთარია აღნიშნა, რომ განცხადება, რომელიც საზოგადოების წევრთა ნაწილმა გამოაგზავნა, არის სერიოზული რღვევის დასაწყისი. „მე არ მიყვარს ლოზუნგი „ყველა-1“. უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება უმცირესობასთან. კავშირმა უნდა დაბადოს ინტერესი, რომ ახალგაზრდობა მოვიდეს. საჭიროა ვიმუშაოთ კულტურის სამინისტროსთან ერთად და ასევე შევქმნათ

თეატრის განვითარების ფონდი.

გიგა ლორთქიფანიძე გამგეობას გააც-
ნო კულტურის მინისტრის განცხადება
გორის თეატრის თაობაზე, რომ იგი
ანგარიშს გაუწევს კავშირის ნებისმიერ
გადანწყვეტილებას.

მერაბ თავაძე იკითხა, რა კონკრე-
ტული დანიშნულება აქვს დღეს თეა-
ტრალურ კავშირს — თუ ადრე ის
მატერიალურად ეხმარებოდა წევრებს,
ამჟამად რისი შესაძლებლობები ექნე-
ბა.

მედია კუჭუხიძე მოიწონა თავმჯ-
დომარის პროექტი გაერთიანებების
თაობაზე და მოკლედ ისაუბრა მისი
სარგებლობის შესახებ მომავალში.

ვასილ კიკნაძე კრებას შესთავაზა
დღის წესრიგის პირველი საკითხის განხ-
ილვა და მომავალი გაერთიანებების
ხელმძღვანელების დანიშვნა. გამგეობის
სხდომამ პრეზიდიუმის წევრებად დაასახ-
ელა: გიგა ლორთქიფანიძე, კოტე ნინ-
კაშვილი, გიორგი ცქიტიშვილი, სან-
დრო მრეველიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი,
სოფიკო ჭიაურელი, მერაბ თავაძე, დავით
ანდლულაძე, ნუკრი ქანთარია, გიორგი

ქავთარაძე, ლევან წულაძე. პრეზიდიუ-
მის საპატიო წევრად აირჩიეს ლილი
იოსელიანი.

დრამატურგმა თამაზ ჭილაძემ წა-
მოაყენა წინადადება, რომ გაუქმდეს
ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სარე-
დაქციო კოლეგია, რომელიც საბჭოთა
სტრუქტურის გადმონაშთს წარმოადგენს.
გამგეობის სხდომა დაეთანხმა ამ წი-
ნადადებას.

დაადგინეს ასევე, რომ კავშირის
წევრობის გადასახადის რაოდენობის
თაობაზე მომავალ სხდომაზე პრეზიდ-
იუმმა იმსჯელოს.

**გამგეობამ აირჩია პრეზიდიუმის
ასეთი შემადგენლობა:**

**გიგა ლორთქიფანიძე, კოტე
ნინკაშვილი, გიორგი ცქიტიშვილი,
სანდრო მრეველიშვილი, ნანა
ფაჩუაშვილი, სოფიკო ჭიაურელი,
მერაბ თავაძე, დავით ანდლულაძე,
ნუკრი ქანთარია, გიორგი
ქავთარაძე, ლევან წულაძე.**

სპექტაკლები

სათუნა წულუბიძე

საფესტივალო მიმოხილვა

მიხეილ თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ წელს უკვე მერვედ ჩატარდა და „ასაკში შესვლასთან“ ერთად უფრო გაახალგაზრდავდა: შემოდგომიდან ზაფხულში გადმოინაცვლა — 2-17 ივნისს თეატრის მოყვარულებს თბილისის თეატრებში უცხოური და სამამულო (ამჯერად უფრო სამამულო) სპექტაკლების ნახვის შესაძლებლობა მიეცათ. თეატრალური წარმოდგენების გარდა ფესტივალის პროგრამაში ჩართული იყო ფოტოგამოფენები, რომელთა შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო რებეკა მეტლოკის ნამუშევრები სახელწოდებით „რებეკას საყვარელი ადგილები“, სადაც მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის ღირშესანიშნაობათა ამსახველ ფოტოებს შორის საქართველოს პეიზაჟების ეგზოტიკური და მონუმენტური კადრებიც შედის. ერთი საღამო ამერიკელ ჯაზის მომღერალს შანგამირეს დაეთმო, რომლის რომანტიკულ და გრძნობით შესრულებულ სიმღერებს ჩვენი ქვეყნის პირველი ლედი, სანდრა რულოვსკი სულგანაბული უსმენდა.

სანამ უშუალოდ სპექტაკლების განხილვას დავიწყებ, მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც ყოველთვის, წლევანდელი

ფესტივალის თბილისის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით ჩატარდა, თუმცა ამ ფინანსებით (როგორც ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ აღნიშნა, ერთი მდიდარი კაცის მიერ გადახდილ ასაკიან სუფრას ეყოფოდა მხოლოდ) ფესტივალის ორგანიზატორებმა რაც შეძლეს და გააკეთეს, ესეც გასაკვირია. ამალღებული განწყობილება, გაბრწყინებული სახეები და სასიამოვნო მოულოდნელობები ფესტივალს ნამდვილად არ აკლდა და ჩვენთვის, ეკონომიკურად ხელფეხშეხორკილი მაყურებლისთვის, რომლებიც ყველაფერს მოკლებულნი ვართ, ეს ფესტივალი ერთგვარი ოაზისის ფუნქციას ასრულებს.

2 ივნისს, ფესტივალის საზეიმო გახსნის დღეს, ფესტივალზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის ნახვის შემდეგ, რომელიც „ნარსული დიდების“ ამსახველ სიამაყით აღსავსე და, ამავე დროს, სევდიან კადრებს მოიცავს, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მერიის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, დავით ოქიტაშვილმა სცენაზე მიხეილ თუმანიშვილის სახ. პრიზის 2004 წლის ლაურეატებს: მედეა კუჭუხიძეს, რამაზ ჩხიკვაძესა და გურამ საღარაძეს მოუხმო. თითოეულმა მათგანმა გაიხსენა საყვარელი მანქანა, მასთან ერთად განვილილი გზა და დიდი სიხარული, დიდი ტკივილი...

ზეიმი სასცენო წარმოდგენით გაგრძელდა და ეს წარმოდგენა „კინოსეანის წინ“ (სამი მუსიკოსი და ჩემი მარუტეჩკა) მოსკოვის „თეატრს სტანისლავსკის სახლთან“, ანუ „OKOJIO“-ს ეკუთვნოდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, „ოქროს ნიღბისა“ და რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს იური პოგრებნიჩკოს, რუსეთში ყველაზე უცნაურ და იდუმალებით მოცულ რეჟისორად მოიხსენიებენ. მის პატარა თეატრ-ლაბორატორიაში შექმნილი სპექტაკლები შტამპებს უარყოფს და არაორდინალურ, განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობს. ამიტომ მუდმივად კრიტიკოსთა განხილვისა და სჯაბაასის საგანი ხდება.

„კინოსეანის წინ“ ძველი რუსული



სცენა მოსკოვის ოთახტრის „სტანისლავსკის
სანსტან“ სპექტაკლიდან
„კინოსეანის დანყაბის წინ“.

სიმღერებისა და რომანსების რეპეტიცია-წარმოდგენაა, რომელსაც ასევე ძველი და გაპარტახებული კინოთეატრის შენობაში ყოველდღიური ცხოვრებისა და საკუთარი თავისგან დაღლილი, არშემდგარი მუსიკოსები ასრულებენ. ყავთ თუ არა მათ მაყურებელი, ეს თვითონაც არ აინტერესებთ. თითოეული მათგანი თავის თავში იმდენადაა ჩაძირული, რომ ერთმანეთსაც ვერ ხედავენ. ყველა თავისთვის უკრავს და მღერის. სცენაზე მოთავსებულ ამალღებულ ფიცარნაგზე განთავსებული მებაიანე — ნიკოლაი კოსენკო და გიტარისტი — ალექსანდრე კულაკოვი რეჟისორმა მსხვილი ხედით „დაგვიმონტაჟა“, შანდლებიან პიანინოსთან ზურგით მჯდარი პიანისტის — იური კანტამიროვის სახე კი შორი ხედით, პიანინოს თავზე დაკიდებული სარკიდან დაგვანახა, რომელშიც მასთან ერთად მაყურებელიც ჩანს, რომელსაც ჩვენ როგორც მისი წარმოსახვის ნაყოფს, ისე აღვიქვამთ. პიანისტი (იური კანტამიროვი), მისთვის აშკარად დიდი ზომის შარვალი ლამის ყელამდე რომ აქვს აქაჩული, კონფერანსიეს ფუნქციასაც ითავსებს და ყოველი სიმღერის სახელწოდებას საგანგებო ფაციფუცითა და მომღიმარი სახით გვაუწყებს.

პიანინოს გვერდით, კიბესავით აყუდებულ სკამზე, მესამე განზომილებაში მარუსეჩკა — მაშა პოგრებნიჩკო ზის, რომელსაც რეჟისორმა პირდაპირი (მსახიობი მისი ქალიშვილია) და გადატანითი (სიმღერა „ჩემი მარუსეჩკა“) მნიშვნელობითაც „ჩემი“ უწოდა. ლაურეატ მომღერალ ქალს — ნატალია როჟკოვას კი ლაურეატის პრიორიტეტი არ დაუკარგა და ხანგრძლივი კადრებითა და მოძრავი რაკურსებით „დაატრიალა“ ჩვენს თვალწინ.

სპექტაკლს დრამატურგიული ხაზიც აქვს (უილიამ საროიანის მოთხრობის მიხედვით), რომლის გამტარებელიცა და მომწოდებელიც სცენის მუშა თუ დამლაგებელი საშა — ალექსანდრე ზიბლევი, მისთვის განკუთვნილ არამუსიკალურ პაუზებს რაც შეიძლება ღრმააზროვანი და არამუსიკალური შინაარსით ავსებს. კოტურნებზე შემდგარი, გრძელტარხანი იატაკის ჯაგრისით ხელში, მუდმივად ჩაფიქრებული და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ნაპოტინებული საშა, შიგადაშიგ ფილოსოფიურ ფრაზებსაც წამოისვრის და მერე კარგა ხანს ფიქრობს: საიდან იცის ეს ყველაფერი? ის ხომ არსად წასულა და

არც არაფერი უძებნია, „რადგან არც არაფერია საპოვნელი“.

გიტარისტი (ალექსანდრე კულაკოვი) და მეზაიანე (ნიკოლაი კოსენკო) სევდიან მელიოდის ნაწყვეტ-ნაწყვეტ აკვინესებენ და ისეთი სახეები აქვთ, თითქოს შორეულ წარსულში ჩარჩენილი აქ შემთხვევით აღმოჩნდნენ და ვერავის ამჩნევენ. ყოველი ნომრის შესრულებისას მათი სახეები უცვლელია. მამაკაცის გახუნებულ, ფართხუნა შარვალ-კოსტუმში სასაცილოდ და საცოდავად გამოწყობილი ლაურეატიც (ნატალია როჟკოვა) სამხრეებზე დამაგრებული გაყვითლებული შიფონის ნაფლეთებით წარსულს სიზმარვით იგონებს და მისი მზერაც სადღაც არის მილურსმული. სახეც მხოლოდ შორეულ ხილვებს ირეკლავს. მას სიყვარული, გაზაფხული და სიცილი ეზმანება.

მარუსეჩკა (მაშა პოგრებნიჩკო) ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე მხიარულია. იგი თითქოს კვარცხლბეკზეა წამოსკუპული, როგორც ანწყო, დღევანდელი დღე, რომ ყველამ კარგად დაინახოს, მოუფრთხილდნენ და მისი მშვენებით დატკბნენ, მაგრამ... მას ვერავინ ამჩნევს. უფრო მეტიც, იგი თავად მიდის მათთან, ემსახურება, ხან ყავას სთავაზობს, ხან ინსტრუმენტს აწვდის და ალერსიანი სახით შესცქერის, მაგრამ... უშედეგოდ. ისინი ხომ საკუთარ არსებობას ვერ გრძნობენ, ისინი აქ არმყოფნი არიან.

ლაურეატი სამხედროსავით გაჭიმული დგას და მღერის. მხოლოდ ხანდახან მოიშველიებს იმპოზანტურ ჟესტებს. „ის წავიდა, ის შორს არის... მითხარით, რატომ?“ - გულშიჩამწვდომად მღერის ნატალია როჟკოვა და მეზაიანეს ზურგს ამოფარებული, როგორც ხელოვნური დაბრკოლების უკან მდგარი, მაყურებელს მიმართავს, თითქოს მისგან ელის პასუხს, ხალხის ბრბოში ეძებს გულისხნორს, რომელმაც ისე მიატოვა, მიზეზიც კი არ უთქვამს.

საშასავით კოტურნებზე შემდგარი გიტარისტი ალექსანდრე კულაკოვი აუღელვებლად ჩამოდის ფიცარნაგიდან, ჩვენს დაინტრიგებულ მზერას გაიყოლებს, სცენის

კუთხეში მსუბუქად მოისაქმებს და ასევე აუღელვებლად თავის ადგილს უბრუნდება. მარტივი და უბოროტო ბიოლოგიური მოთხოვნები, რომლებიც სცენაზეც ასევე მარტივად და უბოროტოდ შეიძლება დაკმაყოფილდეს...

მუსიკოსები ისვენებენ და საშას საშუალება ეძლევა მუდმივად ფიქრებში ჩაძირული მზერა მაყურებელს მიაპყროს და პაუზა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდების თხრობით შეავსოს. კოტურნებზე შემდგარი მსახიობი ძალიან ბუნებრივად, თითქმის შინაურულად გვიყვება ამერიკაში გამგზავრების ამბავს, მაგრამ ვინაიდან დღეს ასეთი მეტყველება აღარავის ესმის, ამიტომ მას არისტოკრატიების ენაზე, ფრანგულად თარგმნის თარჯიმანი-მაშა პოგრებნიჩკო. ავტობუსის გაჩერებაზე შეხვედრილი გამვლელი, იური კანტამიროვი ჭეშმარიტების სხვაგან მაძიებელს ერთ მარტივ ჭეშმარიტებას ამცნობს: „სადაც არ უნდა წახვიდე, ვერსად ვერაფერს იპოვი, უბრალოდ სხვაგვარად უნდა მიუდგე“, ეს სხვაგვარობა კი რწმენაა, ბრმა რწმენა, ყოველგვარი კირკიტის გარეშე. საშამაც ირწმუნა და გადარჩა, ისე რომ, ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლია.

სპექტაკლის ფინალურ სცენაში, ლაურეატი ქალის მიერ ისტერიულად შესრულებული „ჩემი მარუსეჩკას“ შემდეგ, ძლივს რომ აოკებენ და გაჰყავთ, ყველანი ერთად სევდიანად „აცილებენ სიყვარულს“ და ჩახრინული ზარით ამთაფრებენ წარმოდგენას. „ბატონებო, მესამე ზარია, გაანთავისუფლეთ შენობა!“

სპექტაკლი მთაფრდება და იწყება „პაკლონზე“ გამოსლა, რომელიც კიდევ ერთი მინი წარმოდგენაა, სადაც ლაურეატი ნატალია როჟკოვა ამაყად ყელმოღერებული, მრავალჯერადი გამოსვლებით თავისი მდიდრული გარდერობის დემონსტრირებას ახდენს და მთელი თავისი დიდებულებით წარსდგება მაყურებლის წინაშე. ავანსცენაზე მდგარ სკამზე ჩამომჯდარი, თითქოს ფოტოაპარატის წინაშე პოზებს არჩევს და კეკლუცობს. დანარჩენი მონაწილენი უცვლელი სახეებით შლეიფივით დაყვე-

ბიან წინ და უკან. მხოლოდ საშა-
ალექსანდრე ზიბლევნი, როგორც ყოველ-
თვის, ახლაც სადღაც დაჰქრის და ყოველ
გასვლაზე ერთი და იგივე მრავლისაღ-
მომჩენი ფილოსოფიური ყესტით —
„ოოო...“ ტოვებს სცენას.

თეატრ „გლობუსის“ სამხატვრო ხე-
ლმძღვანელი სანდრო მრევლიშვილი
თეატრის დაბადებასა და მის „მოტაცე-
ბას“ სცენაზე მსახიობთა მრავალრიცხო-
ვანი არმიის ხმაურიანი შემოსევითა და
„ბუკ-ნალარის“ ცემით გვამცნობს. მასო-
ბრივ სცენებში მონაწილე ექვთიმე თაყაიშ-
ვილის სახ. თბილისის კულტურისა და
ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
თეატრალური ფაკულტეტის სტუდენტები
აკრობატებისა და ჟონგლიორების რანგში
გვევლინებიან და სცენისა და იარუსებ-
ის ყოველ კუთხე-კუნჭულს თავბრუდამხვევი
მოძრაობებით ავსებენ. შემდეგ ამ უზღ-
ვავ ენერჯიას უცებ ამუხრუჭებენ და
სცენას სპექტაკლის მთავარ მოქმედ პირებს
უთმობენ. მათ, რომლებმაც შექსპირისა
და მის დროში მოღვაწე ცნობილი
დრამატურგებისა და მსახიობების ცხ-
ოვრების სცენებს სანდრო მრევლიშვილ-
ისეული ინტერპრეტაციით უნდა შეასხან
ხორცი და ჩვენს წინ გააცოცხლონ,
დაგვანახონ და გვაგრძნობინონ. ეჭვიც
არ მეპარება, რომ რეჟისორსაც და
მსახიობებსაც ყოველივე ამის გაკეთების
დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ რაც
ჩვენ ვიხილეთ, ხორცშესხმული სურვილი
ნამდვილი არ ეთქმოდა.

ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ დროს
ახალი თეატრის გახსნა იმდენადაა მნიშ-
ვნელოვანი, რამდენადაც იქ ჭეშმარიტ
ხელოვნებას შეიძლება ეზიარო. ხალხი
ჭრელია და თეატრმაც ფერთა სიუხვით
უნდა გაგვაოცოს. გაოცება იქეთ იყოს
და დღეს ფერთა პალიტრაც თითქოს
მხოლოდ ორ ფერშია გამომწყვდეული
და ეს თეთრზე შავით ნაწერს უფრო
ჰგავს, ვიდრე ქმედების მრავალფერო-
ვან პროცესს.

ერთი ადგილის გამუდმებით ტკეპ-
ნამ შედეგად ის გამოიღო, რომ გასატ-
კეპნიც აღარაფერი დარჩა, ფესქვეშ მინა
გამოგვეცალა და სიცარიელეში აღმოვჩნ-
დით. გაიზიარებს თუ არა ათონელის

ქუჩაზე დაბინავებული პატარა თეატრი
ზოგიერთ თანამოძმის ბედს, ჯერ კიდევ
უცნობია, რადგან ახალი სპექტაკლის
პრემიერა ამ თეატრში ჯერ არ შემდ-
გარა. „მოჩვენებები თეატრში“ ახალი
შენობის პრეზენტაციას, „დასველებას“
უფრო ჰგავდა, ვიდრე რაიმე სერიო-
ზულ განაცხადს.

სცენარის ავტორსა და რეჟისორს
— გოჩა კაპანაძესა და მის თან-
ამოკალმეს — მანანა გეგეჭკორს ამის
პრეტენზია არც ჰქონიათ, რადგან რე-
ჟისორის მიერ უკვე შექმნილი უახლესი
თუ შორეული სპექტაკლების პერსონა-
ჟები დაასახლეს სცენაზე და მათ
მოჩვენებები უწოდეს.

გოჩა კაპანაძემ მსახიობები და მათ
მიერ შესრულებული პერსონაჟები საი-
ქოში გაისტუმრა, მერე დროებით სააქო-
ში გამოიხმო და ერთმანეთს დაუპირ-
ისპირა. სპექტაკლის სიუჟეტური ხაზიც
სცენის მტვრით მონამლული მსახიობებ-
ის — მარინე ჯანაშიას, ნანა ფაჩუაშ-
ვილისა და ქეთი ჩხეიძის თვალებით
დანახული თეატრის მხიარულ და კო-
მიკურ პერიპეტეებზე ააგო. მარინე ჯა-
ნაშია და ნანა ფაჩუაშვილი ახალი
თეატრის პირველი სტუმრები არიან
საიქოდან. სცენა ცისფერი ბურუსითაა
დაფარული, უკანა ცისფერ კედელზე კი
თეთრი ასოებით ნელ-ნელა ამოტივტივდება
წარწერა „თეატრი“ და შემდეგ
„ათონელზე“. კონფერანსიესავით გამოწყ-
ობილი მარინა ჯანაშია და ოპერის
მომღერალივით გამოპრანჭული ნანა
ფაჩუაშვილი თავიანთი ჩაცმულობითა და
მანერებით უკვე ქმნიან თეატრის ბინა-
დართა ყველაზე ფართოდ გავრცელე-
ბულ, ჩრდილში მდგარი და გაფეტიშე-
ბული მსახიობის ტიპაჟებს. ერთს ბედმა
გაუღიმა, მეორეს - არა. თუ ერთი
უფრო ნიჭიერი იყო და... თუმცა, ეს
უკვე არც ერთ მსახიობს აღარ აინტერ-
ესებს, მათთვის მთავარი ხომ იღბალია.
ნიჭი კი... ნიჭი ყველას აქვს. მათ მალე
ქეთი ჩხეიძის რუსულ-ქართულად მო-
ლაპარაკე მსახიობის სიმბოლური სახეც
შემოუერთდება და იწყება ძველი ცოდ-
ვების გახსენებები და საქმის გარჩევები,
მედლის ორი მხარის წაღმა-უკუღმა

ტრიალი და ადამიანის შავ-ბნელი სამყაროს სააშკარაოზე გამოტანა, თუმცა, ადამიანური ცოდვები და მსახიობის ცოდვები ერთმანეთისგან იმდენადვე განსხვავდება, რამდენადაც ისინი ხან ადამიანები არიან და ხან მსახიობები. გოჩა კაპანაძე უწყინარი სარკაზმით გვაჩვენებს ამ სრულიად არამიწიერი არსებების ყველაზე სუსტ მხარეებს და ჩვენშიც იგივე გრძნობებს აღძრავს, რასაც ისინი განიცდიან საკუთარი თავის მიმართ. ყველა მათ მიერ ჩადენილ ცოდვას ერთი საპატიო გამართლება აქვს — მსახიობობა.

„მარიამ სტიჟურტი“, „ბერნარდა ალბას სახლი“, „მედეა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „სისხლიანი ქორწილი“ — აი, გოჩა კაპანაძის მიერ დღემდე შექმნილ სპექტაკლთა ის არასრული სია, რომელთა ეპიზოდებმაც ჩვენს თვალწინ გაივლევს და არა მხოლოდ, შედარებით ხანგრძლივადაც შეჩერდნენ.

სხვადასხვა ეპიზოდის სცენურ გარემოს უკანა კედელზე სლაიდების ცვალებადობა შესაფერის ფონს უქმნის. სცენის მარცხენა კუთხეში მოთავსებული დიდი სკივრი, თეატრალური გარდერობი და საკერავ მანქანასთან მიმჯდარი ან გარდაცვლილი მკერავი ჟორას ფიტული მსახიობებს თავიანთ თეატრს ახსენებს და აქედან წასვლა არ უნდათ. ბოლოს ისინი დებიუტანტი მსახიობებისთვის საგულდაგულოდ გადანახულ პატარა ზარდახშას ამოიღებენ და საიქოსა და სააქაოს ზღვარზე (რომელიც ნითელი შუქით წრიულადაა გამოყოფილი) გადასცემენ. ახალგაზრდები ზარდახშას ავანსცენის შუაში დგამენ, გარშემო შემოუსხდებიან და თავს ახდიან... ვერიკოს, სესილიას, ეროსის, გოდიაშვილის, ხორავას... ხმები მუსიკის ჰანგებივით გაიჟღერებს თეატრალურ სივრცეში, რომლის სცენასაც გოჩა კაპანაძემ მათი ხელოვნება დააბედა.

რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა და მსახიობმა ირინა მელვინეთუხუცესმა ქართველ მაყურებელსა და ფესტივალის სტუმრებს თავისუფალი თეატრის სცენაზე ალექსანდრე ვერტინსკისადმი მიძღვნილი მონოსპექტაკლი „ყვითელი ანგელოზი“

წარმოუდგინეს. მსახიობი ერთი ჩვეულებრივი კაფე-ბარის თეთრი მაგიდებითა და სკამებით გარემოცული (რომელსაც მის მიერ ნაამბობი ამა თუ იმ ეპიზოდის შესაბამისად განალაგებს და კონკრეტულ გარემოს იწყობს), სხვადასხვა სიგრძეზე დაკიდებული ნათურების განათების ფონზე, ყოველგვარი გარეგნული თუ სცენოგრაფიული ეფექტების გარეშე, თავისი სხეულის პლასტიკისა და საოცრად მგრძნობიარე თამაშით, ამავე დროს ფსიქოლოგიურად ზუსტად გააზრებული და გადმოცემული შეგრძნებებით მთელი სპექტაკლის განმავლობაში მაყურებელს თავისი სცენური ცხოვრების თანამოზიარედ აქცევს. ირინა მელვინეთუხუცესის ცხოვრებისგან დაღლილ და განამებულ პერსონაჟს სურვილი უჩნდება მაყურებელს თავისი მრავალტანჯული ცხოვრების გამოცდილება გაუზიაროს, ან უბრალოდ, ელაპარაკოს, ემოციებისგან დაიცალოს, გათავისუფლდეს და მოსმენისა და თანაგრძნობისათვის მადლობა გადაავიხადოს. „მე არ ვიცი, ვინ ვის დაეხმარა. ალბათ, თქვენ — მე“ — გვეუბნება მსახიობი სპექტაკლის ბოლოს და ჩვენც იგივე გრძნობა გვეუფლება და იგივე სიტყვების თქმა გვსურს მისთვის, ოღონდ ყოყმანისა და ეჭვის გარეშე. მსახიობის ნაამბობი და ალექსანდრე ვერტინსკის ნაღმივით ფეთქებადი სიმღერები, რომლებსაც ირინა მელვინეთუხუცესი ასრულებს, ერთიმეორის გაგრძელებაა, მუსიკისა და სიტყვების მონაცვლეობაა, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ, მიაღწიონ მაყურებელამდე და მსახიობის ცრემლიან თვლებში ჩვენი ცრემლებიც აირეკლონ.

ქორეოგრაფ თამაზ ვაშაკიძის მიერ ზაქარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში თანამედროვე ბალეტის ეგიდით წარმოდგენილი ქორეოგრაფიული კომპოზიცია „მატა ჰარი“ (მუსიკა გ. ძოძუაშვილის, მხატვარი ა. კალატოზიშვილი) არაერთ გულუბრყვილო კითხვას ბადებს. სად არის ბალეტი, თანამედროვე ან კლასიკური? ერთ-ერთი მაინც. თუ თანამედროვე ბალეტი სცენაზე გაუთავებელ

სიარულსა და (სიარულს კიდევ რა უჭირს), მაგიდებთან სხვადასხვა პოზაში ჯდომასა და ბანქოს თამაშს გულისხმობს, მაშინ ყველაფერი ნეკროგში ყოფილა და ჩემი პრეტენზიებიც საფუძველსმოკლებული, თუკი ცნობილი პრიმა-ბალერინასა და მსახიობ ნიკა თავაძის დუეტი მხოლოდ შეყვარებული წყვილის ხვევნა-კოცნასა და ხელისკვრა-ჩახუტებაში პოულობს გამართლებას, კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, მაგრამ თუ სხვებიც დამეთანხმებიან, რომ ლალი კანდელაკის შესაძლებლობების რეალიზება გაცილებით უკეთესად შეიძლებოდა და დრამატული მსახიობების (კახა ბაკურაძე, ნიკა თავაძე) მონაწილეობა მეტად გამართლებული, მაშინ თამაზ ვაშაკიძეს მოუწევს იმაზე ფიქრი, მსახიობებსა და ქორეოგრაფიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სათაური მაინც მოარგოს სპექტაკლის დედააზრს.

მოსკოვის სტას ნამინის მუსიკისა და დრამის თეატრი თბილისში ქეთი

დოლიძის მიერ განხორციელებული ებრილის „სერობით“ ჩამოვიდა. რეჟისორმა გადანყვიტა სპექტაკლის იდეა გაემძაფრებინა და უფრო ადრე კინოსა-სახიობთა თეატრში დადგმული იგივე სპექტაკლის ორი მთავარი როლის შემსრულებელი: რამაზ იოსელიანი (თომა) და მზია არაბული (მარიამ მაგდალინელი) მოსკოველთა წარმოდგენაში შემოიყვანა. ასე, რომ ორი თომა და ორი მაგდალინელი პარალელურად მოქმედებდნენ და რუსულ მეტყველებას ქართული ცვლიდა.

სპექტაკლში ქრისტეს დასაფლავებიდან მის აღდგომამდე პერიოდია ნაჩვენები და ამ პერიოდში მისი მონაფეების თომას, იოანეს, პეტრეს, იაკობის... (ა. კაზაკოვი, ვ. ზადონსკი, ა.სმერდოვი, ა. ნესტეროვი) მტანჯველი ფიქრები, დაბნეულობა, ეჭვი და მოლოდინი. ყველანი ერთ ქოხში შეკრებილან და თითქოს დახშულ სივრცეში არიან გამოკეტილნი. ყოველ ჩქამსა და გაფაჩუნებაზე დამ-



„მზითყალი ანგელოზი“. მსახიობი ი.მელვინეთუსუცეცი, თავისუფალი თეატრი.

სჯელი რაზმი ელანდებათ და ადგილს ვერ პოულობენ. მარიამ მაგდალინელი — იულია გრიგორიევა ერთადერთია, რომელიც საკუთარი ტყავის გადარჩენაზე კი არა, ქრისტეს ბედზე წუხს და მის დაბრუნებას ელოდება. მარტოდ დარჩენილ მონაფეებს რწმენა არ ყოფნით, რომ ქრისტეს აღდგომას მოთმინებით შეხვდნენ.

სპექტაკლის დასაწყისში სერობის სუფრასთან მიმსხდარ თეთრ ანაფორებში გამონყობილ მონაფეებს უეცრად ამოვარდნილი ქარიშხალი მიმოფანტავს და მათ ერთიანობას დაშლის. ისინი ეჭვის შავ სამოსელში გამოსვულნი ქვემოთ, მაყურებელთა დარბაზში მოწყობილ სასცენო მოედანზე ჩამოდიან და თავიანთ აზრებს ერთმანეთს ნერვიულად უზიარებენ. ზოგჯერ ყვირიან, წონასწორობას კარგავენ, იმედი ეწურებათ. თუმცა ის ცეცხლი, რომელიც ქრისტემ მათ გულელებში დაანთო, იმდენად ძლიერია, რომ სატანის ვერანაირი შემოტევა ბოლომდე ვერ აქრობს. იულია გრიგორიევასა და მზია არაბულის მარიამ მაგდალინელი მფარველი ანგელოზით დასტრიალებს მათ და უფსკრულში გადაჩეხვის საშუალებას არ აძლევს. შემდგომში ურწმუნოდ მონათლული თომა (ალექსანდრე კაზაკოვი, რამაზ იოსელიანი) განსაკუთრებით აქტიურობს ყველასთვის საჩოთირო აზრების სააშკარაოზე გამოტანაში და სხვებსაც მოუწოდებს ის თქვან, რასაც ფიქრობენ. მას აინტერესებს რამდენად ძლიერია დანარჩენების რწმენა და შეძლებენ თუ არა მის დარწმუნებას. თუმცა ამას ვერავინ ახერხებს თავად ქრისტეს გარდა, რომელიც მის ერთადერთ და შეუვალ მოთხოვნას: „სანამ თითს არ მივადებ მის ჭრილობას, მანამდე არ ვირწმუნებო“, იმიტომ კი არ აკმაყოფილებს, რომ თომამ ირწმუნოს, არამედ იმიტომ, რომ სხვებმა შეხების გარეშე ირწმუნონ.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში, მონაფეებს შორის მიმდინარე კამათისა და მსჯელობათა პერიპეტიების ფონზე, ერთი სიმი მუდმივად დაჭიმულია და ქარის ზუზუნის, ელვისა და ჭექა-ქუხილის, კარებზე კაკუნისა თუ სხვა გარ-

ეგნული ნიშნებით გადმოცემული დაძაბულობის მიღმა ერთადერთ შერძინებას აღძრავს — მოლოდინის. ქრისტეს მოლოდინის. პერსონაჟებთან ერთად ჩვენც დაძაბული ველოდებით და ... ყველა ფრაზასა თუ ექსტში მის ნიშანს ვეძებთ. თითქოს ჩვენი გონება მათთან ერთად ეძებს ხსნას და ისიც მოდის... სერობის სუფრა ისევ იშლება, მონაფეები ისევ თეთრ ანაფორებში გამონყობილნი, შენელებული მოძრაობებით მიუსხდებიან სუფრას ერთი სურვილით და ერთი თხოვნით: „ღმერთო, ჩვენ გელოდებით, მაგრამ არ ვიცით რა გავაკეთოთ და რისთვის. გვაპატიე!“ სინანული და შვება ერთდროულად მოდის და შუაში მდგარი ცარიელი სკამი ზემოდან სინათლის ნაკადით გასხვივონდება. ყველანი ნელ-ნელა ასწვევენ თავებს და გაკვირვებულნი მისკენ იყურებიან. ის უკვე აქ არის... ნათელი ნათლით, სული სხეულზე მეტად ხილული და რწმენა — გულიდან თვალში გამავალი.

ამჟამად თბილისში ქართველი მაყურებლისთვის უკვე კარგად ცნობილ ბერძენ რეჟისორ მიხეილ მარმარინოსთან ერთად „თესეონის“ თეატრალური დასიც ჩამოვიდა, რომელსაც იგი სათავეში უდგას (ეს იგივე „დიპლუს ეროსია“, ახალი სახელით) და რომლის მიერ ჩამოტანილმა სპექტაკლმა „რომეო და ჯულიეტა“ კიდევ ერთხელ გაგვაოცა და ალგვაფრთოვანა რეჟისორისა და მსახიობების მაღალი პროფესიონალიზმითა და ამ რეჟისორისათვის დამახასიათებელი სიღრმითა და მოულოდნელობებით.

სპექტაკლი იმ კაცის (მსახიობი გეორგოს ვალასი) მონათხრობით იწყება, რომელიც 23 წლის ასაკში „ახალი საუკუნის კრიზისით“ იყო დაავადებული და რომლისგანაც არავინაა დაზღვეული, ამიტომაც როგორც უკვე განკურნებული, ახალგაზრდობას უბრუნდება და ორი შეყვარებულის ტრაგიკული ისტორიის მოყოლას იწყებს. ამ წყვილს პირობითად რომეო და ჯულიეტა ჰქვიათ და მათ როლებს ასევე პირობითად ასრულებენ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: ანგელიკი პაპულია, ქრისტოს პასალისი, ელექტრა ნიკოლუზუ, გეორ-



სცენა სპექტაკლიდან „სერობა“

გოს ვალაისი, რენა ანდრეადაკი, დემეტრა პაპაქრისტიუ, ვასილის კარამბულასი), რომლებიც სხვა პერსონაჟებსაც ასევე მონაცვლეობით ინანილებენ.

რეჟისორი თითქოს სრულიად შემთხვევით, ყოველგვარი განზრახვის და წინასწარი ჩანაფიქრის გარეშე აწყობინებს მსახიობ გეორგოს ვალაისს ამბის თხრობას (იდეის ავტორი მიხეილ მარმარინოსი, ქართული თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა და ვერიკო მგელაძის), რომელმაც შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ უნდა გაგვახსენოს და არც სხვა, ჩვენსა თუ სხვათა ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები არ უნდა დაგვაფიქსოს. კაცობრიობის ისტორიაში ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ურთიერთზემოქმედებს, ადამიანთა გონებაში კი ეს უწყვეტი ჯაჭვი დაყოფილი და დაგლეჯილია ფრაგმენტებად, ეპიზოდებად, სურათებად... წერა-კითხვის უცოდინარი კაპულეტების მსახური (გეორგოს ვალაისი) უცნობ გამვლელებს კარ-

ნავალზე დასაპატიჟებელ სტუმართა სიას უწვდის წასაკითხად და ეგზისტენციალური ჩანართები მზისა და ღრუბლების ჭიდილზე, წამის წარმავლობასა და მისი შეჩერების მცდელობაზე, შეგრძნებათა ფიქსაციასა და ადამიანებს შორის უხილავი ძაფების გაბმაზე, მათ სიახლოვესა და სიშორეზე ერთად გაივლებს ამ ეპიზოდში. როდის რომელი ფრაგმენტი და ეპიზოდი ამოტივტივდება კოლექტიური თუ პირადი ცნობიერებიდან, მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რა პირობებში ვიმყოფებით. აგვისტოს სვავით დაორთქლილი ქუჩა ადამიანს გონებას უბნელებს, ანუხებს, აღიზიანებს და აგრესიას ბადებს. ჩხუბი, თუნდაც უმიზეზო და უაზრო, ამ კონკრეტული სიტუაციის განსამუხტად იქნებ ერთადერთი საშუალებაა? რეჟისორი ცდილობს ახსნას სისხლის მიზეზი, მოთხოვნილება, რომელიც ზოგჯერ მაგიურ წრედ იქცევა და დასაბამიდან აგვისტოს ყველა მცხუნვარე დღეს ერ-



სცენა საქმებალიდან „სმარობა“

თადერთი დღის ერთ წამში რკალავს — „მერკუციო მოკლეს!“ იქნებ, ამ წამის შეძახილმა შვა ტრაგედია, თუ ის მანამდეც არსებობდა ჰაერში, ატმოსფეროში, მტრობა რომ ჰქვია? რა არის მტრობა, კაპულეტია თუ მონტეგი, თუ ის ყველა ქუჩაში, ყველა სახლში, ყველა ჯიხურთან ჩასაფრებული უცდის თავის მსხვერპლს და ელის, სისხლს ელის?

წვეულება დაიწყო, გარეთ კი შავი ჭირი მძვინვარებს (რომელიც რეჟისორმა მსახიობების მიერ ერთიმეორის მიყოლებით ზურგზე გადაკიდებული გვამების შემოტანითა და ურიკაზე უწესრიგოდ დახროვების შემადრწუნებელი სცენით ასახა). თუმცა, ახალგაზრდული ვნებები უფრო დიდ ტრაგედიას დაატრიალებენ შიგნით, ორი შეყვარებულის გულსა და მათ ცხოვრებაში. ორი ოჯახის ცხოვრებაშიც და მათი მომხრეებისა და მონ-

ინაალმდეგეების, იქნებ მთელი ქალაქისა და მთელი ქვეყნის... მტრობა და სიყვარული ერთ ჭერქვეშ ვერ თავსდებიან და გარეთ გაიჭრებიან, სივრცეში. ეს სივრცე კი ამ საზარელი სენივით საშიშია. რა ჰქვია მას? ტრაგედია, ბედის უკუღმართობა თუ შავი ჭირი? თუ ყველაფერი ერთად?

რეჟისორის თვალში ცხოვრება ერთი გრძელი პოდიუმი, სადაც გრძნობების განცდა კი არა, დემონსტრირება ხდება და მსახიობებიც, რეალური და გამოგონილი ადამიანები ასევე რეალურ და გამოგონილ მოვლენებსა და მათ სიმბოლოებს გვაჩვენებენ: დრო ქვიშის საათით ჩამოივლის, ძალადობა-ნაჯახით, ღამე-სიშავით, მეგობრობა-ხელისხელგადახვეული მოღიმარი სახეებით, ყვითელი-ლიმონით, ბედნიერება — საპნის ბუშტიებით, ამაღლება — კიბით, ცხოვრება — ძირს დანარცხებული კვერცხით, არაფერი — ცარიელი ხელებით ... აირჩიეთ რომელიც გნებავთ, მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ ერთს მეორე მოჰყვება და თქვენი არჩევანი ბოლოს მაინც კვერცხივით დაიმსხვრევა ან საპნის ბუშტივით ჰაერში გასკდება.

პოდიუმის რიტმულ და ირონიით დამუხტულ მსვლელობას მთხრობელი უცებ აჩერებს და მოქმედების ადგილსა და დროზე მიგვანიშნებს. „სწორედ აქ, ამ დროს, ამ ვითარებაში შეხვდა რომეო ჯულიეტას და ერთ-ერთ ჯულიეტას (ანგელიკი პაპულია) ერთ-ერთ რომეოს (ელექტრა ნიკოლუზუ), ამჯერად ქალის სახით, წინ დაუყენებს. „ეს მათი სიყვარულის უძვირფასესი წუთებია“ და ისინი ერთმანეთის გარდა ველარავის ხედავენ. მოქეიფენი ერთ ადგილას თავბრუდამხვევად ტრიალებენ ხელებგაშლილნი, თითქოს ყველა თავის ჯულიეტასა და რომეოს ეძებს. ყველაფერი ჩვეულებრივად გრძელდება, მხოლოდ ამ წყვილის სხეულები, ერთმანეთი რომ იპოვნეს, დაგდაგებენ განსხვავებულად, რადგან მათი გულის ფეთქვის რიტმია განსხვავებული და მათთვის ახლა მთელი სამყარო ერთმანეთის თვალეშია მოქცეული

აივნის სცენის დაწყებამდე მსახიობები


ერთ რიგად ჩამწკრივებულნი, რიტმული ტკაპა-ტკუპით, თითქოს ტაშტში სახურავიდან ჩამოსული წყალი წვეთავსო, გრძელ მაგიდაზე ადიან და ერთად თავმოყრილნი თავიანთ რეალურობასა და არარეალურობას შეგვახსენებენ. ამ სპექტაკლში ყველა მთავარი პერსონაჟია და ეპიზოდური როლებიც ყველასია. ისინი ერთ მუშტად შეკრულნი მოქმედებენ, ერთმანეთში იყოფენ რეპლიკებსა და მონოლოგებს და მაყურებელს ნელ-ნელა აჩვენებენ თეატრალური ხელოვნებისთვის ესოდენ ბუნებრივსა და განუყოფელს, ზოგიერთებისთვის კი გაუცხოვებულსა და დავინყებულ პირობითობას. თუკი თეატრი უპირველესად პირობითობაზე დაფუძნებული სანახაობაა, მაშინ რა არის გასაკვირი იმაში, რომ შექსპირის პერსონაჟები ვერონას გარდა სხვაგანაც შეიძლება არსებობდნენ, რომ ჩინელი გოგონაც ისეთივე გულისფანქალით ელოდება თავის გულისსწორს, როგორც ჯულიეტა რომეოს. რომ მერკუციოს როლის შემსრულებელი (გეორგოს ვალაისი) სიკვდილის შემდეგ შეიძლება წამოდგეს და სხვა პერსონაჟად იქცეს (როგორც მანამდე იყო სხვა პერსონაჟი), ყველა პერსონაჟის ტყავში შეძვრეს, ითამაშოს და თან მოგვითხროს. რომეოდ ქცეული მსახიობი ქალი (ელექტრა ნიკოლუზუ) ჯულიეტას შესვლას და მერე თავად იქცეს ჯულიეტად. მოკლედ, აქ ყველაფერი შესაძლებელია და ყველა შესაძლებლობა — გამოყენებული.

მსახიობები რიგ-რიგობით ჩადიან და სამაგიდო სივრცეს, აივნის ფუნქცია რომ უნდა შეასრულოს, ერთ-ერთ ჯულიეტას — ანგელიკი პაპულიას უთმობენ. იგი მკვეთრი მოძრაობებით ხელებს უკნიდან წინ იქნევს, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი და მძიმე შეჯიბრებისთვის ემზადება. ეს ბედისწერასთან შეჯიბრია, რომელსაც ჯულიეტას ნაზი სხეული და სული მაღალქუსლიან ფესაცმელებზე შემდგარი ბორძიკითა და გაუბედავი ნაბიჯებით ეგებება. უკუნლამეში რომეოს სახელის ყოველ გაჟღერებაზე ქალადგაკრულ კედლებზე ნასროლი კენჭები ავისმომასწავებელ ექოს

გამოსცემენ და საფრთხის მოახლოებას ამძაფრებენ. ერთ-ერთი რომეო (ქრისტოს პასალისი) ავანსცენის კუთხეში მიკროფონთან ჩაცუცქეული შორიდან ადევნებს თვალს მის ყოველ მოძრაობას და თავისი სახელის გაგონებაზე წყვილიადიდან ჩურჩულით ეპასუხება. წინ გრძელი, ვინრო ყუთში ჩარგული ყვავილები უდევს: ბალის მინიატურული მოდელი, რომელიც ბოლოს მაგიდა-აივანთან მიაქვს და ქვემოთ დებს. მთელი ამ სცენის განმავლობაში ჯულიეტასთვის რომეო ბოლომდე უჩინარი რჩება. ისინი ერთმანეთს ფიზიკურად არ სვდებიან.

პირველი ლამის სცენაში, ლოგინის ფუნქციას სცენის ქვემოთ მდგარი გორგოლაჭებიანი ურიკა-ფიცარნაგი ასრულებს, ცოტა ხნის წინ შავი ქირისგან განყვითლი ხალხის გვამებს რომ ვერ იტყვდა და სულ მალე რომეოსა და ჯულიეტას აკლდამად რომ იქცევა. ახლა იგი ორი უმანკო არსების სასიყვარულო სარეცელია და მასზე ყველა შეყვარებული წყვილის თვალთა მიბჯენილი. წელსზემოთ შიშველი რომეო-გეორგოს ვალაისი და შავ, მუხლებამდე ლაბადაში უხერხულად შებოჭილი, ათრთოლებული, თვალეზე ხელაფარებული ჯულიეტა — ელექტრა ნიკოლუზუ, რომელიც თავის პირველ და უკანასკნელ ლამეს ნელი, მტანჯველი და აკანკალებული მოძრაობებით აცილებს.

ტიბალტის მოკვლისთვის ქალაქიდან განდევნილი რომეო-ქრისტოს პასალისი კედელს აკრული, თითქოსდა ხელფეხშებორკილი ელოდება ბალთაზარის მიერ მოტანილ თავზარდამცემ ამბავს და ასევე უძრავად, მხოლოდ სახეზე აღბეჭდილი უსაზღვრო ტანჯვით, ქვითინითა და შემზარავი სრიალით ღებულობს მას, რის შემდეგაც უკუღმართ ბედთან საბოლოოდ გაბრძოლების უინით სანამლავით ხელში მიჰქრის აკლდამისაკენ. გამოღვიძებული ჯულიეტა — ანგელიკი პაპულია, გაოგნებული იყურება გარშემო და ვერ გარკვეულა, თუკი თვითონ ცოცხალია, რატომ არის რომეო მკვდარი, ანდა, თუკი რომეო უკვე მკვდარია, მაშინ აქ რაღა დარჩენია და მის ტუჩებზე ენაფება მისგან დატოვე-



თეატრში გასულ წელს განხორციელებული და ამჟამად კვლავ აღდგენილი „ეროვნული ჰიმნი“ ვიხილეთ..

დარბაზის გვერდითა კარებში მსახიობი ლია კაპანაძე ფიალით ხელში ქართველის დედასავით გამოჩნდება. დოინჯ შემოყრილი, ამაყად თავანული დემონსტრირებას უკეთებს არა იმ ფიალას, რომელშიც ღვინო ნამდვილად არ ასხია, არამედ იმ „ჭურჭელს“, რომელიც ყველაფერს იტევს: დიდსაც და მცირესაც, სასარგებლოსაც და უსარგებლოსაც, მოძრავსაც და უძრავსაც. მსახიობი ლია კაპანაძე ამ შემთხვევაში არც მსახიობია და არც — ლია კაპანაძე, ისევე როგორც წრეზე მოსარულე სხვა მსახიობი-ნიმუშები (გიორგი ნაკაშიძე, მზია არაბული, ლალი კეკელიძე, ვანო თარხნიშვილი, თორნიკე ბზიავა, თამარ ბზიავა, იმედა არაბული, ირინა გიუნაშვილი, ნინო მუჯირიშვილი). საგნები, რომლებსაც ისინი დაატარებენ — ფიალა, სანთებელა, სიგარა, მობილური ტელეფონი, პიჯაკი, პალტო... მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პირველი პუნქტია, პოდიუმზე მსვლელობას დამსგავსებული ცხოვრება კი - მისი ბუნებრივი შედეგი. რატომ უყურებ ჩემს პიჯაკს და რატომ ვერ მამჩნევ მე, რომელიც ვატარებ მას არა როგორც საკიდი, არამედ როგორც პიროვნება. შენ გინდა ჩაიცვა ის, რაც მე მაცვია, მაგრამ მაშინ შენც ჩემი თვალებით უნდა შეხედო ამ სამოსს და განა ეს შესაძლებელია? — თითქოს ამ აზრს ტკეპნიან სანტანას რიტმული მუსიკის ფონზე უცვლელი რიტმითა და ენერგიული, მაღალი ნაბიჯებით მოსიარულე მსახიობები. ყველა თავისებურად დადის, თავისებური პოზა უჭირავს და თავისი შერჩეული გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი სახეზე. მათ მოაქვთ თავიანთი თავი, ისტორია და დღევანდელი დღე და ეს არც ისე მარტივია, როგორც დარბაზის შემოსასვლელ კარებთან მდგარი გიორგი გიორგანაშვილის მიერ კალენდრის ფურცლებივით ამოგლეჯილი წლები ჭიპლაროვით რომ მიჰყვება არქტიპური თუ პირადი მესხიერების რემინესცენციური ნაკადი. მესხიერება მუშაობს და

ბულ სიკვდილის ნარჩენებს, ზედ აკვდება და კოცნით, პირველყოფილი ბგერებითა და მთელი სხეულით ამბობს ერთადერთ ფრაზას, რომელსაც მთხრობელი ახმოვანებს: — „შენთვის!“

17 ივნისს, ფესტივალის საზეიმო დახურვაზე თეატრალური ლაბორატორიის „ტერა ინკოგნიტას“ პროექტის „მიხეილ თუმანიშვილის მემკვიდრეობა“ პირველი წიგნის „მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს“ პრეზენტაცია გაიმართა. ამ მემკვიდრეობის გამოცემის იდეა ქეთი დოლიძეს ეკუთვნის. ბადრი პატარკაციშვილისთვის ამ იდეის გაცნობა საქმის დასაწყისად იქცა, ხოლო ნათელა ურუშაძის, მანანა გეგეჭკორისა და ელენე თუმანიშვილის თავდადებული შრომის შედეგად ეს უმნიშვნელოვანესი საქმე რეალურად განხორციელდა და დიზაინერ ბესიკ დანელიას მიერ მაღალ დონეზე ილუსტრირებული და გაფორმებული წიგნი დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას ქეთი დოლიძემ სიამაყით წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის გახსნაზე მიხეილ თუმანიშვილის კიდეც ერთი წიგნის „Введение в режиссуру“-ს (რომელიც ანატოლი ვასილიევის „დრამატული ხელოვნების სკოლის“ მიერ გამოიცა) პრეზენტაცია შედგა.

ფესტივალის დასკვნით სპექტაკლად მიხეილ მარმარინოსის კინომსახიობთა

იღლება. არ მახსოვს, ამბობს გადაღ-
ლილი გონება და გზას აგრძელებს.

1981 წელი. თბილისის „დინამო“ ამ-
არცხებს გერმანიის „ვარლ ცეისს“ ... წელი
— მე დავიბადე. ... წელი — მე ჩავირი-
იცხე. 1989 წლის 9 აპრილი — პირვე-
ლად ჩემს ცხოვრებაში ვნახე ნამდვილი
ტანკი. ... წელი — არ მახსოვს.

მათ მოაქვთ თავიანთი თავი, ისტო-
რია და დღევანდელი დღე — მნიშ-
ვნელოვანი, სასაცილო თუ სევდიანი.
პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ყოფი-
თი, კრიმინალური თუ სპორტული. უმ-
ნიშვნელო ან საერთოდ დავიწყებული
და ეს არც ისე მარტივია, როგორც
„მაღალი ხარისხის მოგონებები ხელმის-
აწვდომ ფასად“ თუკი ის Kodak-ის რე-
კლამად იქცევა.

რეჟისორს აინტერესებს თითოეული
მსახიობის აზრი. სპექტაკლში ეს მო-
საზრებები ერთმანეთს გადაკვეთს, თანხ-
ვდება და ისევ გადაკვეთს.

თემა: რა არის ქალაქი? თემა: რა
არის ეროვნული ჰიმნი? და ასე შემ-
დეგ. პრობლემები და პრობლემური თემები
ძალიან ბევრია. ერთი პასუხობს, ან
რალაცას ყვება. დანარჩენები უსმენენ,
პარალელურად ლაპარაკობენ, ბოლომ-
დე ვერ უსმენენ. და ბოლოს ყველანი
ერთად it's, it's enough! — თითქოს
საიტიოდან გამოსცემენ ექოს. „სტოპ
კადრივით“ ჩერდებიან და მერე ისევ
აგრძელებენ. მოსაუბრეს რალაც დაავი-
წყდა და იხსენებს... ხმა, რომელიც მის
გარდა ყველას ესმის, მისი გონებიდან
მოდის. ჩვენთვის კი ეს ილუსტრირებუ-
ლი ხმაა, რომელიც გვესმის, მაგრამ
მის მნიშვნელობას ვერ ვიგებთ. It's
enough! წერტილს უსვამს აზროვნების
პროცესს.

ეროვნული ჰიმნის სახით უარყო-
ფილია აწყობ, ანუ ის პრობები, რომელ-
შიც ჩვენ ვცხოვრობთ. ზოგი წარსულს
იგონებს, ზოგს მომავლის იმედი აქვს,
აწყობს კი არავის სჯერა. ხალხი თავ-
ვად უარყოფს თავის შექმნილს. წარსუ-
ლი მისაღებია, რადგან უმოქმედოა,
საშიში არ არის. მომავალიც ფიქრია,
ოცნება. არც ის არის საშიში. მხოლოდ
აწყობ გვაშინებს. ის ერთგვარი მონ-

სტრია, რომელსაც ყველა გაურბის ან
წარსულში, ან მომავალში.

სპექტაკლში მოქმედება მაყურებელ-
თა დარბაზში ოთკუთხედად განლაგე-
ბულ გაშლილ სუფრასთან მიმდინარე-
ობს. ამ სუფრასთან მაყურებელი და
მსახიობები როგორც ქართულ სუფრას
შეშვენის, სადღერგძელოებს წარმოთქ-
ვამენ, ქვეყნისა თუ პირად სატკივარზე
მსჯელობენ, კამათობენ, ცეკვავენ, მღე-
რიან, ტირიან და იცინიან. ყველაზე
ბედნიერი კი იხდიან კიდეც. ექსტაზის
წუთებში სიყვარულით ივსებიან და არ
რცხვენიათ...

ფინალურ სცენაში მაყურებელი და
მსახიობები ერთად ცეკვავენ ცეკვას,
რომელსაც თამარ ბზიავა სათითაოდ
ასწავლის ყველას და წყვილებად აყ-
ენებს. მსურველები დაუპატიჟებლადაც
გამოდიან და მთელი სპექტაკლის გან-
მავლობაში მიღებულ ემოციას ერთბაშ-
ად ათავისუფლებენ. მზიარული საცეკვაო
მუსიკა ახალ-ახალი შემართებით იწყება
და ალბათ, არც არავინ გაჩერდებოდა,
რომ არა ისევ თამარ ბზიავას ჩარევა.
თუმცა მას ყველანი მაინც არ ემორ-
ჩილებიან და ოფლში გახვითქული
გიორგი ნაკაშიძე მუსიკის რიტმში წელ-
წელა იხდის, თან ბედნიერებისგან სახ-
ეგაბრწყინებული სიტყვებით გვამცნობს:
„მე ძალიან ბედნიერი ვარ!“. არაქათგა-
მოცლილი ცეკვავს და იმეორებს: მე
ძალიან ბედნიერი ვარ... მე... ძალიან
ბედნიერი ვარ... მე... მე... შემიძლია გა-
ვისხადო თქვენთვის! მას ვანო თარხნიშ-
ვილი და თორნიკე ბზიავა უერთდები-
ან... დანარჩენები კი ღვინის ჭიქებით
ხელში მაგიდის გარშემო დაჰქრიან და
სადღერგძელოებს გაჰყვირიან. ეს ქარ-
ბორბალა თითქოს თავში გიტრიალებს
და სუნთქვას გიკრავს... გამოსავალს ეძებს.
უცებ ყველაფერი ჩერდება, დუმდება
და სრულ სინყნარეში ნახევრად ჩაბ-
ნელებულ, მოციმციმე შუქით განათე-
ბულ სივრცეში ერთ სწორ ხაზზე ჩამ-
წკრივებულ მსახიობებს შორის გამოყო-
ფილი მზია არაბული ჩურჩულით, ნან-
ყვეტ-ნანყვეტ, აგონიაში მყოფივით წარ-
მოსთქვამს — მამაო ჩვენო...

ნათია ყაფიანი

ნუგზარი და მეფისტოფელი

გერმანელი ხალხის ლეგენდარული გმირი, ექიმი იოჰანე ფაუსტი რეფორმაციის პერიოდში ცხოვრობდა (1480-1540). ჯერ კიდევ დაუდგენელია მოხერხებული თაღლითი იყო, თუ მართლა განათლებული კაცი, ალქიმიკოსი, ასტროლოგი, თუმცა, ერთი რამ ცხადია: ფაუსტი სიცოცხლეშივე თანამედროვე გერმანელთა შორის ლეგენდად იქცა. თქმულების თანახმად, მან ეშმაკს დაუთმო სული, რათა დაეკმაყოფილებინა ცოდნის სურვილი და მოეპოვებინა ზებუნებრივი ძალა. ხალხი ფაუსტს მიანერდა ყველა შესაძლო სასწაულს, იზიარებდა მის წარმატებებს, მხარს უჭერდა, მის მიმართ დიდ სიყვარულს გამოხატავდა.

1587 წელს ასეთი სიყვარულის და პატივისცემის ფონზე, ფრანკფურტში გამოდის „ნიგნი ხალხისთვის“, რომლის ავტორი იოჰანეს შპისი განიხილავს ფაუსტის უწმინდურ და წარმართულ ცხოვრებას. შპისს უნდოდა ფაუსტის მა-



სცენა სპექტაკლიდან „ნუგზარი და მეფისტოფელი“.

გალითზე ხალხსთვის ეჩვენებინა, როდენ დამღუპველი იყო ადამიანური თავდაჯერებულება, მაგრამ ამ ნაწარმოებით ფაუსტის სახელი კიდევ უფრო ამაღლდა.

ლეგენდის პირველი დრამატული ნაწარმოები ეკუთვნის ინგლისელ დრამატურგს ქრისტოფერ მარლოს, რომლის პიესის მიხედვით ბევრი სპექტაკლი დაიდგა.

არაერთხელ ითქვა და დაინერა ფაუსტზე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელო-

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მკითხველს კიდევ ერთ ახალგაზრდა კრიტიკოსს წარუდგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესანიშნავი ტრადიციაა და უდიდეს როლს ასრულებს, როგორც ახალბედა პროფესიონალების დაოსტატიების საქმეში, ისე ახალი ხედვის მომავალი თაობის პირველი შეფასებებისა და პოზიციების წარმოდგენაში, რომლებიც შესაძლოა, შემდგომ უფრო ფართო მოვლენად იქცეს. მინდა მეორეკურსელ ნათია ყაფიანს შევხვედეთ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სახელით ამ პუბლიკაციით კრიტიკოსის მეტად საინტერესო და რთული გზა დაველოცო. იმედი მაქვს, მკითხველი დაიმახსოვრებს ნათიას განონასწორებულ, ემოციურსა და ამავე დროს პრინციპულ მანერას.

პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი

ვანი მაინც გოეთეს ტრაგედიაა.

მსოფლიოში ძალზე ცოტაა ისეთი ნაწარმოები, სადაც ასე ღრმად და ამადღევებლად არის დასმული ე.წ. „ფაუსტური პრობლემა“ — ადამიანის არსის, მიზნის და ცხოვრების დანიშნულების საკითხი.

ახლახან კი ამ ლეგენდას თავისებური, ქართული ინტერპრეტაცია შესძინა ლაშა ბულაძემ. მან ფაუსტის პრობლემა უკანა პლანზე გადასწია და პიესა დღევანდელობას დაუკავშირა თავისი პერსონაჟების ცხოვრებით, ანუ ქართველის ფსიქოლოგია წამოსწია წინ. ავტორი ირონიით განიხილავს იმ საკითხს, რომ საქართველოში მოდაში შემოვიდა ეკლესიაში სიარული. თუ ფული გაქვს, უნდა ააშენო ეკლესია, თუნდაც იქ ეშმაკი შეასახლო, მთავარია, რომ ყველასთან რელიგიურობას აფიქსირებ.

ამ ირონიამ და ჰომოსექსუალისტი ეშმაკის საუბარმა კიდევ უფრო კომედიური გახადა სპექტაკლი.

რეჟისორი გოგა თავაძე პრდაპირ მიანიშნებს, რომ ადამიანი ფრთხილად უნდა იყოს, რადგან შესაძლოა მისი უახლოესი მეგობარიც მეფისტოფელი აღმოჩნდეს. იმდენად თანამედროვედ და ბუნებრივად არის ეს გმირი შექმნილი, რომ იქნებ, მასში შენი რომელიმე ახლობლის თვისებასაც წააწყდე.

არ არის აუცილებელი ზეცით მოვლენილი, რქიანი და თმიანი იყოს ეშმაკი, შეიძლება ქუჩაში ადამიანის სახით შეგეფეთოს, გაგიღიმოს და მეგობრულად გაგესაუბროს.

სპექტაკლის დაწყებისთანავე შთაბეჭდილება გექმნება, რომ სახლი ბინძურ ადამიანს ეკუთვნის, ოთახი გაჟღენთილია ჭუჭყის სუნით. მხატვარმა მურაზ მურვანიძემ უცნაურად გადანყვიტა ნუგზარის საცხოვრებელი ადგილი. „რატომღაც“ დაკიდებული ბეტონის კედლები, რომლებზეც მიმოფანტულია დიდი თეთრი ვირთხები. ოთახში ერთი მაგიდა და ჭაღია, რომელიც სახრჩობელად უფრო გამოდგება ვიდრე განათების საშუალებად და ორი აბაზანა, რომლებიც ხან სანოლის, ხან ნავის და ხანაც რესტორნის როლს ასრულებს, სადაც შეი-

ძლება საყვარელი ქალი დაპატიჟო.

ამ ავლადიდების პატრონი ერთი გაუნათლებელი კაცია, დაკარგული თაობის წარმომადგენელი. მას ცხოვრებაში არავინ და არაფერი აინტერესებს. არც ნუგზარი იცის ვინმემ, მისი მეზობელი გელას გარდა, რომელიც თავის ცოლსა და სამსახურზე სანუნუნოდ უფრო შემოუვლის ხოლმე მეგობარს. თითქოს არც სარდაფის არსებობა გაუგია ვინმეს, თუმცა, ნუგზარს აქ თავისი ფანტაზიამოკლებული სამყარო შეუქმნია.

ასეთი სიმდიდრის ადამიანის კოსტიუმიც შესაბამისია, ჭუჭყიანი და ძველი სამოსი. ნუგზარის ჩაცმულობა ზუსტად მის საყვარელ ფრაზას ასახავს „სულ მკიდია“.

მსახიობ ნიკა თავაძის ფიზიკური მომხიბვლელობა წვერით და გაბურძენული თმით არის დაფარული და თითქოს მისი არტისტული ნიჭიც ამ გაბურძენულმა თმამ დაფარა. მისი ხელების ქნევა და უესტიკულაცია ზომიერებასაა მოკლებული, მას სურს ნასვამ ნუგზარს დაამტკიცებინოს, რომ არაფერი ადარდებს. თუ ორ ჭიქა არაყს დაღვეს და გელას გაესაუბრება, თავს მშვენივრად იგრძნობს.

ნუგზარი ფაუსტისგან დიდად განსხვავდება, მათი აზრები, მათი ცხოვრება, მათი სიბრძნე ორი უკიდურესობაა. ავტორს სურს, დაამტკიცოს, რომ მეფისტოფელისთვის არ არსებობს ასაკი, საზოგადოებრივი ფენა და განათლება, ყველასთან მივა, ვისაც სჭირდება, ყოველთვის გვერდით დაუდგება.

ადამიანი ყოველთვის თვითონ იხმობს ეშმაკს, როდესაც მარტოა, არავინ უყვარს და არც თვითონ ფიქრობს ვინმეზე, როცა ყველა ძარღვი მოღუნებულია და არ გააჩნია მიზანი, რისთვისაც შეიძლება იბრძოლოს, იგი მიდის თვითმკვლევლობამდე, ამ დროს დაუცველი და უსუსური ადამიანის გვერდით ჩნდება მეფისტოფელი და უკვე გზააღდენილს, სიცოცხლეზე ხელჩაქნეულ კაცს ყველანაირი წინადადება მისაღებად მიაჩნია, რომ ცხოვრება გაილამაზოს თუნდაც სულის სანაცვლოდ.

სპექტაკლის დასაწყისში ნუგზარის ყოფა ასეთი უფერულია. თვითონაც ვერ

ხვდება, რა უნდა ამ ცხოვრებისაგან, რადგან დიდხანს ფიქრს არ არის მიჩვეული, ინსტინქტის დონეზე ხვდება, რომ არაფერი სურს და იგი თავს სახრიობელაზე სრის.

ამ ფაქტს შემოსწრებული გელა გაცეზულია, ვერ ხვდება, რატომ უნდა მოიკლას კაცმა თავი, რომელსაც თვეში ასი დოლარი აქვს შემოსავალი (მამი-დამისის გაქირავებული ბინიდან), მისთვის ხომ ეს არის მთავარი.

სპექტაკლში გელას არც ერთი ოჯახის წევრი არ ჩანს, მაგრამ მისი საუბრიდან ირკვევა, რომ მას ნამდვილი ქართული ოჯახი აქვს, ქართული მენტალიტეტით. მისი პრობლემებიც ოჯახიდან გამომდინარეა, რამდენი მკვდარი შევა ბიუროში, რომ მის ცოლს ნანას დროზე მისცეს ფული, ზაფხულში ბავშვები ზღვაზე წაიყვანოს, ზამთარში — ბაკურიანში, გააჩუმოს სიდედრი, რომელიც განუწყვეტლივ ბუზღუნებს და გელას ცხოვრებისეული შიში იმის, რომ სიმამრით ჭურჭელი არ რეცხოს და სახლი არ ალაგოს, რაც როგორც მამაკაცისათვის, ძალიან შეურაცმყოფელია.

გელა, გარდა იმისა, რომ მუშაობს, ქუჩაშიც დიდ დროს ატარებს ტოლ ბიჭებთან ერთად. მსახიობ თემო ნატროშვილს კარგად აქვს ქუჩიდან სცენაზე გადმოტანილი ე.წ. „ძველები-ჭური“ სახე. მათი საუბარი, ხელების ქნევა და დაყენებული ხმის ტემბრი. თუმცა, გელა უშას ხმის ტემბრში ბზარი ჩნდება, როდესაც მეფისტოფელს დაინახავს ოთახში.

მეფისტოფელი სცენაზე შთამბეჭდავად, კვამლში გახვეული ამოდის. მდიდრულად

გამონწყობილი, გგონია, რომ მისი მკაცრი სახე და ხმა შიშს მოჰგვრის ნუგზარს, მაგრამ ამ დროს ეშმაკი საოცრად მოხდენილად იწყებს სიარულს, ნაზი მიხვრა-მოხვრით და მაყურებელი ერკვევა მის ორიენტაციაში. ქცევებიდან გამომდინარე შეგვიყვარდება კიდეც ეს დაუნდობელი ეშმაკი. საყვარელი, თბილი, ბავშვივით მიამიტი, მისი თვალთმაქცობა ბოლო ნუთმდე არ ჩანს და მეფისტოფელს დადებით გმირად იღებ.

მისი კოსტიუმები 500 წლის მოდა-გამოცვლილი კაცისთვის შესაფერისია, ხან ნაპოლეონისდროინდელი და ხანაც ელვის პრესლის მუსიკის ფანის სამოსი აცვია. ხოლო ბოლოს, როცა 21-ე საუკუნის მოდაში გაერკვევა, ტყავის მოტკეცილ შარვალს ჩაიცვამს და ბლანჟეს ჩაინნავს, რაც კიდეც უფრო სასაცილოს ხდის მას.

მეფისტოფელს ნუგზარის გადმოსაბირებლად დიდი დრო არ დასჭირვებია. მან ადვილად შეაცდინა ეს გაუნათლებელი და უსუსური კაცი, რომელსაც ბოლომდე ჰგონია, რომ ეშმაკი მოატყუა. ნუგზარის როგორც პატრიოტის არჩეული ქართული მოდელი, ქართველი მდიდარი კაცების ცხოვრების წესის მიხედვით არის შედგენილი — ცოლი, საყვარელი, ქეიფი, დროსტარება და



სცენა სპექტაკლიდან „ნუგზარი და მეფისტოფელი“.

დიდი ღია. ხელშეკრულების შეთანხმების შემდეგ ნუგზარი ხელს აწერს ფურცელს, მან გადაწყვეტილება მიიღო — სხეულის ჰარმონია სულის დისკომფორტს არჩია.

მეფისტოფელი მას მონობას შეჰპირდა, მაგრამ თვითონ ნუგზარი ცხოვრებაშივე ხდება მისი მონა.

მოგზაურობიდან დაბრუნებული ნუგზარი ძალიან სიმპათიურად გამოიყურება, დაბანილი, გაპარსული და თავმოვლილი. აქ უკვე გამოჩნდა ნიკა თავაძის გარეგნობა, რომელიც ძალიან შეეფერება სულმიყიდული ნუგზარის სახეს, შავებში ჩაცმული, დაყენებული დიდკაცური მანერებით, მსახიობი უფრო ამაყად დააბიჯებდა სცენაზე.

ნუგზარს ასრულებული სურვილებიც ბეზრდება და ახსენდება სკოლისდროინდელი შეყვარებული ქეთუშა.

ქეთუშა დროს ჩამორჩენილი ქალია, 40 წლის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ბავშვობის მოგონებებით ცხოვრობს, სწორედ ბავშვობის წლებში მოგზაურობით მოხიბლა ნუგზარმა ეს ცხოვრებაზე შეშინებული ქალი.

ეკა ჩხეიძე თავის შებოჭილ, დაკომპლექსებულ გამირთან შედარებით, უფრო გახსნილი, თავისუფალი და არაჩვეულებრივი პლასტიკით გამოირჩეოდა სცენაზე.

დროში მოგზაურობას თან ახლდა შესაბამისი წლის მოდური სიმღერა და ცეკვა. ეკა ჩხეიძე და ნიკა თავაძე თავისუფლად მოძრაობდნენ. თითქოს მართლა ბავშვები იყვნენ ისე ლაღად ცეკვავდნენ. თითოეულ მოძრაობას თან ახლდა წარსულის მოგონება და ღიმილი.

ეს უსუსური ქალიც ერთვება ამ ბინძურ დანაშაულებრივ ცხოვრებაში. სულის გამყიდველი ნუგზარი კი, რომელიც მარხვაზეა და ეკლესიას აშენებს, ტყუილს ვერ კადრულობს და ცოლს მომავალი საყვარლის თაობაზე უყვება ყველაფერს. ეს ბოლო წვეთი იყო ქეთუშასათვის, რომელიც ისედაც ვეღარ უძლებს ასეთ ქაოსს, ერთდროულად ამდენი ცოდვა, ამდენი დამცირება მისთვის ზედმეტია და ჭკუიდან გადადის.

ნუგზარს მარტო, პირისპირ რჩება სა-

ტანასთან, რომელიც უკვე გამოაჩენს თავის დემონურ ხასიათს.

თუმცა არა მარტო ნუგზარია მსხვერპლი, არამედ მისი მეუღლე და მეგობარი გელა, რომლებიც სიამოვნებით იღებდნენ ნუგზარის სულის სანაცვლოდ მიღებულ საჩუქრებს. ყველას ჰგონია, რომ გაექცა ეშმაკს, ნუგზარიც ამის იმედით, ყველაზე ცუდ გზას ირჩევს, გზას, რომელიც თვითონ მეფისტოფელს ჰქონდა ჩაფიქრებული. იგი ისევე როგორც დასაწყისში სახრჩობელაზე ხრის თავს.

ეს სცენა ძალიან შთამბეჭდავია, სახრჩობელაზე ჩამოკიდებული მსახიობი ინევა ზევით და რამოდენიმე წამი ჰაერში კიდეა, შიშს ინვევს მაყურებელში ის ფაქტი, რომ შეიძლება მართლა დაიხრჩოს ნიკა თავაძე. ბოლომდე აწეული სხეული იმალება და ზევიდან ვარდება მანტია. მეფისტოფელი კი უკვე სატანური, ცინიკური გამომეტყველებით იღიმის, მანტიას ვედროში დებს და ჯოჯოხეთის ამინდის პროგნოზს აცხადებს: ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, 10¹⁰ სიცხე, კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება.

ფინალი რეჟისორის მიერ არის შეცვლილი. პიესის ბოლოს ისევ ნუგზარის ოთახია, თავის მეგობარ გელასთან ერთად ზის და ტელევიზორს უყურებს, იქ კი მეფისტოფელი ჩნდება და ამ ამინდს აცხადებს. ნუგზარი კი, რომელსაც ეგონა, რომ ეს საშინელი ჯოჯოხეთური სიზმარი დამთავრდა, ხვდება, რომ ყველაფერი თავიდან იწყება — ჩაირთო ტანჯვის წამზომი.

ლაშა ბუღაძე კი, როგორც ავტორი, შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, რადგან სპექტაკლში ვერ ხედავს პიესას. მისი აზრით, „რეჟისორი დრამატურგს ნერტილ-მძიმეს უნდა უთანხმებდეს“. მის ამ ამბიციას პასუხი გაეცა და საზოგადოებამ „ნუგზარი და მეფისტოფელი“ წლის საუკეთესო პიესად დაასახელა ფესტივალზე „საბა“.

სპექტაკლი დასრულდა, მაგრამ არ დასრულებულა ეს მარადიული თემა. ხვდები, რომ მეფისტოფელი მარტო ფაუსტის ეპოქაში არ იყო და იგი კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია.

ან ა ეხნი უქილი

ახალი „ძველი სახლი“



სცენა სცენარეულიდან
„ძველი სახლი“
სმრგო — შანო ინსტატიკი.

**„ნგრევას, ო, ნგრევას,
დაუნდობელ ნგრევას ძველისას...“
გალაკტიონი**

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მცირე დარბაზში მაყურებელს წარუდგინა თავისი ახალი ნამუშევარი — ორმოქმედებიანი ტრაგიკომედია „ძველი სახლი“ /დამდგმელი რეჟისორი — გოგი ჩაკვეტაძე, მხატვარი — მაია სხირტლაძე, მუსიკალური გაფორმება — ლეონ მანველის, ქორეოგრაფი — მიხეილ ჯიდალიშვილი/. სპექტაკლს საფუძვლად დაედო ოთარ მამფორიას პეისის „მეტეხის ჩრდილში“ გათანამედროვეებული სცენური ვერსია, რომელიც რეჟისორ გოგი ჩაკვეტაძის დაკვეთით სპეციალურად თელავის თეატრისათვის განახორციელა ფიქრია ყუშიტაშვილმა.

რუსთაველის თეატრის 60-იანი წლების სპექტაკლმა „მეტეხის ჩრდილში“, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის საინტერესო, იუმორით აღსავსე სასცენო ინტერპრეტაციისა და ბრწყინვალე სამსახიობო ანსამბლის — სერგო ზაქარიაძის, იპოლიტე ხვიჩიას, ემანუელ აფხაიძის, თამარ თარხნიშვილის, ეკატერინე ვაჩნაძის, ჯემალ ლალანიძის, ნუგზარ ჯუღელის და სხვათა გამო იმთავითვე მოიპოვა მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული

და მრავალი სათეატრო სეზონის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კომედიად იქცა. „მეტეხის ჩრდილში“ მოხსნა სათეატრო ანშლავის არაერთი რეკორდი და კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი განუმეორებელი ხიბლი. მაყურებელი მეორედ, მეხუთედ, მეათედ ესწრებოდა სპექტაკლს. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის მოგონებით /იგი იმხანად რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილს განაგებდა/, სპექტაკლის „მეტეხის ჩრდილში“ ყოველი წარმოდგენა მაყურებელთა გადაჭედილი დარბაზის ჰომერული სიცილის თანხლებით მიმდინარეობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ო. მამფორიას ეს პეისა იმ წლებში თავად თელავის თეატრშიც დაიდგა /რეჟ. ნოდარ დეისაძე/ და არცთუ წარუმატებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთობ რთული გახლდათ რეჟისორ გოგი ჩაკვეტაძის პოზიცია, როცა მან არჩევანი სწორედ ამ ნაწარმოებზე შეაჩერა, თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ მის რეჟისორულ ინტერპრეტაციას არაფერი აქვს საერთო ოთარ მამფორიას პეისაში არსებულ ისტორიასთან. ამჯერად სპექტაკლის ავტორებმა ამ ნაწარმოების მოტივებზე შეთხზეს სრულიად განსხვავებული ვერსია, სადაც მენაღე შაქროს ყველა სტუმარი

თუ ამვლელ-ჩამვლელი: მეყვავილე, მღე-
სავი, მეეზოვე, ფოსტალიონი, მემანწენე
თუ მეთევზე, რომლებიც ო. მამფორიას
პიესაში რეალური პერსონაჟები და ძია
შაქროს თანამედროვენი არიან, ხარაზ
სერგოს სიზმარეულ ზმანებებად ქცეუ-
ლან და სერგოც გაცილებით ბედ-
ნიერია სიზმარში, ვიდრე ცხადში, რად-
გან სიზმარი მას უწინდელ დროსთან
აკავშირებს, როცა ადამიანები უფრო
ლმობიერნი, კომუნიკაბელური იყვნენ,
როცა კაცური სიტყვის ფასი და მად-
ლი არსებობდა.

გ. ჩაკვეტაძის „ძველი სახლი“ ეს
არის სახლი, სადაც, როგორც ბერნარდ
შოუ იტყოდა, იმსხვრევიან გულები და
უფრო მეტიც — იმსხვრევა მთელი
ეპოქა. ძველი სახლი და მისი ერთგუ-
ლი ბინადარი ხარაზი სერგო /შემთხ-
ვევით არ არის, რომ იგი სწორედ
დიდი სერგო ზაქარიაძის სეხნიად აქ-
ციეს სპექტაკლის ავტორებმა/, რომელ-
საც მისი გაზულუქებული მეზობლები
„მეჯღანედ“ და „ყანად“ მოიხსენიებენ,
გახდა კრებითი სახე — სიმბოლო
მთელი თაობისა, იმ კოლორიტული
სამყაროსი, განუმეორებელი სურნელი,
გამორჩეული ხიბლი რომ შესძინეს გასულ
საუკუნეს. მათ გარეშე ხომ წარმოუდ-
გენელია უწინდელი თბილისი, და თუ
გნებავთ, უწინდელი თელავიც. სპექტაკ-
ლის ავტორები ცდილობენ განაზოგა-
დონ მოქმედების ადგილი და თუმცა,
პიესის კონფლიქტი „მეტეხის ჩრდილის“
ნაცნობი შეფერილობით თბილისის ტიპი-
ური იტალიური ეზოს ინტერიერში
ხდება, ის შესაძლოა საქართველოს
ნებისმიერ კოლორიტულ ქალაქში მო-
მხდარიყო, იქნებოდა ეს თელავი, სილ-
ნალი, გორი, ქუთაისი თუ ბათუმი.
განზოგადებულია მოქმედების ადგილი
და პერსონაჟები, კონკრეტულია მხოლოდ
დრო და ძალაუნებურად გვახსენდება
პოეტის ცნობილი სტრიქონი, დაჟინებით
რომ მოითხოვდა ხელოვანისგან „დრო,
დრო აღნიშნე“. დრო კი, მართლაც,
ძალზე კონკრეტულია გ. ჩაკვეტაძისა
და ფ. ყუშიტაშვილის სცენურ ვერსია-
ში — ანუ მოქმედება ჩვენს დროში
ხდება — იმ დროში, როცა „ვარდების

რევოლუციას ეკლებიც აღმოაჩნდა“, როცა
ქალაქის მერია შეუბრალებლად და თან-
ამიმდევრულად აბარებს გარე მოვაჭრეთა
მთელ ლეგიონებს, როცა პროკურატურა
აქტიურად უცხადებს ბრძოლას კო-
რუფციას და სახელმწიფო ქონების დატა-
ცებას, როცა „შოკოლატი — ხიმიაა,
ლიმონათი — ხიმიაა და ლამის ში-
ლაფლავსაც ის გემო აღარა აქვს...“
როცა ჩვენი შვილების სათამაშო მოედ-
ნები ვიდეოკასეტების და ავტომატ-კო-
მპიუტერების დახუთულმა ჯიხურებმა
შეცვალეს, როცა დაუნდობლად ინგრე-
ვა ძველი და ჯერაც არ აშენებულა
ახალი, როცა დაუფიქრებლად და უკან-
მოუხედავად ინგრევა სახლი, „სადაც
იეთიმ გურჯს ოდესღაც პური უჭამია“
და მის ნაცვლად „თანამედროვე სტან-
დარტების გათვალისწინებით უნდა
აშენდეს დუბლექსი სუპერმარკეტითა და
სამორინეთი, როცა ... ასე დაუსრულე-
ბლად შეიძლება განაგრძო მსჯელობა
იმის შესახებ, თუ რა იყო უწინ, რა
არის დღეს და მით უფრო რა იქნება
ხვალ, — სხვა საქმეა, თუ როგორია
ისტორიის განაჩენი: ის კი, ტრადიცი-
ისამებრ, ყოველთვის მკაცრი და დაუნ-
დობელია, ამიტომაც ნაკლებად მნიშ-
ვნელოვანია, რა ბედი ეწევა „ნუვორიშ-
თა“ ტიპიურ კასტას, ე.წ. „ახალ
ქართველებს“ — გაიოზ იმედაძესა და
ტრისტან ბუჭულაშვილს/ო. მამფორიას
პიესაში სარდიონსა და ტრიფონს/. აქ
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძია
სერგოს ბედი, ამიტომაც ყველა დრამა-
ტურგიული პერიპეტია სერგოს პერსონ-
აჟის ირგვლივ ტრიალებს. ისე, როგორც
დედამინა ბრუნავს ღერძის გარშემო,
ისე ტრიალებენ ძველი და ახალი
დროების სურათები, ძველი და ახალი
ეპოქის ბინადარნი ამ კოლორიტული
პერსონის ირგვლივ, ხოლო, თუ ის-
ტორიის სიმკაცრეს გავითვალისწინებთ,
ძია სერგო უნდა მოკვდეს, რადგან
მისნაირებისათვის დროს და საზოგა-
დობას ადგილი არ დაუტოვებია ამ
წუთისოფელში. მხოლოდ ახალგაზრდე-
ბი ახარებენ ამქვეყნად სერგოს, ახალ-
გაზრდები და ეზოში მდგარი ჭადარი,
ომიდან შინმოუსვლელმა მისმა ძმამ რომ

უსასრულოდ შეიძლება ჩამოვთვალოთ ყველა ის ნიჟანსი, რომელიც აცოცხლებს თბილისის ძველსა თუ ახალ კოლორიტს: ჭრელა-ჭრულა ქურთ მეეზოვე აშხენას /მაკა გრემელაშვილი/ დიდი ცოცხითა და უნმანური ჟარგონით, დანების მღესავ რუს ეგორს დამტვრეული ქართულით /დავით ნაცვლიშვილი/ გაბურძგნული თმითა და უღვაშებით, ცალი ხელის თითები სამამულო ომში ქერჩთან რომ დაუკარგავს, ყვავილების გამყიდველს /მალხაზ ჩიდრაშვილი/, მეთევზეს /კარლო ქართველიშვილი/ ლექსად რომ უკეთებს რეკლამას ახალთახალ შამაიას, მეტიჩარა, მატრაბაზ დიასახლისს, თენგიზის დედას /ეთერ ბაბილაშვილი/, სულ ჩხუბით რომ აგზავნის შვილს მუსიკის მასწავლებელთან და ბავშვებს /სპექტაკლში რვა ბავშვი თამაშობს/ — ომის შემდგომ თაობას, ნახევრად მშიერ, შეუმოსელ, უდედმამო თაობას, რომელიც მიუხედავად ყველა გასაჭირისა, მაინც უსაზღვროდ ლალი და ბედნიერი იყო. მხატვარი რეჟისორთან და მსახიობებთან ერთად ზუსტად გრძნობს ეპოქის სურნელს, გამირთა ხასიათს და ქმნის არა მხოლოდ მხატვრულ სახეს, არამედ სახე-სიმბოლოს უბრალო, მშრომელი ქალაქელი კაცისა, გაქნილი საქმოსნისა, თანამედროვე ტელეკომენტატორისა /დავით ნაცვლიშვილი/ თუ მერიის ტიპური თანამშრომლისა/ ეთერ ბაბილაშვილი, მაია ბიჩელაშვილი/, რომლის ოფიციალური, საქმიანი იერის მიღმა ჩვეულებრივი ადამიანი იმალება თავისი კაპრიზებითა და პიროვნული სიმპათიანტიპათიებით.

სპექტაკლში რეალური გარემოდან ილუზორულ სამყაროში გადასვლა მაყურებელთა წარმოსახვაში მუსიკალურ-პლასტიკური აქცენტებითა და პასაჟებით ხდება. ლეონ მანველის მუსიკა შთამბეჭდავია და კოლორიტული. სპექტაკლში უხვადაა გამოყენებული ფანოლური ფოლკლორი, აქ გამირთა მინიანსამბლებს საკუთარი მუსიკალური თემები აქვთ: სერგოს ქალაქური ბაიათი, იმედაძე — ბუჭულაშვილს ლათინოამერიკული რიტმები, ბავშვებს რეტრო-ფლიკი, ნარკო-

მანებს — როკი, შეყვარებულ წყვილს — ლირიული ბალადა, თუმც ეს მხოლოდ სპექტაკლის მუსიკალური სამყაროს ერთი პლანია — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სერგოს ხილვების მუსიკალური თემა — ნაწილობრივ ზოგად-მისტიკური და ნაწილობრივ კონკრეტულ-ჟანრული და ბოლოს, ფინალური ქორალი — ორიგინალური ვარიაცია ცნობილი ქალაქური რომანსისა „ისევ შენ და ისევ შენ“, რომელიც ტრაგიკულ ფონად გასდევს მთავარი გმირის სიკვდილის სცენას და ამალღებულ წერტილს უსვამს სპექტაკლს.

რეჟისორ გოგი ჩაკვეტაძის სპექტაკლის მთავარი ღირსება საინტერესო სამსახიობო ნამუშევრებია — ძველი თუ ახალი დროების პერსონაჟთა მთელი გაღერვა, რომლის ცენტრში დგას ვანო იანტბელიძის ხარაზი სერგო და მის ირგვლივ მოზაიკასავით ლაგდებიან განსხვავებული ხასიათები და ტიპაჟები.

ნონა ხუმარაშვილის ვარა ტიპური ქალაქელი დიასახლისია, სომეხ-ქართველა, კვიმატი ენითა და ოჯახის უკიდევანო ერთგულებით. სერგოს მეუღლის როლისათვის, ერთი შეხედვით, შეუფერებელი ახალგაზრდა მსახიობი მკვეთრი პლასტიკური ტრანსფორმაციითა და გრიმის მეშვეობით აღწევს სრულ გარდასახვას და აი, მაყურებლის წინაშე მთელი სისაესითა და კოლორიტით წარსდგება ვარვარა ბაქმაზოვნა, რომლის ხაზგასმულად სომხური აქცენტი და მანერული პლასტიკური ტემპო-რიტმი ქმნის სრულფასოვან ხასიათს. მისი გმირი, თუ საჭიროა, ჩხუბობს სამეზობლოში საკუთარი უფლებების დასაცავად, მუდმივად უკრძალავს ქეიფის მოყვარულ სერგოს ღვინის დაღვევას და თავს ინონებს სახეგარაყიანი სიძითა /ფირუზი — შოთა ბეჟანიშვილი/ თუ შვილიშვილის ნიჭიერებით.

სპექტაკლში მტაცებელ გამირთა კაცა რამდენადმე ცხოველთა სამყაროს მოგვაგონებს და ასეთადაც ხატავს მათ მსახიობებთან ერთად რეჟისორი: მგელი — გაიოზი თავისი მგლური კანონებით, გაიოზის მეშჩანი ცოლი ქალბატონი მანჩო — ჭრელა-ჭრულა გაფხორილი ინდაუ-

რი თუ ეგზოტიკური ენაჭარტალა თუ-
თიყუში, ტრისტან ბუჭულაშვილი —
გაიძვერა ტურა, სევიკა და კრამიტა
— ორი ლეშიმჭამელი გაქუცული აფ-
თარი, უჯიშო ძაღლებივით რომ წკავ-
წკავებენ გაიოზის ქალიშვილის კარზე.
ამგვარად წარმოგვიდგება ახალ დროე-
ბის პერსონაჟთა ნუსხა, რომელთა სრუ-
ლი ანტიპოდებია ახალგაზრდა არქეოლო-
გი ზაზა /ზვიად აბაშიძე/, მისი მე-
გობარი ტელეკომენტატორი თენგიზი /
დავით ნაცვლიშვილი/ და ზაზას შეყ-
ვარებული, გაიოზის ომბუდსმენი ქალ-
იშვილი ქეთი /მაია ბესტავაშვილი/,
მშობლების უნებართვოდ მოდური სამოდ-
ელო ფაკულტეტი რომ მიუტოვებია
სამხატვრო აკადემიაში და თავისუფლების
ინსტიტუტისათვის მიუშურებია ადამი-
ანის უფლებებისათვის საბრძოლველად.

სპექტაკლში გაიძვერა საქმოსანთა
შთამბეჭდავ სახეებს ქმნიან თემურ
ხუნაშვილი /გაიოზი/ და ზურაბ ლო-
მიძე /ტრისტანი/. ერთთავად წარდში
მოპაექრე დუეტი, ოსტატურად რომ
ხლართავს სერგოს ეზოდან გასახლების
ინტროგას და ცდილობს შეძლებულ ახალ
ქართველს, ვინმე ზორაქაძეს დაუმოყვრდეს,
ნაცნობი და ახლობელია მაყურებლისთვის.
ვინ მოსთვლის, რამდენი გაიოზი და
მასზე გადაჯაჭვული ტრისტანი დააბიჯებს
ჩვენს ირგვლივ, რომელთა ცხოვრების
ნესი და ზნეობრივი პრინციპები, უფრო
სწორედ კი ამ პრინციპთა უქონლობა,
კლავს საზოგადოების მომავალს, თე-
ლავს სინდისს, პატიოსნებას, რწმენას
იმისა, რომ ბოროტება და უსამართ-
ლობა ადრე თუ გვიან დაისჯება.
როგორც ჩანს, ეს კასტა საკმაოდ სი-
ცოცხლისუნარიანია, რამეთუ ო. მამფო-
რიას პიესის ოდინდელი კონფლიქტი
კვლავაც თანამედროვედ ჟღერს გოგი
ჩაკვეტაძის სპექტაკლში, აქ მხოლოდ
ფინალია განსხვავებული — თუ მამ-
ფორიასთან ეს სოციალური ფენა
მარცხდება საზოგადოებრივი აზრის
გავლენით, სპექტაკლში მდგომარეობა
არასწორხაზოვანია: მართალია, გაიოზისა
და ტრისტანის თავზე საავდრო ღრუბლე-
ბი გროვდება, ისინი სერგოზე მაინც
იმარჯვებენ. განსაკუთრებით აღსანიშნა-

ვია გაიოზისა და ტრისტანის კონფლიქ-
ტის სცენები სერგოსთან — თუ მსახ-
იობი თემურ ხუნაშვილი გაიოზის ხას-
იათის იმპულსურობასა და თავდაჯერე-
ბულობას უსვამს ხაზს და სერგოსთან
ღია კონფლიქტის გზას ირჩევს, რადგან
მისთვის ცხოვრებაში ბარიერი არ არ-
სებობს, ზურაბ ლომიძე თავისი გამირის
უფრო ტურასავით ფრთხილ და გაიძ-
ვერა ნატურას ხატავს. მისი ტრისტანი
უფრო გაქნილია, შემპარავი, ეშმაკი, და
როგორც ყველა თაღლითი, შექარავით
დნება გაიოზის ხელებში, ფული რომ
დასცინცლოს, მაგრამ ეძლევა თუ არა
მცირედი შანსი, არ ეპუება სერგოს და
„ხმაურიან“ ჩხუბსა და აყალმაყალს ტყვს,
ოლონდ უკვე გაიოზის ბინიდან სამშვი-
დობოზე გასული.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნინო
კურტანიძის მანანა სოლომონოვნა, რომელ-
საც მოფერებით ქალბატონ მანჩოდ
მოიხსენიებენ. დაწყებული სახის გარეგ-
ნული დეტალებითა და კოსტუმით,
გაზულუქებული სიარულის მანერითა და
გადაპრანჭული მეტყველებით მსახიობი
ქმნის მეშჩანი, ობივატელი ქალის კრე-
ბით სახეს, რომელშიც ოსტატურად
გაერთიანებულია მოდური გატაცება
ევროპითა და აზიით: იგი ძვირფას
სერვიზს ჩინეთიდან იწერს, იაპონური
კომონოთი და თმის ავანგარდული ვარცხ-
ნილობით იწონებს თავს, როცა სიტყვე-
ბი არ ჰყოფნის, რუსულ ფრაზებს
იშველიებს და ლათინოამერიკული რიტ-
მებითაა გატაცებული. ქმრის ფულისა
და მდგომარეობის მონა საკუთარ ამ-
ბიციებს შინამოსამსახურე ცაცოსა და
მეუღლის მძღოლზე /კარლო ქართველიშ-
ვილი/ იკმაყოფილებს და საოცრად წუხს,
რომ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებს
სერგოსა და მისთანების გვერდით
ატარებს. „გოიმი“ და „ყანა“ — ეს
ქალბატონ მანჩოს საყვარელი ეპითეტია
და ისე მონდომებით, გემრიელად ამკობს
სერგოს, თითქოს სიყვარულს ეფიცე-
ბოდეს.

მაყურებელში გულწრფელ სიცილს
ინვევს უბნის „ძველი“ ბიჭების კრამი-
ტასა და სევიკას სცენები. მათ რამდე-
ნადმე უტრირებულად განასახიერებენ

ახალგაზრდა შემსრულებლები: დავით ნაცვლიშვილი და მალხაზ ჩიდრაშვილი, რომელთა პერსონაჟები არაერთ „ჩვენი დროის გმირს“ მოგვავაგონებს ჩახლეჩილი ხმით, მოშვებული პლასტიკით, ჭარბი უარგონითა და „კაიფის“ მულამით. თამაშის ხერხი, რომელსაც ირჩევენ მსახიობები, მოითხოვს ძალზე ფაქიზ, დახვეწილ გემოვნებას, რადგან სულ მცირე გადაჭარბებას შეუძლია დაარღვიოს მხატვრულ სახეთა მთლიანობა და მოქმედება სხვა ხერხით წარმართოს. ახალგაზრდა მსახიობთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მშვენივრად ართმევენ თავს ამ სირთულეს, მით უმეტეს მათ სპექტაკლში სხვა ეპიზოდურ პერსონაჟთა განსახიერებაც უწევთ. მალხაზ ჩიდრაშვილი ქმნის მეყვავილე გერასიმეს კოლორიტულ სახეს, ხოლო დავით ნაცვლიშვილი რუსი მლესავის, ნახევრად გალოთებული ეგორის და ინტელექტუალი ახალგაზრდა კაცის ტელეკომენტატორ თენგიზის კონტრასტულ პერსონაჟებად წარმოგვიდგება.

მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს ახალგაზრდა შეყვარებულთა წყვილი, რომელთაც განასახიერებენ მაია ბესტავაშვილი /ქეთი/ და ზვიად აბაშიძე /ზაზა/. ახალგაზრდა მსახიობები შესანიშნავად ჭრიან მათ წინაშე დასმულ ამოცანას — სადა, ლაკონური, მაგრამ დამაჯერებელი ფერებით ცდილობენ გადმოსცენ თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება. მათი ბრძოლა სიყვარულისათვის ჭეშმარიტების გამარჯვების ტოლფასია. მათთვის უცხოა ობივატელთა მერკანტილური სამყარო, ამიტომაც ყველაზე ახლობელნი არიან მენაღე სერგოსათვის და უკანასკნელ გზაზეც სწორედ ეს ორი ახალგაზრდა მიაცილებს მოხუცს — ხშირად გაგვიგონია უფროსი თაობის ფრაზა ახალგაზრდებისადმი — „შენ უნდა დამიკრიფო გულზე ხელეები“, — სწორედ ასე აღიქმება სპექტაკლის ფინალური აკორდი და სიკვდილის პირისპირ დარჩენილ ბერიკაცს ვარასთან ერთად სწორედ ქეთი და ზაზა იგ-



სენა სავტაკლიდან „ქველი სახლი“
 ზარა — ნონა ზუვარაშვილი
 სერბო — ვანი იანტაშვილი,
 თენგიზი — დავით ნაცვლიშვილი.

ლოვენ. ქეთი და ზაზა სახეა ჩვენი საზოგადოების ახალი თაობის იმ საუკეთესო ნაწილისა, რომელმაც კარგად იცის წარსულის ფასი, იცის, ვისი გორისაა და როგორ უნდა აშენოს ხვალის საქართველო.

სპექტაკლი მდიდარია საინტერესო სამსახიობო ნამუშევრებით, ეპიზოდური სახეებით, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შოთა ბეჟანიშვილის ფირუზი — სერგოსა და ვარას სომეხი სიძე, ქალაქელი ხელოსანი, რომელიც „პალუბნი პოლს ისე აგებს, გოზინაყი გეგონება“. მსახიობი კომიკურ ფერებში ხატავს თავის გმირს — როგორ „ტრიპაჩობს“ შვილის ნიჭით, როგორ იმორცხვებს ცოლის ფეხმძიმობის გამო, როგორ ეძმაკაცება საყვარელ სიმამრს. გმირის მეტყველების ქალაქური მანერა, პლასტიკა კოლორიტულია და კომიკური. უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლში ერთსა და იმავე მსახიობს ხშირად რამდენიმე პერსონაჟის განსახიერება უწევს, სამსახიობო ანსამბლის ჭეშმარიტ გვირგვინს კი ვანო იანტბელიძის მენაღე სერგო წარმოადგენს. ეს თავისებურად „ფილოსოფოსი“ „საბოჟნიკი“ უალრესი კეთილშობილებითა და სინმინდით გამოირჩევა. მასში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ბავშვური მიამიტობა და ასაკოვანი, გამოცდილი ადამიანის სიბრძნე, ხალასი ხალხური იუმორი და ერთგულება, რომანტიკული ღირებუმი და დრამატიზმი, რომელიც ფინალში ტრაგიკულ აპოგეას აღწევს. მსახიობი ყოველგვარი გარეგნული გარდასახვის გარეშე, /ჭარმაგი ასაკი მხოლოდ მის პლასტიკას დასტყობია/, შესანიშნავად ახერხებს იქცეს მოხუც ოსტატად, რომელიც მაყურებლისათვის ძალზე ნაცნობი და ახლობელია. მეტყველების მანერა — ოდნავ ჟარგონული, ქალაქური სლენგითა და ხუმრობებით შეზავებული,

ღია, გახსნილი შინაგანი სამყარო, ტკბილი ხმა, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის მისი ახალგაზრდა პარტნიორის ზვიად აბაშიძის /ზაზა/ ჩინებულ ვოკალს, ეფექტურ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ერთთავად მოფუსფუსე მენაღე, რომელსაც კარგა ხანია ერთი ნყვილი ფეხსაცმელიც აღარ შეუკეთებია, თავისი ხალხის ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობს, გაზეთს არ უშვებს ნაუკითხავს, ყველაფერზე თავისი ორიგინალური აზრი აქვს, არაფერი გამოეპარება მის უკვე მოხუცებულ მზერას, ცდილობს გაერკვეს თანამედროვე ყოფაში, ახალ ტერმინებში, საკუთარი ფილოსოფია ჩამოუყალიბებია ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე, მისი მთავარი კრიტერიუმი კი პიროვნული სინდისი და პატიოსნებაა და კიდევ სიყვარული, როგორც სიცოცხლის მამოძრავებელი მთავარი ღერძი. „რაც საკუთარი დედის გინება დაინყეს, სულ აირია ქვეყანა“, — ჩივის სერგო და იქვე დასძენს: „აფსუს, იეთიმ, როგორ კარგად ამბობდი — იმას შვილად ვერ მივიღებ მამა-პაპის საფლავს ხნავდეს“. ბევრი რამ არის თანამედროვე ყოფაში მიუღებელი სერგოსათვის, მას ნელ-ნელა ეცლება საყრდენი ცხოვრებაში და როცა მისი მთავარი საყრდენი — მამა-პაპეული სახლი და სალოცავი ჭადარი თვალწინ ნადგურდება, სულაფორიაქებული მოხუცი მორჩილად ეგებება სიკვდილს: „მიყვარდი და მიყვარხარ, სულ მუდამ მეყვარები, მსურდა შენის ხელებით დამხუჭვოდა თვალები“ — და ასე გედის სიმღერით, სიყვარულით ღიღინში იფერფლება სერგო, მისი სული კი სანთლის მბჟუტავ სხივად იწვის და გვინათებს, როგორც იმედის სიმბოლო, რომ „დაუნდობელ ნგრევათა ჟამს“, ბნელი გვირაბის ბოლოს სინათლე აუცილებლად გამოჩნდება.

თბილისის თეატრების რუკა

აქ წარმოდგენილი თბილისის თეატრების რუკა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებმა (პედაგოგ ნგენგიურის ჯგუფი) შექმნეს. მეორეკურსელებმა რუკა სასემინარო მუშაობისას პროფესორ ნათელა ურუშაძის ხელმძღვანელობით მოამზადეს და რუკას თეატრების მოკლე ისტორიაც დაურთეს. სტუდენტებისათვის ეს ჯგუფური და დამოუკიდებელი მუშაობის სერიოზული პრაქტიკა იყო; გაკეთდა საჭირო საქმეც: თანამედროვე თბილისის თეატრების რუკა დღემდე არ არსებობდა.

1. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

თეატრის ისტორიის საწყისად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით პროფესიული დრამატული თეატრის აღდგენა 1879 წ. „მუდმივი თეატრის“ პირველი სეზონი გაიხსნა 1879 წლის 1 სექტემბერს ბარბარე ჯორჯაძის კომედიით „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“.

ახალი დრამატული თეატრის შენობის აგება დაიწყო 1898 წელს და დამთავრდა 1901 წელს. ამავე წლის 5 მარტს ახალი შენობის გახსნაზე წარმოადგინეს ა.ცაგარელის „ხანუმა“.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია რობერტ სტურუა.

მისამართი: შოთა რუსთაველის გამზირი №17

ტექსტის ავტორი: ნატო ცისკარიშვილი

2. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

დაარსდა 1928 წელს ქუთაისში კ.მარჯანიშვილის მიერ. თავდაპირველად თეატრს ეწოდებოდა „ქუთაის-ბათუმის“ თეატრი. 1930 წელს ის თბილისში გადმოვიდა და ეწოდა „მეორე სახელმწიფო დრამა“. კ.მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრს მიენიჭა დამაარსებლის სახელი.

მთავარი რეჟისორია თეიმურ ჩხეიძე.

მისამართი: კ.მარჯანიშვილის ქ. №8

ტექსტის ავტორი: ნინო ყოჩიაშვილი

3. ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი.

1926 წელს მიტო მანსურაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა თვითმოქმედი წრე, რომელსაც უნდა მოემზადებინა გასართობი მინიატურები. ამ დასს ეწოდებოდა „მუსიკალური სატირის მოძრავი თეატრი“.

1935 წელს, პროფესიული თეატრის შექმნის მიზნით, თეატრში მოვიდნენ მიხეილ ჭიაურელი და დუდუ ძნელაძე. ამავე წელს „მუსიკალური სატირის მოძრავი თეატრი“ სახელმწიფო სისტემაში შევიდა და „მუსიკალური კომედიის თეატრი“ ეწოდა. მოგვიანებით მას ვასო აბაშიძის სახელი მიენიჭა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია დავით დოიაშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელი — ნიკა მემანიშვილი.

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №128

ტექსტის ავტორი: ნანუკა ჯიქურიძე

4. ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური სახელმწიფო საბავშვო თეატრი.

დაარსდა 1999 წელს. მასში გაერთიანებულია სამი თეატრი: 1927 წელს ნიკოლაი მარშაკის მიერ დაარსებული მოზარდმაცურებელთა რუსული თეატრი; ალექსანდრე თაყაიშვილის მიერ 1928 წელს დაარსებული მოზარდმაცურებელთა ქართული თეატრი და 1937 წელს შექმნილი რუსული თოჯინების თეატრი. აქვე მოქმედებს ახალგაზრდული „სხვენის თეატრი“.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ნიკა ჯანდიერი, მთავარი რეჟისორი — გია კიტია.

მისამართი: აღმაშენებლის
გამზირი №99/11
ტექსტის ავტორი:
სალომე მოძიაშვილი

5. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

ოპერის პირველი თეატრის შენობა აიგო 1851 წელს. ამავე წლის 9 ნოემბერს პირველი საოპერო სეზონი გაიხსნა დონიცეტის ოპერით — „ლუჩია დი ლამერმური“. საბალეტო წარმოდგენა პირველად 1854 წლის 18 იანვარს გაიმართა, წარმოადგინეს შმიდტის „გიტანა“.

1874 წელს თეატრის შენობა ხანძრისგან განადგურდა. ახალი თეატრის მშენებლობა 1896 წელს დასრულდა.

1937 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გურამ მელივა.

მისამართი: რუსთაველის
გამზირი №24
ტექსტის ავტორი:
ნათია გასკინა

6. თეატრალური სარდაფი ვაკეში.

დაარსდა 2002 წელს ლევან ნულაძის, ოთარ ეგაძის, გოგი მარგველაშვილის, შოთა გლურჯიძის, გოგი ხარაბაძის, გიორგი ხარაბაძისა და ნიკალა ჯუღელის მიერ.

თეატრს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ერთიანი დასი.

სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარეა აკაკი დვალიშვილი.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის
გამზირი №32
ტექსტის ავტორი:
ნათო ცისკარიშვილი

7. თეატრალური სარდაფი რუსთაველზე.

დაარსდა 1997 წელს ლევან ნულაძის, ოთარ ეგაძის, შოთა გლურ-

ჯიძის, გოგი მარგველაშვილის, გოგი ხარაბაძის და გიორგი ხარაბაძის მიერ.

თეატრს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ერთიანი დასი.

სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარეა აკაკი დვალიშვილი.

მისამართი: რუსთაველის
გამზირი №24
ტექსტის ავტორი:
სალომე მოძიაშვილი

8. სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

დაარსდა 1978 წელს ლერი პაქსაშვილის მიერ. თავდაპირველად იწოდებოდა სახელმწიფო დრამატულ თეატრად. სანდრო ახმეტელის სახელი მიენიჭა 1989 წელს.

სამხატვრო ხელმძღვანელია დავით ანდლულაძე.

მისამართი: ივეკუას ქ.№8
ტექსტის ავტორი:
ანასტასია ლულაძე

9. „სამეფო უბნის თეატრი“.

დაარსდა 1992 წელს იზა გიგოშვილის მიერ. თავდაპირველად თეატრს ეწოდებოდა „კამერული თეატრ-სტუდია“. „სამეფო უბნის თეატრი“ ეწოდა 2000 წელს.

თეატრს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ერთიანი დასი.

სამხატვრო ხელმძღვანელია მერაბ თავაძე.

მისამართი: გაბესაძის ქ.№10.
ტექსტის ავტორი:
ნინო თხილიშვილი

10. „თეატრი ათონელზე“.

დაარსდა 2004 წელს რეზო სალუქვაძისა და გოჩა კაპანაძის მიერ.

თეატრს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ერთიანი დასი.

მისამართი: ათონელის ქ.№216
ტექსტის ავტორი:
ნათო ცისკარიშვილი

11. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი.

თეატრი დააარსა მ.თუმანიშვილმა მონაფეებთან ერთად 1978 წლის 14

იანვარს. თავდაპირველად ეს იყო კინომსახიობთა თეატრ-სახელოსნო.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გოგი მარგველაშვილი.

მისამართი: დაღმაშენებლის გამზირი №164
ტექსტის ავტორი:
ნათო ცისკარიშვილი

12. თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი.

დაარსდა 1961 წელს თ.ჩანტლაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული „მინიატურების თეატრის“ საფუძველზე. სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა 1975 წელს და ეწოდა სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრი.

სამხატვრო ხელმძღვანელია ზაირა ჩანტლაძე.

მისამართი: ხეთაგუროვის ქ.№26
ტექსტის ავტორი:
ანასტასია ლულაძე

13. მარიონეტების თეატრი.

დაარსდა 1981 წელს რეზო გაბრიადის მიერ. თეატრის მუდმივმოქმედ დასში 6 მსახიობია, თუმცა, თეატრი მოწვეულ მსახიობებთანაც თანამშრომლობს.

სამხატვრო ხელმძღვანელია რეზო გაბრიადე.

მისამართი: შავთელის ქ.№13
ტექსტის ავტორი:
ნანუკა ჯიქურიძე

14. „ჯიბის თეატრი“.

დაარსდა 2000 წელს.

სამხატვრო ხელმძღვანელია ლელა ჭინჭარაული.

მისამართი: კ.მარჯანიშვილის ქ.№30
ტექსტის ავტორი:
ნინო მაჩიტაძე

15. „თავისუფალი თეატრი“.

დაარსდა 2001 წლის 31 მარტს ავთო ვარსიმაშვილის მიერ. თეატრს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ერთიანი დასი.

სამხატვრო ხელმძღვანელია ავთო ვარსიმაშვილი.

მისამართი: სულხან-საბას ქ.№14
ტექსტის ავტორი:
თამთა ლოგუანიძე

16. გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი. დაარსდა 1934 წელს გიორგი მიქელაძის მიერ.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია გივი სარჩიმელიძე.

მისამართი: დაღმაშენებლის გამზირი №103
ტექსტის ავტორი:
ნათია ბასვიანი

17. პანტომიმის სახელმწიფო თეატრი. დაარსდა 1967 წელს ამირან შალიკაშვილის მიერ თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პანტომიმის ფაკულტეტის ბაზაზე.

სამხატვრო ხელმძღვანელია ამირან შალიკაშვილი.

მისამართი: რუსთაველის გამზირი №37
ტექსტის ავტორი:
მანია ხოშტარია

18. ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“.

დაარსდა 1986 წელს კოტე მახარაძის მიერ. პირველი წარმოდგენა გაიმართა 1987 წლის 12 ოქტომბერს დარეჯანის სასახლე — „საჩინოში“. 1996 წლის 7 მაისს სპექტაკლით „აკაკი“ თეატრი დამკვიდრდა ფიქრის გორაზე. თეატრს არ ჰყავს მუდმივმოქმედი დასი.

სამხატვრო ხელმძღვანელია სოფიკო ჭიაურელი.

მისამართი: ვანჯაფარიძის ქ.№20
ტექსტის ავტორი:
თიკო ვათინაშვილი

19. მეტეხის თეატრი „ძველი სახლი“

დაარსდა 1974 წელს სანდრო მრეველიშვილის მიერ. ეს იყო თბილისის საქალაქო (მუნიციპალური) დრამატული თეატრი, რომელსაც „სახელმწიფო ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია“ ერქვა. წარმოდგენები იმართებოდა მეტეხის თეატრში, რის გამოც მას „მეტეხის თეატრი“ ეწოდა. 1988 წელს თეატრმა ტაძარი მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნა. 1990 წლიდან თეატრი სპექტაკლებს „ძველ სახლში“ მართავს.

სამხატვრო ხელმძღვანელია სანდრო მრეველიშვილი.

**მისამართი: მეტეხის აღმართი №1
ტექსტის ავტორი:
ლელა ლიპარიშვილი**

20. პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი.

დაარსდა 1858 წელს გეგორგ ჩმრ-შკიანის მიერ.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია არმენ ბაიანდურიანი.

**მისამართი: ქეთევან
ნამებულის ქ. №8
ტექსტის ავტორი:
ანასტასია ლოლაძე**

21. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

დაარსდა 1932 წელს. პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული გორკის „ფსკერზე“ (1932 წ. 3 ნოემბერი). თეატრს 1935 წელს მიენიჭა ა. გრიბოედოვის სახელი. თეატრის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის კ. შახ-აზიზოვს, რომელიც დაარსების დღიდან 15 წელი ხელმძღვანელობდა თეატრს.

სამხატვრო ხელმძღვანელია ავთო ვარსიმაშვილი.

**მისამართი: რუსთაველის
გამზირი №27
ტექსტის ავტორი:
ნატო ცისკარიშვილი**

22. თეატრი „გლობუსი“.

დაარსდა 2004 წელს სანდრო მრეველიშვილის მიერ. თეატრი წარმოადგენს მეტეხის თეატრის სახეცვლილებას.

სამხატვრო ხელმძღვანელია სანდრო მრეველიშვილი.

**მისამართი: ალექსანდრეს ბაღი.
ტექსტის ავტორი:
ანასტასია ლოლაძე**

23. თეატრი „მეორე სახლი“.

დაარსდა 2004 წელს როლანდ ქარდავასა და ლაშა მესხის მიერ, თეატრ-სტუდია „საუნჯე 11“-ის ბაზაზე.

თეატრის მთავარი რეჟისორი და პასუხისმგებელი სამხატვრო მხარეზე — ლაშა მესხი.

**მისამართი: აღმაშენებლის
გამზირი №60
ტექსტის ავტორი:
ნატო ცისკარიშვილი**

24. „ახალი თეატრი“.

დაარსდა 2003 წელს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტების ირაკლი გოგიასა და მიშა მესტირიშვილის (გ. მარგველაშვილის სახელოსნო) ინიციატივით.

სამხატვრო ხელმძღვანელია ირაკლი გოგია, მთავარი რეჟისორი — მიშა მესტირიშვილი.

**ტექსტის ავტორი:
ნატო ცისკარიშვილი**

პორტრეტი

ნელან გუჩუბანიძე

როცა ასეთი სიყვარულია*

ესკიზი ნატალია ჩხიკვაძის პორტრეტისათვის

რომანტიკული თავგადასავლების მოყვარულთათვის, უეჭველია, ბევრი რამ იქნება საინტერესო რამაზ ჩხიკვაძისა და მისი მეუღლის ნატალია (ნატაშა) კობახიძის სიყვარულისა და ცოლ-ქმრობის ისტორიაში. თავშივე მინდა ვთქვა, რომ ასეთი ხანგრძლივი და მტკიცე სიყვარული, დაფუძნებული არა მხოლოდ ფიზიკურ და სულიერ სილამაზეზე, არამედ ინტერესთა და მიდრეკილებათა თანხვედრაზე, იშვიათი რამაა ჩვენს სინამდვილეში. ორივე სანიმუშო ერთგულებით გამოირჩევა და მათი ხანგრძლივი და ბედნიერი მეუღლეობა დღესაც პირვანდელი სიყვარულით არის გასხივოსნებული.

ნატალია იმთავითვე ტიპური მოსკოვური შარმით და მომხიბვლელით გამოირჩეოდა. ულამაზეს სლავ ქალთა საზოგადოებაშიც აშკარად განუმეორებელი იყო არა მხოლოდ უზადო გარეგნობით და ჩამოქნილი სხეულით, არამედ ევროპულ-აღმოსავლური იერის იშვიათი მიმზიდველობის ძალითაც. აქ ერთმანეთს ერწყმოდა პლასტიკა და ქალური

სინაზე, მკვეთრი ნაკვთები და სილბო, ძალა და მიზნედილობა. როცა ახლოს გავიცანი, განცვიფრებული დავრჩი მისი ინტელექტით და აზროვნების სიცხადით. მხოლოდ სარაინდო რომანებში თუ შემხვედრია ასეთი ლამაზი და ასეთი ჭკვიანი ქალბატონები, რომელთა გული-სათვის თავგადასავლების მოყვარული ვაჟკაცები არავითარ ფათერაკს არ ერიდებიან.

როცა ფაზის აკადემიის მესვეურებმა რამაზ ჩხიკვაძეს 75 წელთან დაკავშირებით „არგოს“ გემის მშენიერი მაკეტი გადასცეს საჩუქრად, ჩვენი ტელევიზიის მაყურებლებმა დაინახეს, თუ როგორ აღელდა ქ-ნი ნატალია და როგორ თქვა ცრემლმორეულმა, ეს საჩუქარი სიმბოლურია, რადგან ჩვენი სიყვარული სწორედ გემზე ჩაისახაო. ბ-ნი რამაზიც კარგა გრძნობამორეული ჩანდა ამ დროს. თითქოს ორივე წამიერად წარსულში გადასახლდა და მოგონებები მოეძალათ. მათი პირველი შეხვედრა სულ მალე დიდ და მღელვარე რომანში გადაიზარდა...

ქ-ნი ნატალიას გარეგნობამ უმაღვე მიიპყრო თბილისური საზოგადოების და ყმანვილკაცების ყურადღება, მაგრამ იგი პირველად აფეთქებული გრძნობების ერთგული დარჩა ბოლომდე. არც ქართული კინემატოგრაფი დარჩენილა მისდამი გულგრილი, რეჟისორმა შამანგაძემ იგი მთავარი გმირის როლში გადაიღო კინოსურათში „ყვავილი თოვლზე“. ეს როლი მსახიობური დებიუტის ფარგლებს არ გასცილებია, თუმც არც ქ-ნი ნატალია იჩენდა მაინცდამაინც დიდ ინტერესს მსახიობური კარიერისადმი. მისი ასპარეზი მეცნიერება (იგი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია) და საზოგადოებრივი მოღვაწეობა იყო, და აქ სრულიად გაიშალა მისი ნიჭი, ტემპერამენტი, მიზანსწრაფვა და გონიერება... თუმც მის ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდი, როცა ისე ჩანდა, თითქოს ქ-ნმა ნატალიამ ყველაფერი დათმო და მთლიანად რამაზ ჩხიკვაძის დიდ ნიჭს შესწირა თავი...

მანამდე კი...

ნუ იფიქრებს ამ წიგნის მკითხველი,

* ერთი თავი წიგნიდან „ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე“

რომ ხელოვნებაში ნებიერ რამაზს ცხოვრებაში რაიმე წინააღმდეგობა და გასაჭირი არ შეხვედრია, ხელმოკლეობაც განუცდიათ ორთავეს და საკუთარი ჭერის უქონლობის დრამაც... ერთხანს მე და რამაზი კარის მეზობლებიც ვიყავით (ქუჩიშვილის ქ.№9) და მისი ცხოვრების პერიპეტიებს კარგად ვხედავდი. ერთი წამით არ დაუკარგავს რამაზს სიცოცხლის ხალისი და იუმორის გრძნობა, ერთი წამით არ შესუსტებულა ქ-ნი ნატალიას ოპტიმიზმი და უკეთესი მომავლის ხედვის ნიჭი. ამ ბედნიერ, თუმცა ცოტა არ იყოს დუხჭირ პერიოდს, შემდგომ ორივენი იუმორითა და ხალისით გაიხსენებენ.

რასაკვირველია, დიდი და მრავალმხრივი ნიჭის მქონე რამაზ ჩხიკვაძე უეჭველად მიაღწევდა დიდ წარმატებას სამსახიობო კარიერაში, მაგრამ, შესაძლოა, იგი ვერ გამხდარიყო ისეთი დიადი, როგორც დღეს არის, რომ არა ქ-ნი ნატალიას უდიდესი გულისყური და ყოველდღიური ზრუნვა თავისი სათაყვანებელი მეუღლისადმი. მან რ.ჩხიკვაძე გაანთავისუფლა ოჯახური ყოველდღიურობის სიმძიმისაგან, სახლში მუშაობისათვის შეუქმნა იდეალური პირობები, კულტურული ატმოსფერო. ბევრი რამ ცხოვრების სიამეთაგან თვით რ.ჩხიკვაძემაც დათმო და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ქართული თეატრისა და კინემატოგრაფის სამსახურში ჩააყენა.

ქ-ნი ნატალია ეთაყვანება რამაზს, როგორც ღირსეულ მეუღლეს და როგორც დიდ შემოქმედს. ამ სიყვარულში პოულობს იგი მძლავრ იმპულსებს, რაც, უსაზღვრო ენერგიად გარდაქმნილი, ისევ რამაზს უბრუნდება.

ქ-ნი ნატალიას დაახლოება რამაზთან და რუსთაველის თეატრთან თითქმის ერთდროულად დაიწყო. მ.თუმანიშვილის „ჭინჭრაქადან“ მოყოლებული ქ-ნი ნატალია ამ თეატრის ერთ-ერთ ყველაზე დაახლოებულ ადამიანად იქცა, ხოლო „ყვარყვარეს“ შემდეგ მისი კავშირი თეატრთან სულ სხვა, მაღალ ხარისხში გადაიზარდა.

მე უკვე ვწერდი, რომ იმდროინ-

დელმა პარტიულმა ელიტამ კატეგორიულად არ მიიღო რუსტურუს ამ შედეგის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება. გაიმართა (შეგახსენებთ, მაინც!) თერთმეტი ე.წ. „დახურული“ განხილვა, რომელზედაც დასწრება მხოლოდ რამდენიმე ოფიციალურ პირს შეეძლო.

თეატრში მკაცრი კონტროლი დაწესდა და ამ დროს ქ-ნი ნატალია ასერხებდა არათუ სპექტაკლზე დასწრებას, არამედ რამდენიმე ისეთი პიროვნების შემოყვანას, რომელთა აზრს საზოგადოება დიდ ანგარიშს უწევდა. თეატრის მაშინდელი დირექტორი აკაკი ბაქრაძე ამაზე თვალს ხუჭავდა. ამგვარად, ეს თერთმეტი „დახურული“ სპექტაკლი ნახა თითქმის თეატრის პარტიერის შემესვებმა მაყურებელმა, სპექტაკლით აღტაცებულებმა ქალაქში ხმა გააფრცვლეს, რუსტურუსა და რ.ჩხიკვაძის გენიალურ ნამუშევარს კრძალავნო (თუმცა, აკრძალვამდე ჯერ არ იყო საქმე მისული). ასე შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, რომლის ჩამოყალიბებაში მცირე როლი როდი მიუძღვის ქ-ნი ნატალიას.

თბილისელები, რაღაც მანქანებით, ყოველთვის იგებდნენ როდის იმართებოდა ეს „დახურული“ სპექტაკლები. უამრავი ხალხი იყრიდა თავს თეატრის გარეთ და თეატრის ფოიეში. ყველას აინტერესებდა, თუ როგორ გადაწყდებოდა სპექტაკლის მომავალი ბედ-იღბალი. იყო ერთი აჟიოტაჟი, მსჯელობა, ცხარე კამათი, ატმოსფერო ისე გავარვარებული იყო, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აფეთქება. საბოლოოდ, მაინც საღმა აზრმა გაიმარჯვა და სპექტაკლის პრემიერა ტრიუმფად იქცა.

თანდათანობით ქ-ნი ნატაშას და ბ-ნი რამაზის ბინა ყველა მაღალი რანგის თეატრალის სტუმრობის ცენტრად იქცა. აქ თავს იყრიდნენ გამოჩენილი რეჟისორები და მსახიობები, იმპრესაროები, „გოსკონცერტის“ ხელმძღვანელები, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალების დირექტორები, ცნობილი თეატრალური კრიტიკოსები... ქართული თეატრისათვის მრავალ სასიკეთო საქმეს დაედგა აქ თავი...

როცა „რიჩარდის“ დადგმის პირველმა

ვარიანტმა თვით სპექტაკლის ავტორებში ერთგვარი ეჭვი დაბადა, სწორედ ქ-ნ ნატალიას თანადგომით მოინვიეს მოსკოვიდან ინგლისური თეატრისა და შექსპირის შემოქმედების საუკეთესო მცოდნე ა.ბარტოშევიჩი, რომელმაც ძალზე სწორი და გონივრული შენიშვნები გამოთქვა და თეატრს სპექტაკლზე შემდგომი მუშაობის ხალისი გაუორკეცა...

ეს იყო რუსთაველის თეატრის ცხოვრების ბედნიერი ხანა, როცა აქ მხოლოდ სიყვარული და ერთსულოვნება სუფევდა და სულ მცირეოდენი ბზარც კი ორ დიდ ხელოვანს — რ.სტურუასა და რ.ჩხიკვაძეს შორის — წარმოუდგენელი იყო.

უცხოეთში მოგზაურობის ხანგრძლივმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ პროტაგონისტ მსახიობს უეჭველად თან უნდა ახლდეს მეუღლე. თვით ბ-ნი რამაზიც კი, რომელიც არაჩვეულებრივი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა ყოველთვის, საოცრად იღლებოდა ხანგრძლივი გასტროლების დროს, რადგან მთელი რეპერტუარი მას აწვა მხრებზე. მაგალითად, ლონდონში „რაუნდ ჰაუზში“ გასტროლების დროს რამაზმა ზედიზედ თორმეტჯერ ითამაშა რიჩარდი, თუმცა, გაციებული იყო და ყელს იტკივებდა. ასე რომ მზრუნველი, მომვლელი მას აუცილებლად სჭირდებოდა. ხოლო ქ-ნ ნატალიაზე ყურადღებიან, ერთგულ და საყვარელ მეგზურს იშვიათად ნახავს ადამიანი.

განსაკუთრებული მზრუნველობა რამაზს სჭირდებოდა აზდაკის თამაშის შემდეგ. თვითონ უთქვამს ჩემთვის, არც ერთი როლი ისე არ მღლის, როგორც აზდაკიო. რიჩარდის როლი უზარმაზარია, თითქმის სულ სცენაზე ვარ, აზდაკში მხოლოდ მესამე მოქმედებაში შევდივარ, მაგრამ უმძიმესია მისი თამაშიო. მართლაც, სპექტაკლის შემდეგ არაერთხელ მინახავს აზდაკის სავსებით სველი პერანგი. ქ-ნ ნატალია არა მარტო ზრუნავდა მის ჯანმრთელობაზე, არამედ უქმნიდა კეთილგანწყობილებით სავსე ატმოსფეროს, აუცილებელ სულიერ კომფორტს...

მილანში გამართული „მეფე ლირის“

გასტროლის დროს, ქ-ნ ნატალია ძალიან დაკავებული იყო და იტალიაში ვერ წამოვიდა... საოცრად მონყენილი, თავის თავში ჩაკეტილი იჯდა რამაზი საგრომიოროში, მე მასთან სპექტაკლის დაწყებამდე და ანტრაქტებზე შევდიოდი ხოლმე, მაგრამ ვატყობდი, რომ ნალველს ვერ ვუქარვებდი...

ერთხანს ქ-ნ ნატალია საქართველოს თეატრალური საზოგადოების უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი დიდი ძალისხმევით მოხერხდა სამი ქართული თეატრის: რუსთაველის, მარჯანიშვილის, მინიატურების — მონაწილეობა მადრიდის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. თვით ესპანელების აღიარებით, ეს იყო უნიკალური მოვლენა — ჩვენს ფესტივალზე სამი თეატრი ერთი ქვეყნიდან არასოდეს ჩამოსულაო.

ამ ფესტივალში მონაწილეობას წინ უსწრებდა ერთი ამბავი, რომელიც ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის. ფესტივალში მონაწილეობის მიღება მოსკოვის ერთ-ერთ სახელგანთქმულ თეატრსაც სურდა. ამ მიზნით ფესტივალის ხელმძღვანელთან არიელ გილდენბერგთან მოლაპარაკებას აწარმოებდა სსრკ-ს თეატრის მოღვაწეთა კავშირის უცხოეთთან კავშირების განყოფილების გამგე ა.ხაზანოვი, გამოცდილი დიპლომატი, საფესტივალო კულუარებსა და ინტრიგებში კარგად ჩახედული კაცი. მან ქ-ნ ნატალიას უთხრა, ეს არიელი პირდაპირ აუღებელი ციხე-სიმაგრეა და მისგან რაიმე კომპრომისები წარმოუდგენელია — ყველა ხარჯი მინვეულმა თეატრმა უნდა იკისროს (პირველად ლაპარაკი იყო მხოლოდ რუსთაველის თეატრის მინვევაზე), არ გირჩევ მასთან საქმის დაჭერასო. ნაცვლად იმისა, რომ ქ-ნ ნატალიას ყური დაეგდო ამ საქმეში მასზე გამოცდილი ადამიანისათვის, დაუყოვნებლივ შეიძინა თვითმფრინავის ბილეთი და მადრიდს გაფრინდა. აეროპორტ „იბერიაში“ მას თვით არიელი დახვდა ყვავილების უზარმაზარი თაიგულით და შეუვალი სახით. მისი პირველი ფრაზა იყო: „ფესტივალის ბიუჯეტის ყველა პესეტი განაწილებუ-

ლია და ამ თემაზე ნუ დამელაპარაკებთ“.

ქ-ნი ნატალია: „ბატონო არიელ, აგერ დგას ის თვითმფრინავი, რომლითაც ჩამოვფრინდი და მზად ვარ უკანვე გავბრუნდე“.

შეცბუნებულმა არიელმა (უცნაური კაცი იყო, სულ აჩაჩულ-დაჩაჩული სამოსი ეცვა, მსუქანი, გაუპარსავი, თმააბურძგნილი, მოძრავი, სწრაფად მოლაპარაკე, რამდენიმე ენაზე, რელიქტურად შემორჩენილი ჰიპო გეგონებოდათ), სადილად მიიპატიჟა და ამ დროს ვერც წარმოიდგენდა, თუ რა ხაფანგში გაყოფდა თავს.

სამი დღე და ღამე აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას ქ-ნი ნატალია. ამ სამი დღის მანძილზე სასადილოდაც არ გასულან (ბუტერბროდები და სენდვიჩები შემოჰქონდათ მხოლოდ) და რა მოხდა მერე? მადრიდის ფესტივალზე მარტო რუსთაველის თეატრი კი არა, კიდევ ორი თეატრი გამოვიდა ამ დიადი ქალაქის საუკეთესო დარბაზებში. მსახიობებმა, იმ დროისათვის, გვარიანი ჰონორარი მიიღეს, ხოლო სამივე დასი მადრიდის ცენტრში, პუერტე დე სოლზე ცხოვრობდა.

მისივე დამსახურება იყო რუსთაველის თეატრის მონაწილეობა იერუსალიმის თეატრალურ ფესტივალზე. ეს ის დროა, როცა საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ ჰქონდა დამყარებული ისრაელის სახელმწიფოსთან.

ამ ფესტივალზე მოხდა ერთი ჩვენთვის მეტად უსიამოვნო ამბავი, რომლის მოგვარება თავს იდო (და ბრწყინვალე დიპლომატიური სვლებით სასიკეთოდ დაავგირგვინა) ქ-ნმა ნატალიამ.

იერუსალიმის ფესტივალი რუსთაველის თეატრის „კავკასიური ცარცის წრით“ იხსნებოდა. ფესტივალის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბრესტის ქალიშვილი ბარბარა ბრესტი და მისი მეუღლე, სახელგანთქმული მსახიობი ეკეჰარტ შალი, საზოგადოება „ბრესტის მემკვიდრეები“, გაცეცხლებულნი იყვნენ — ამდენი წელიწადია ეს თეატრი თამაშობს „კავკასიურ ცარ-

ცის წრეს“ და ერთი პფენინგიც კი არ მიგვიღიაო. სად არ მივდიეთ ამ თეატრს, ბუენოს აირესშიც კი ჩავაკითხეთ, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერ შევძელითო. ახლა თუ არ გადაგვისდით კუთვნილ ჰონორარს, პიესის თამაშის უფლებას არ მოგცემთო, — ეს ყველაფერი გვითხრა ფესტივალის დირექტორ-შემსრულებელმა ჰანკამ. ცხადია, შეწუხდნენ ფესტივალის ხელმძღვანელები, ამდენი შრომა წყალში ეყრებოდათ, ფესტივალი დროზე ველარ გაიხსნებოდა. აქ საქმეში ჩაერთა ქ-ნი ნატალია (რომელიც ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობს!...) და გაბრწყინდა მისი ღვთით მომადლებული დიპლომატიური ნიჭი და ადამიანთა მოხიბლვის მისი ხელოვნება.

... დაძაბულნი ველოდით ბრესტის განრისხებული მემკვიდრეების გამოჩენას. მართლაც, კაბინეტში ფერისასავით შემოიჭრა მსუბუქად ჩაცმული (ზაფხული იყო) ბარბარა, რომელსაც უკან მოჰყვებოდა მთლად გაოფლილი, უზომოდ გასუქებული ეკეჰარტ შალი. გავვოცდი, ეს ოდესღაც მომხიბლავი, ათლექტური აღნაგობის მსახიობი, რომელიც ადრე ბერლინში მენახა ბრესტის „დედილო კურაჟში“ და თბილისში ბრესტი-შექსპირის „კორიოლანოსში“, ახლა ხორცის უფორმო მასად ქცეულიყო.

ქ-ნი ნატალია ფეხზე წამოიჭრა, აღტაცებულმა წამოიძახა — „ძვირფასო ბარბარა! როგორც იქნა, გიპოვეთ, ჩემო ძვირფასო!“ — ხელები გაშალა და გულში ჩაიკრა. „რამდენი ხანია გეძებთ, ვიცი, ჩვენზე ხართ ნაწყენები, მაგრამ ხომ იცით, მოსკოვის ბიუროკრატების ამბავი!“... „ჰანა, — მიუბრუნდა იგი ფესტივალის დირექტორს — გთხოვთ, ახლავე დამაკავშიროთ მოსკოვთან, კულტურის სამინისტროს დაველაპარაკები და ყველაფერს მოვაგვარებ“. სანამ გაოგნებული, სახტად დარჩენილი ბარბარა გონს მოეგებოდა, ქ-ნმა ნატალიამ რამდენიმეჯერ „დარეკა“ მოსკოვში. ბოლოს ხელები გაშალა, თითქოს ამბობდა, რა ვქნა, ვერავინ დავიჭირე, არა უშავს, მოკლე ხანში მოვაგვარებ ყოველივესო. შემდეგ გაიხსენა თბილისში მათი გას-

ტროლები („დაუვინყარი იყავითო“), სტუმრობა და ბანკეტი მათთან სახლში (პიკანტური და ხალისიანი ამბებით). ბრესტის „ბერლინერ ანსამბლისა“ და რუსთაველის თეატრის პარტნიორშაფტობა, ბრესტის თანამეცხედრის, ჰელენ ვაიგელის და სერგო ზაქარიაძის შემოქმედებითი ხელშეკრულების ამბავი, მათი თეატრის თბილისში სტუმრობის და ქართული მასპინძლობის საგულისხმო დეტალები, ისე მოხიბლა მთელ მსოფლიოში სიხარბით ცნობილი მემკვიდრეები, რომ ისინი რამდენიმე წუთის შემდეგ, ქ-ნ ნატალიას საუკეთესო მეგობრებად იქცნენ.

ქ-ნმა ნატალიამ „ბერლინერ ანსამბლის“ მთელი დასი დაჰატიჟა „კავკასიურზე“. მართლაც მოვიდნენ სპექტაკლზე და აღტაცებულნი დარჩნენ. ყველაფერი ეს დაგვირგვინდა იერუსალიმის თეატრის რესტორანში ვახშობით და მთელი ისრაელი უყურებდა სატელევიზიო გადაცემას იერუსალიმიდან, სადაც ორი ქალბატონი — ნატალია და ბარბარა ერთმანეთს მარადიულ მეგობრობას ეფიცებოდნენ. ორიოდვე დღის შემდეგ საპასუხო ვიზიტით დავესწარით მათ პირველ საფესტივალს, ოდესღაც სახელგანთქმულ სპექტაკლს ბრესტის „გალილეო გალილეის“, და სასტიკად იმედგაცრუებულნი დავრჩით გასუქებული შალის თამაშით. ოდესღაც განსაცვიფრებელი პლასტიკის მსახიობი თითქმის მთელი სპექტაკლის მანძილზე სკამზე მჯდარი თამაშობდა.

ქ-ნმა ნატალიამ თეატრალურ საზოგადოებაში მცირე ხნის მოღვაწეობის მანძილზე ბევრ სასიკეთო საქმეს დაადგა თავი. ხოლო დემოკრატიისა და თავისუფლების ხანაში მისი ნიჭიერება მთელი გაქანებით გამოვლინდა მრავალპროფილიან ბიზნესში, რომელსაც იგი ასე წარმატებით უძღვება დღესაც. პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ დააარსა დამოუკიდებელი ფირმა, რომელიც უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების განმტკიცებისათვის ზრუნავდა. რასაკვირველია, მას დიდად გამოადგა ის გამოცდილება, რაც რუსთაველის თეატრთან ერთად საგასტროლო და

საფესტივალს მოგზაურობისას დააგროვა, ის ცოდნა, რაც შეიძინა უცხოელ იმპრესარიოებთან, ფესტივალის ხელმძღვანელებთან ხანგრძლივი ურთიერთობისა თუ მეგობრობისას.

მის მიერ შექმნილი ფირმის და, ცხადია, პირადად მისი დამსახურებაა, რომ მარჯანიშვილის თეატრი იაპონიაში ერთი სპექტაკლით (ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“) კი არ გაემგზავრა, როგორც ეს თავიდანვე იყო გადანიშნული, არამედ სამით, დაემატა ლალი როსებას „პროვინციული ამბავი“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, შესაბამისად გაიზარდა საგასტროლოდ გამგზავრებულთა რიცხვიც, რამაც, ბუნებრივია, — ხარჯების საგრძნობი ზრდა გამოიწვია. ეს სიძნელეც წარმატებით დაძლია ქ-ნმა ნატალიამ. მარჯანიშვილის თეატრთან არსებული ხმის ჩამწერი სტუდია, რომელიც ფირმა „იამახას“ აპარატურითაა დაკომპლექტებული, სწორედ ქ-ნ ნატალიას უნდა უმადლოდეს ამ სიკეთეს.

თეატრის იაპონიაში ყოფნისას ქ-ნ ნატალიას ძალისხმევით გაიმართა სერგო ფარაჯანოვის ფილმის „აშუღ ყარობის“ პრეზენტაცია, რომელსაც რამაზ ჩხიკვაძე უძღვებოდა.

საერთოდ, მარჯანიშვილის თეატრის მიმართ ქ-ნ ნატალიას კეთილგანწყობილება იმითაც გამოიხატა, რომ მისი ხელშეწყობით მოხერხდა სპექტაკლ „ოტელოს“ ჩვენება გერმანიის ქალაქ ბრაუნშვაიგში, შექსპირის ნაწარმოებთა საერთაშორისო ფესტივალზე.

უშუალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული რუსთაველის თეატრის დასის ერთი ნაწილის საგასტროლოდ გაყვანა ინგლისში და ავსტრალიაში (იხ. ამ ნიგნის თავის — „დიდი მსახიობის დიდი ბენეფისი ლესტერში“), „კავკასიური ცარცის წრისა“ კი — ანდალუზიაში. აქ ერთი კურიოზული ამბავი მოხდა: გზაში სადღაც დაიკარგა მთელი რეკვიზიტი და ქ-ნ ნატალიას მოუხდა ყველა აუცილებელი საგნის შეძენა საკუთარი სახსრებით, რათა გასტროლები არ ჩაშლილიყო.

ერთი სიტყვით, ქ-ნი ნატალია ჩხიკვაძე წლების მანძილზე აკეთებდა იმას, რასაც სპეციალურად ამ საქმისათვის შექმნილი დიდი ორგანიზაციები ძლივს ართმევდნენ ხოლმე თავს. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მის მიერ გამართული ფართოფორმატიანი ღონისძიებანი უცხოეთში. მაგ. მაშინდელი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში მან გამართა ქართული კულტურის დღეები, რომლის პროგრამაში იყო ქართული კინოს კვირეული, მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „მეფე ლირი“ (ლირი — ოთარ მეღვინეთუხუცესი, რეჟისორი — დ.დოიაშვილი), ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი — სტრინდბერგის „სიკვდილის ცეკვა“ (იხ. ამ წიგნის თავი „სად ვიყავი და სადა ვარ“), ანსამბლ „ბიჭების“ კონცერტები (სხვათა შორის ეს ანსამბლი უფრო ადრე, ქ-ნმა ნატალიამ საგასტროლოდ წაიყვანა სინგაპურში. წარმატება ისეთი დიდი იყო, რომ სინგაპურის პრემიერმა მადლობის წერილიც კი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს), პრაღაში, გალერეა „მიროში“ გაიმართა ქართველ მხატვართა გამოფენა, ქართული სამზარეულოს დღეები და მთელი ამ ხნის მანძილზე დიდოსტატი ნანა იოსელიანი ერთდროული თამაშის სენსებს მართავდა.

მაგრამ ქ-ნი ნატალიას ფირმა მხოლოდ ქართული კულტურის პროპაგანდით როდი შემოიფარგლებოდა. იგი ცდილობდა, კულტურული კავშირები

ორმხრივი ყოფილიყო. კერძოდ, მისი ინიციატივით თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ ბულგარული და ნორვეგიული თეატრები, ინგლისელი მომღერლები, საქვეყნოდ ცნობილი იმპრესარიო, ბერძენი კრიტოსი და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი საქველმოქმედო მოღვაწეობა. მაგალითად, როცა იაპონიაში იყო მარჯანიშვილის თეატრი, ქ-ნმა ნატალიამ მედიკამენტები შეაგროვა და საქართველოში ჩამოიტანა. სპექტაკლ „სიკვდილის როკვის“ იტალიაში გასტროლებისას კი უამრავი ტანსაცმელი შეაგროვა ბავშვებისათვის და აქ პირადად, თვითონ დაარიგა, რათა ვინმე უსინდისოს ხელი არ მოეთხო ამ საქმეზე.

ერთი სიტყვით, ყველაფერის ჩამოთვლა, რაც ქ-ნი ნატალიას გაუკეთებია თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ძალზე ძნელია და გარდა ამისა, არ მინდა მისდამი მიძღვნილი ეს თავი საინფორმაციო ცნობარს დაემსგავსოს. ასეთი ტემპერამენტის, დინამიკური ბუნების, მომხიბლავი ქალბატონის საქმიანობის აღსაწერად წერის „საქმიანი მანერა“ არ გამოდგება.

დავუბრუნდეთ იმას, რითაც დავინწყეთ: ქ-ნი ნატალიასა და რამაზის დიდი სიყვარულის ამბავს, რამაც განაპირობა ამ ორი დიდი პიროვნების ერთად ყოფნა და ესოდენ სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრება...

მართლაც, ყველაფერია შესაძლებელი „როცა ასეთი სიყვარულია!“...

თავაზის აზარტული ტრფიალი



საქართველოს სახალხო არტისტი
ანზორ ხერხაძე

2003 წელი. ივნისის მშვიდი საღამოა.

მსახიობს უნდა შევხვდე.

გრძელ გზას მივუყვები. ჩვენი დიალოგი მის საკაზმულოში არ გაიმართება. უჩვეულოა მსახიობს ბინაში რომ უნდა ვენციო. არტისტის სახლი ხომ თეატრია. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სეზონი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ჩვენ კი მამა-პაპისეულ სახლში უნდა შევხვდეთ...

კარგახანს ვისაუბრეთ. სრულიად სხვა კუთხით დავინახე შემოქმედი, რომელმაც ბევრად განსაზღვრა ქუთაისის მესხიშვილის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება უკანასკნელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე.

ანზორ ხერხაძე სახალხო არტისტი. ეს წოდება მან ღირსეულად ატარა. ვეცნობი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამსახველ მასალას — რეცენზიები, წერილები, სპეციალისტთა გამოხატუებები.

მსახიობს სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული სტატიები საკუთარი ხელით გადაუნწერია სქელყდიან რვეულში, როგორც როლის ტექსტი. ეს მისი პირადი განძია.

გადანერული სტატიები!...

იშვიათია ასეთი რამ. ასე მგონია, ანზორ ხერხაძემ იმიტომაც გადანერა

საკუთარი ხელით ეს სტატიები, რომ კიდევ უფრო ღრმად ჩაეკითხა და ეგრძნო, რას წერენ მასზე ჟურნალისტები, სპეციალისტები, როლის ტექსტით რომ გაეთავისებინა.

... უკვე თეატრის წინ ვდგავარ.

ვცდილობ გავაცოცხლო ისტორიადქცეული ფაქტები, მოვლენები, რომლებიც არამარტო ჩემი, არამედ თქვენი, ათასობით თეატრზე შეყვარებული ადამიანის, მომავალი თაობის საკუთრებაა.

1957 წელი.

ეს წელი მსახიობის ბიოგრაფიაში ერთადერთი წინადადებით შევიდა; „გაგზდი დიდი და ნიჭიერი კოლექტივის წევრი“. უკვე ყველაფერო ნათქვამია. აუხდა ბავშვობაში ნაოცნებარი. ერთი წლის შემდეგ კი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაირიცხა ჯემალ მონიავას, მედეა ბიბილეიშვილის, თენგიზ ნათაძის, ომარ ტივაძის და სხვათა გვერდით. პედაგოგთა შორის

გამორჩეული და განსაკუთრებული ზეგავლენა, რომელსაც დღესაც განიცდის, სერგო ზაქარიაძემ მოახდინა. მოგვიანებით, 50 წლის ანზორ ხერხაძე, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „სცენაზე მარადიული განახლების აუცილებლობის საიდუმლოს ჩვენმა სასიქადულო მსახიობმა, ბატონმა სერგო ზაქარიაძემ მაზიარა ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ იგი დღემდე ჩემი იდეალია, როგორც ადამიანი და როგორც ხელოვანი“.

ბატონი ანზორი პედაგოგთან გატარებულ წლებს განსაკუთრებული რუდუნებით იხსენიებს:

— სერგო ზაქარიაძე ხშირად ამბობდა: როდესაც ახალგაზრდა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხება, მას თავი ჰგონია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მეორე კურსზე — დამსახურებული, მესამეზე — მხოლოდ არტისტობას სჯერდება. დაამთავრებს ინსტიტუტს, მივა თეატრში სამუშაოდ და მიხვდება, ჯერ კიდევ არაფერიც არ ვარო. ამ აზრის ჭეშმარიტებას ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უფრო ჩავენვდი. ინსტიტუტი გაძლევს განათლებას, გასწავლის როგორ უნდა გახდე მსახიობი, მაგრამ მთავარია, როგორ განახორციელებ და გამოიყენებ მიღებულ ცოდნას პრაქტიკული მუშაობისას, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული.

1962 წელს ანზორ ხერხაძე უბრუნდება მშობლიურ ქალაქს და მესხიშვილის თეატრს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი აკაკი ვასაძე გახლდათ. მის ცხოვრებაში იწყება თვითდამკვიდრების, საკუთარი შესაძლებლობების, ღვთით ბოძებული მონაცემების გამოცდის ეტაპი. როლები, ისე როგორც შემოქმედების სხვა ეტაპზე, პირველი წლებიდანვე უხვად ჰქონდა — ჯო (მოროდინის „სახელგანთქმული 702“ რეჟისორი — მ. ფურცხვანიძე), კიმონი (ლევან სანიკიძის „მედეა“, რეჟისორი — თ. მესხი), სოსოია (ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, რეჟისორი — გიგა ლორთქიფანიძე), მკვლელი (შექსპირის „რიჩარდ III“, რეჟისორი — აკა-

კი ვასაძე)... თუმცა, იმ ფაქტს, რომ იგი მრავალმხრივი მსახიობი გახდა აკაკი ვასაძის დამსახურებად მიიჩნევს:

— თბილისიდან დაბრუნებულს, თავიდან ძირითადად რომანტიკულ გმირებს მთავაზობდნენ. ერთხელ ბატონმა აკაკიმ დამიბარა და მითხრა, შეიძლება დაიღუპო როგორც მსახიობი, თუ ამპლუა არ შეიცვალე და ამ გზას გაყვეო. შემომთავაზა მეთამაშა სპექტაკლში „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ ბულალტერი ემოკრიტე. გამიკვირდა და შემეშინდა კიდევ. ეს ჩემთვის სრულიად განსხვავებული გმირი იყო, მაგრამ გამოვიდა ჩინებული სპექტაკლი და თავი ვიგრძენი უზედნიერეს კაცად. მიხვდები ჩემს ცხოვრებაშიც და სცენაზეც მოხდა უდიდესი გარდატეხა“.

მსახიობის ყველა როლის ჩამოთვლა შეუძლებელია, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე მათგანი, რომელთაც ბატონი ანზორი თავის ჩანაწერებში განსაკუთრებით იხსენებს. ტიგელანი — სპექტაკლში „ნერონი“ — „ეს როლი განსაკუთრებით მიყვარს. ვიყავი ისეთი ბუმბერაზი მსახიობის პარტნიორი, როგორც აკაკი ვასაძეა (თავად ნერონს თამაშობდა და ბრწყინვალედ)“.

აკაკი ვასაძეზე საუბრისას მრავალ საუკეთესო მოგონებათა გვერდით, გულისტკივილითა და სინანულით იხსენებს: „სპექტაკლში „მოგზაურობა სამ დროში“, სადაც უნდა მეთამაშა, პრემიერამდე ორი კვირით ადრე თეატრიდან წავედი. მართალია ეს დაკავშირებული იყო ჩემს პირად ცხოვრებასთან, მაგრამ ბატონი აკაკი ასეთ მოქცევას არ იმსახურებდა“.

დროებით ვტოვებ წარსულს. აწმყოში ვინაცვლებ. მესხიერებაში კინოკადრებივით აღსდგა სტუმრობის დეტალები:

სასტუმრო ოთახში სიმყუდროვეა. არც ძვირფასი ავეჯი, არც ფუფუნება, უბრალო პიანინო, მომცრო ტახტი, პატარა მაგიდა. მსახიობს მეტი არაფერი სჭირდება. უამრავი ფოტოსურათია, სადაც აღბეჭდილია ანზორ ხერხაძე სხვადასხვა როლში.

— ფოტოსურათები არ მიყვარს,

ვერიდები ჩემი პერსონაჟების ფირზე აღბეჭდვას, მათ სიცოცხლე აკლიათ თითქოს, მაგრამ ჩვენ ხომ ამის მეტი აღარაფერი გვრჩება, — მითხრა მასპინძელმა და ისე ჩაეშვა სავარძელში, რომ ფოტოები არ დაენახა. ანზორ ხერხაძე ჯერ კიდევ ფორმაშია, ჯერ კიდევ სცენაზე დგას, ჯერ კიდევ ზემოქმედებს მაყურებელზე, მას ფოტოებით მოსაუბრის მონუსხვა არ სჭირდება. წიგნები, ფოტოები, ისევ წიგნები, ისევ ფოტოები, წიგნები — ანზორ ხერხაძე ქართული ლიტერატურის ტრფიალია...

ჩვენ ვსაუბრობთ, კარი იღება და ბატონი ანზორის მეუღლე მამიდაზე ღვინით სავსე ორ მაღალფეხიან ჭიქას დგამს. მსახიობმა ღიმილი დაატანა სიტყვას: ეს უიშვიათესი ყურძნის ჯიშისაგან გამოყვანილი ღვინოა. მისი მომვლელიც, დამწურავიც და „ნათლიაც“ თვითონ ვარ. სახელი შვილის საპატივცემულოდ შეეწურაჩიე — „მირიანოული“... შვილს კი პირველი ქრისტიანი მეფის სახელი შეარქვა...

... ჩვენ თეატრის სადღეგრძელოს ვსვამთ... და კვლავაც ვუბრუნდებით წარსულს...

არძივის მასალები:

თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე სპექტაკლ „ნაცარქექიას“ შესახებ:

„პირველად სპექტაკლი ნორმალურ, მოსაწონ ფორმაში ვნახეთ. II ივლისს კი სრულიად დაშლილი და გულისმომკვლელი იყო. მსახიობები მობეზრებულად, აგდებულად თამაშობდნენ და არასწორ რეაქციას იწვევდნენ დარბაზში მსხდომ ბავშვებში. ერთადერთი ვინც ასეთ ვითარებაში არ გამოეთიშა თავის როლს, იყო ნიჭიერი მსახიობი ანზორ ხერხაძე, რომელიც თავიდან ბოლომდე დარჩა უმაღლეს პროფესიონალად“.

— **ბატონო ანზორ, სპექტაკლისადმი არაერთი მსახიობის ზერელე დამოკიდებულება დღესაც შესამჩნევია. როგორ ფიქრობთ, რა ინვესტაციის დაბერებას და თქვენ როგორ ახერხებთ შეუნარჩუნოთ გმირს სინორჩე?**

— სპექტაკლის დაშლას სიბერეს ვერ დავაბრალებთ. პირიქით, დროთა

განმავლობაში სპექტაკლი უფრო ღრმავდება. მთავარია, მსახიობის პასუხისმგებლობა. მან სცენაზე გასვლის წინ, კულისებში უნდა დატოვოს პრობლემები და დაიხარჯოს მაყურებლის წინაშე, რომელიც მის სანახავად მოსულა.

„ნაცარქექია“ დილის სპექტაკლი იყო და სანახავად ძირითადად ბავშვები მოდიოდნენ. ასეთ დროს განსაკუთრებულად ვიხარჯები, რადგან ბავშვის სულში შეღწევა, მასში ხელოვნებისადმი, თეატრისადმი სიყვარულის ჩანერგვა ძალიან რთულია.

ყოველთვის ვცდილობ არ გამოვეთიშო, მაგრამ რამდენად ვახერხებ, არ ვიცი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მოდის ისეთი მაყურებელი, რომელთანაც თამაში ძალიან რთულია.

— **მაყურებელი თეატრის ორგანული ნაწილია. ისტორიულად ქართულ თეატრს მარად ერთგული და თეატრის მოყვარული მაყურებელი ჰყავდა. დღეს კი მომრავლდა ცარიელი დარბაზები.**

— **ბატონო ანზორ, ძველებური მისწრაფებით რატომ აღარ დადიან თეატრში. ვის დავაბრალოთ, თეატრს, დროს, ადამიანებს, თუ გარემოს?**

— ერთი ნუთითაც არ იფიქროთ, რომ თეატრის ბრალია. ეს დრომ მოიჭანა. დღეს უგემოვნო კონცერტებს დაეთმო არენა. ამას მაყურებლის თვალი და ყური შეეჩვია. დაემატა ტელევიზორის გავლენა, საიდანაც ხშირ შემთხვევაში გარყვნილების მეტს, ვერაფერს სწავლობს ახალგაზრდობა. არის რაღაც ზღვარი, რომლის იქით გადაბიჯება არ შეიძლება. სამწუხაროდ, ამ საკითხზე ძალიან ცოტა ადამიანი ფიქრობს.

ქუთაისში ჩამოსული იყო ბერძენი რეჟისორი ვასილიუს მიცაკისი, რომელმაც ჩვენს თეატრში დადგა მისივე ნაწარმოები „ოჯახი“, სადაც მთავარ როლებს მე და ქალბატონი ევა ხუტუნაშვილი ვთამაშობდით. რეჟისორთან ხშირად მქონდა კერძო საუბრები და ერთხელ ასეთი რამ მიაბო: საბერძნეთში, ანტიკურ ქალაქ თესალიას მუზეუმში დაცულია მასალები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდნენ უძველესი ბერძნები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ერის არსებობი-



სცენა სპექტაკლიდან „უჩაქი ბაღაბრუნდა“
ახალციხე — ანაწილ ნაწილი.

სათვის საჭიროა სამადსამი კომპონენტი — განათლება, როგორც გონებრივი სიჯანსაღე; ხელოვნება — როგორც სულიერი სიჯანსაღე და სპორტი, როგორც ფიზიკური სიჯანსაღე. საბერძნეთის ხელისუფლება, ამ აზრს დღესაც ითვალისწინებს. ჩვენთან კი რატომღაც სწორედ ამ სამი კომპონენტით არავინ ინტერესდება.

თეატრი ამ შემთხვევაში, როგორც განათლება და სპორტი მსხვერპლია დროის, გარემოსი და ადამიანებისა, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს. თუმცა ოპტიმისტი ადამიანი ვარ. ვფიქრობ, ეს დროებითია და რაღაც სასიკეთოდ აუცილებლად შეიცვლება.

ვუბრუნდები მსახიობის პირად არქივს.

1969 წელი. ჟურნალი „თეატრალური მოამბე“. წინო შვანგირაძე სპექტაკლ „აჭარკუნე ჭიმჭიმელის“ შესახებ:

„ამ საყურადღებო სცენურ ნაწარმოებში ემოკრიტეს ბრწყინვალე სახე შექმნა მსახიობმა ანზორ ხერხაძემ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ემოკრიტე არა მარტო ანზორ ხერხაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში დაიჭერს თვალსაჩინო ადგილს, არამედ მტკიცედ შევა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაშიც აპრაკუნესთან და ყვარყვარესთან ერთად“.

თავად მსახიობი კი ყვარყვარეს შესრულებით ქუთაისის სცენაზე უკმაყოფილოა. ეს როლი მან ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე განასახიერა და წარმატებულადაც. წარუმატებლობის მიზეზს კი არ აკონკრეტებს: „მთავარი სათქმელი ან მე ვერ დავინახე ან რეჟისორმა“.

რეჟისორები, მსახიობის ცხოვრებაში როლებივით ნაირგვარი ამპლუსის და დიაპაზონის ადამიანები არიან: იური კაკულია, მურმან ფურცხვანიძე, ავაკი ვასაძე, თამაზ მესხი, გოგი ქავთარაძე,

ჰერმან ვედეკინდი, ედგარ ეგაძე, თორნიკე მარჯანიშვილი, ნუგზარ ლორთქიფანიძე... განსხვავებული ადამიანები, განსხვავებული ხელნერის რეჟისორები...

— **ბატონო ანზორ, შესრულებული როლების გარდა რა შეგძინათ რეჟისორებთან ურთიერთობამ?**

— ბედნიერი ვარ, რომ მრავალ რეჟისორთან მიმუშავია. თითოეულმა მათგანმა თავისი კვალი დატოვა ჩემს შემოქმედებაში. ჩვენი პროფესიები იმით არის საინტერესო, რომ გამუდმებული შემოქმედებითი ურთიერთგაცვლა და შესწავლის პროცესია. სხვაგვარად თეატრში მუშაობა მოსაბეზრებელი გახდება.

პირადი არქივი კიდევ ერთ საინტერესო მასალას მანვდის. გაზეთი „ქუთაისი“, ჟურნალისტი მანანა ჯინჯიხაშვილი 50 წლის ანზორ ხერხაძეს ეკითხება:

— **ბატონო ანზორ, როცა ინსტიტუტი დაამთავრეთ, ალბათ, გქონდათ გარკვეული წარმოდგენა 50 წლის მსახიობ ანზორ ხერხაძეზე. ემთხვევა თუ არა მაშინდელი, წარმოსახვით შექმნილი ახლანდელს, რეალურს?**

— ემთხვევა მხოლოდ ნაწილობრივ, წარმოსახვით შექმნილი, მოგეხსენებათ, უფრო სრულქმნილია, ვიდრე რეალური, მით უფრო იმ ახალგაზრდას თვალთახედვით, რომელსაც, რადგან თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი უდევს, თავი დიდ არტისტად წარმოუდგენია... არადა, როცა ცხოვრება თავის რელსებზე გადაიყვანს, როცა თავის მიმართ მიუდგომელი მსაჯული ხდება, თანდათან უფრო შეიგრძნობ სინამდვილის სიმკაცრეს. დიას, მაშინ სხვა თვალსაზრისით ვუდგებოდი ყველაფერს. სხვათა შორის, მაშინ მართლა მეგონა, რომ ამ ხნის განმავლობაში უფრო მეტი მექნებოდა გაკეთებული. აქ შესრულებული როლების რაოდენობას კი არ ვგულისხმობ, არამედ ხარისხზე მოგახსენებთ. რამდენადაც მსახიობს სხვა შემოქმედთან ნაკლები ავტონომია აქვს, მით უმეტეს ზოგადად თეატრში რეჟისორის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება, მივეჩვიეთ ჩვენი

ნაკლოვანი მხარეების სხვაზე გადაბრალებას, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის.

ჭეშმარიტი ნიჭი ყოველთვის იტყვის თავის სიტყვას, მათ შორის რეჟისორულ თეატრშიც. ასე რომ, რაიმე შეღავათს სულაც არ ვსაჭიროებთ.“

ბატონ ანზორთან საუბარში დღესაც გამოკვეთილად იგრძნობა საოცრად კრიტიკული დამოკიდებულება შესრულებული როლების მიმართ და აი, ესეც ერთ-ერთი ნიშანი პროფესიული თვითშეგნებისა...

მაფხიზლებს მისი ხმა — „მთავარია მსახიობმა შეინარჩუნოს თავისი ნამუშევრებისადმი სხვისი თვალთ დახახვის უნარი, ცოტა ძნელი კი არის, რომ შეინარჩუნო მაქსიმალური ობიექტურობა საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ მუდმივი ძიებისა და ზრდის უკეთესი გარანტია, მსახიობისათვის არ მეგულება“.

მსახიობის პროფესია ერთ-ერთი ურთულესია ხელოვნების დარგებს შორის. მსახიობი ცხოვრების მანძილზე არის მრავალგვარი, მრავალი, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ყოველთვის ერთი. გარდასახვის ეს საიდუმლოება მრავალუცხოებიან განტოლებას ჰგავს, რომლის პასუხიც, ხშირ შემთხვევაში, თავად მსახიობებსაც კი არ აქვთ. ბატონი ანზორისათვის გარდასახვა სახლიდანვე იწყება. მისი დუმილი ნიშნავს, რომ იგი უკვე „იმოსება“ გმირის სამოსელით. როლში შესვლის მეორე ეტაპი კი სახლიდან თეატრამდე გრძელდება. თუკი ქუჩაში ანზორ ხერხაძე არ მოგესალმათ, ჩათვალეთ, რომ იმ დღეს სპექტაკლია მისი მონაწილეობით. რიტუალის მესამე ნაწილი საგრძობად მიმდინარეობს... საიდუმლოდ...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანზორ ხერხაძე თანამედროვე მსახიობია და მან ყველგან სცადა ბედი: რადიოში, ტელევიზიაში, კინოში, მაგრამ კინო მისი შემოქმედებისათვის ორგანული არ აღმოჩნდა. თუმცა, „კინოს აქვს მნიშვნელოვანი თვისება — ცოცხალ სახეებს ინახავს! სცენაზე ნათამაშები უამრავი როლი უკვე დაკარგულია. მათ შორის ბევრზე



ანზორ სერხაძე ოჯახთან ერთად

გული მწყდება...

მისი გმირები შემოინახეს ფილმებმა: „პირველი მერცხალი“, „ბაკულას ღორები“, „თბილისი და თბილისელები“.

ისტორიას კი ჩაბარდა ანზორ ხერხაძის მიერ თეატრში შესრულებული მეფე იმერეთისა („ჟამთაბერის ასული“, რეჟისორი თ. მესხი), თარაში (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, რეჟისორი თ. მესხი), ჰერცოგი ბუკინგამი (ა. დიუმას „სამი მუშკეტერი“, რეჟისორი გ. ქავთარაძე), ლევანი (ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“), ფრანც მოორი (შილერის „ყაჩაღები“, რეჟისორი ა. ჟვანია), იუნიუს ბრუტოსი (შექსპირის „კოროლიანიუსი“, რეჟისორი გ. ქავთარაძე), ოთარ ბეგი (ა. სუმბათაშვილი-იუჟინი „ღალატი“, რეჟისორი გ. ქავთარაძე), აინშტაინი (ფ. დიურენმანტი „ფიზიკოსები“, რეჟისორი ჰ. ვედეკინდი)...ლეგენდად იქცა ბატონი ამილკარი (ივ. ჟამიაკი „ბატონი ამილკარი“, რეჟისორი ე. ევაძე),

გიორგი (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟისორი გ. ქავთარაძე)...

— **ბატონო ანზორ, თქვენს მიერ განსახიერებულ მეფეთა შორის რომელს მიიჩნევთ ყველაზე ძლიერ ქვეყნის მმართველად?**

— მეფე გიორგი, მასში გაერთიანებულია ხუთივე მეფის თვისებები, ხასიათი. ვთვლი, რომ მეფეთა შორის ის ყველაზე ძლიერი, საინტერესო და უბედური მეფე გახლდათ.

ანზორ ხერხაძის გმირი ოზოი სვეტაკლ „მომთაბარენიდან“ ამბობს, რომ „თვალისჩინი იმისათვის მოგეცი, საჭირო ფერთა შერწყმის უნარი შეიძინო“. იგივე ფრაზას იმეორებს პარტნიორებზე საუბროსას. პარტნიორთა ურთიერთშერწყმა სწორედ საჭირო სვეტაკლზე მუშაობის დროს. მას ბევრი კარგი პარტნიორი ჰყოლია, ცუდიც. სცენაზე ფეხისადგმიდან დღემდე უმეტესად მისი

პარტინორები არიან ქალბატონი ევა ხუტუნაშვილი და ბატონი ერემო სვანაძე...

აი, რას ამბობს ბატონი ერემო თავის პარტინორზე:

— ადამიანი რომ გიყვარდეს და აფასებდე, უნდა იცნობდე. ძალიან კარგად ვიცნობ ანზორ ხერხაძეს, მიყვარდა და მიყვარს მასთან ერთად სცენაზე ყოფნა. საერთოდ, მსახიობს აქვს ხოლმე ჩავარდნები, მსგავსი ანზორს არასოდეს ჰქონია. მუდამ ძიებაშია, როლსაც კი ჯიბით დაატარებს.

ფრანგები ამბობენ: „მამაკაცის შესახებ შეიძლება ყველაფერი გაიგო, თუ ნახავ ქალს, რომელიც მის გვერდით არისო“. ბატონ ანზორს ცხოვრებაშიც კარგი პარტინორი ჰყავს. ქალბატონი ნარგიზა ჩოგოვაძე ოჯახის მყუდროების შენარჩუნებასთან ერთად მეუღლის შემოქმედების თაყვანისმცემელი და გამფრთხილებელია. ის გახლდათ ჩვენი დიალოგის პირველი მსმენელიც და მაყურებელიც.

ბატონი ანზორი ფიქრობს, რომ „მსახიობისათვის აუცილებელია ოჯახური მდგომარეობა მონესრიგებული ჰქონდეს, სხვანაირად რთულია რამეს მიაღწიო. ჩემი ოჯახი მაქსიმალურ დროს მითმობს, ეს იქნება როლზე მუშაობის პროცესში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

მიუხედავად იმისა, რომ ანზორ ხერხაძის ნაბოლარა — მირიანი, სცენაზე რამდენჯერმე ვიხილეთ, მომავალში პროფესიული გზის დაკავშირებას თეატრთან არ აპირებს. როგორც მსახიობთა უმრავლესობას, ბატონ ანზორს, არ სურს შვილი მსახიობი გახდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არაადამიანური შრომის მიუხედავად, მსახიობის პროფესია დაუფასებელია. მას არც დღევანდელი პრესის ქებისა სჯერა და ურჩევნია პროფესიონალებმა აკრიტიკონ, ვიდრე არაპროფესიონალებმა აქონ. ამის დასტურად კი აი, რას ამბობს:

— ჩემი აზრით, სპექტაკლზე ყველა არ უნდა წერდეს. მაოცებს ის ფაქტი, რომ დღეს ყველა ჟურნალისტს ჰგონია, რომ თეატრი იცის და შეუძლია სპექტაკლზე წერა. ჟურნალისტიკა სხვა პროფესიაა, თეატრმცოდნეობა — სხვა. მა-

გრამ კრიტიკოსი იქნება, თეატრმცოდნე თუ ჟურნალისტი, უნდა ცდილობდეს, რომ ჩემი ნაკლი გამოასწოროს, მიკარნახოს, თავისი აზრი მომანოდოს და არა მლანძლოს და მაგინოს. ასეთი დამოკიდებულების გამო მწყრალად ვარ დღევანდელი ჟურნალისტების მიმართ.

ვეთანხმები ოსკარ უაილდის მოსაზრებას ჟურნალისტის მისიაზე. — „ჟურნალისტი თავისი რეცენზიითა და წერილით ამჟღავნებს საკუთარ პიროვნებას, შინაგან სამყაროს“.

ქრუშურგმა ავადმყოფს რომ უმკურნალოს უნდა გაჭრას, მაგრამ არა ნაჯახით, არამედ დანით. დღევანდელი ჟურნალისტები ნაჯახით ჭრიან. მათ ჰგონიათ, რომ ამით მოიპოვებენ პოპულარობას. მაპატიონ, მაგრამ ეს უზრდელობაა.

ბესარიონ ბელინსკი რამდენჯერმე ნახავდა სპექტაკლს. ყოველი ნახვის შემდეგ კი რვეულში ინერდა თავის მოსაზრებას. რვეული რომ გაივსებოდა, მხოლოდ მაშინ მიიტანდა რედაქციაში. ჩვენთან არათუ რამდენჯერმე, პრემიერაზეც არ მოვლენ. ნახავენ სპექტაკლს გასინჯვის დღეს და დაწერენ რეცენზიას. უფრო მეტიც, სპექტაკლში, „ბაგრატი V“, ქეთევან კოლხიდელს დედის როლი უნდა ეთამაშა. მაგრამ პრემიერის წინ ავად გახდა და ეს გმირი განასახიერა ლამარა ვაშაკიძემ. რეცენზიაში ეწერა, რომ შესანიშნავი იყო დედის როლში სასიქადულო მსახიობი ქეთევან კოლხიდელი. ჟურნალისტმა რეცენზია დაწერა პროგრამის მიხედვით, სპექტაკლის ნახვის გარეშე.

საიდან მოდის ასეთი უვიცობა?!

ჩემი აზრით, ჟურნალისტმა არ უნდა დაწეროს სპექტაკლზე, საგულდაგულო ანალიზს ვგულისხმობ. პროფესიონალიზმს დიდად ვაფასებ.

მე ასე მესმის, მჯერა და ვიცი, რომ მართალი ვარ“.

მსახიობის გულისტკივილი გასაგებია. იგი საერთოდ კრიტიკის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ პროფესიული კრიტიკის მოსურნეა. ამიტომაც გადავწყვიტე პროფესიონალის შეფასება გამეცნო მკითხველისათვის: ნათელა

არველაძე — თეატრმცოდნე.

„ანზორ ხერხაძეს კი არ გამოჰყავს სცენაზე თავისი პერსონაჟი, კი არ დაატარებს თავის პერსონაჟს მარიონეტივით, ან მხოლოდ კი არ ცხოვრობს მისი პერსონაჟის ყოფით, არამედ იგი გამოჰჰკვეთს სასცენო მოვლენას, რომლის თავბრუდამხვევი რიტმი, მასშტაბი, სიძლიერე თუ სიმყუდროვე მის არტისტიკაში, პიროვნულ სიბლსა და ოსტატობაზე ბევრადაა დამოკიდებული. ანზორ ხერხაძე თავად ხდება სანახაობის პროტაგონისტი, რადგან მოხერხებულად, გატაცებით, მომხიბვლელად „თარგმნის“ ხელოვნების ენაზე ცხოვრებისეულ ფაქტებს, რეალურ მოვლენებს, ნამდვილ ამბებს. იგი სცენაზე სახიერად გამოსახავს პერსონაჟის მიკრო სამყაროს დროის შეგრძნებასთან ერთად, იგი ამსხვილებს ამბავს, სიმკვრივეს და სიღრმეს ანიჭებს თვით ყველაზე უტყვე ყოფასაც კი, და ამ გაზვიადებით, ფართო მონასმებითა და ფაქიზი ნიუანსებით სხვათა ყოფას უახლოებს საკუთარ ცხოვრებას, სხვათა თავგადასავალს უახლოებს საკუთარ ცხოვრებას, სხვათა მისწრაფებას გარდატეხს პიროვნულ ქურაში, ამ გზით კი მაყურებელი „შეჰყავს“ სასცენო გამონაგონის, სასცენო თამაშის ფერხულში“.

ისევ არძვი.

„ამ სეზონში შემისრულდა დაბადებიდან სამოცი და სასცენო მოღვაწეობიდან ორმოცი წლისთავი. რაოდენ დასანანია, რომ თეატრმა ეს არც აღნიშნა. არადა, ასეთ ორმაგ თარიღებს თეატრები სპეციალურად ეძებენ, ხანდახან ქმნიან კიდეც. ეს ხომ მომავალი თაობისთვისაა საჭირო, იმათაც ხომ რაღაცის იმედი უნდა ჰქონდეთ“...

პარადოქსულ ქვეყანაში ვცხოვრობთ!!!

რამდენი დაუმსახურებელი ძეგლი დაუდგამთ ადამიანებისათვის, ზოგჯერ კი, პირიქით ღირსეულ ადამიანებს ვერ ან არ ვხედავთ! ვერ ან არ ვაღიარებთ?! ...ალბათ, ესეც დროის ბრალია!..

თუმცა, ანზორ ხერხაძე ამ პატარა გულისტკივილის მიუხედავად, ბედნიერა,



სცენა სემქაქლიძეს „ქორწინება“

ის უყვარს მაყურებელს, ელის მას და, რაც მთავარია, მსახიობი კვლავაც ძველებური სიბლით იპყრობს სცენას, თამაშობს აქტიორს („სამეფოო ძველთაძველო“, რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე), ლესტერს (ლ. რაზუმოვსკაიას „მარიამ სტიუარტი“, რეჟისორი დ. მღებრიშვილი), გენოს (ო. ბალათურიას „ამიკო“, რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე), ჟევაკინი (გოგოლის „ქორწინება“, რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე), აგაბოს (ო. იოსელიანის „ურემი გადაბრუნდა“, რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე) ... ეს მისი შემოქმედე-

ბის ჯერჯერობით ბოლო როლია. აგაბოს საკუთარი ძალების გადასინჯვის შესაძლებლობად თვლის, აგაბო — იმედსაც უჩენს, რომ წინ კიდევ გრძელი, საინტერესო შემოქმედებითი გზა აქვს გასავლელი. ამ როლზე მიწვევისათვის უდიდეს მადლობას უხდის რეჟისორს — ბატონ ნუგზარ ლორთქიფანიძეს.

— ბატონო ანზორ, ვფიქრობ არ გამენდობით, მაგრამ მაინც ვცდი გავიგო, რომელ როლზე ოცნებობს მსახიობი, რომელმაც ორასჩვიდმეტი გმირი განასახიერა?..

— არ მეგულება მსახიობი, რომელსაც საოცნებო როლი არ ჰქონდეს, მაგრამ არც ისეთი, ეს ოცნება მთლიანად რომ შესრულებოდეს. ამას ბევრი რამ განაპირობებს. შეიძლება თეატრში მთელი ცხოვრება ისე განვლო, რომ სპექტაკლი შენი საოცნებო პერსონაჟით არ დაიდგას. ეს კიდევ არაფერი. აი, თუკი დაიდგება და რეჟისორი ვერ დაინახავს შენში ამ პერსონაჟის განმასახიერებელს, ეს ნამდვილად გულსატკენია, მაგრამ რას იზამ, ასეთია ჩვენი პროფესია.

არის როლები, რომლებზეც დღეს უკვე აღარ ვოცნებობ. ახალგაზრდობაში ძალიან მინდოდა ჰამლეტი მეთამაშა, შემდეგ ეტაპზე — სირანო დე ბერჟერაკი.

ახლაც ვოცნებობ... მაგრამ ამას კი ვერ გეტყვით, რადგან რეჟისორმა უნდა დაინახოს, რომ შენ მზად ხარ ამ როლისათვის. თუ ვუკარნახე, ეს უკვე მისი ღირსება აღარ იქნება.

ანზორ ხერხაძის შემოქმედებითი არეალი მრავალმხრივია — არის სპორტის

ოსტატი ფარეკობაში, ასევე საუკეთესო მონადირე და რაც ჩემში, როლების შემდეგ, უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს, მისი პოეზიაა. ბატონი ანზორის ლექსების მსმენელი სამი წლის წინ გავხდი. ამ დროის მონაკვეთში ვერა და ვერ დავითანხმე მათი გამოქვეყნების უფლება მიმელო. „სჯობს, ათასი საქმის კეთებას, ერთი აკეთო და კარგადო“. თუმცა, მგონია განათლების, ნიჭის, გამოკვეთილი დიქციის, ჩინებული მეტყველების, მაღალი კულტურის წყალობით იგი ისეთივე ოსტატია მხატვრული კითხვისა, როგორც სხვა დეტექცივის ხელოვნებისა...

2002 წელი. 20 დეკემბერი. ზამთრის სუსხიანი შუადღე. ქუთაისის თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის პანია სცენაზე დგას ანზორ ხერხაძე. მასთან მაყურებელს, კოლეგებს შეხვედრა-დიალოგი გაუმართავს. მას სივრცე არ ჰყოფნის, სივინროვე ზღუდავს, მას სილაღე მოსწყურდა.

შეხვედრა-დიალოგი მორის ფოცხიშვილის ლექსით დაასრულა:

„მე მაინც უნდა ავფრინდე, ავფრინდები და ფრი!“

ხელით გაკვეთა სივრცე. დაქადნებას ჩამოგავდა მისი ინტონაცია: ფრიიი!!! და იდგა ახოვანი, ჩამოქნილი მსახიობი პანია სცენაზე, იგი მართლაც, ასაფრენად იყო მზად, ასე მგონია თავად ბუნებამ ინიება, რომ ამ გაუსაძლის, უღირსებო ყოფაში მსახიობს აღმაფრენით მიენიშნებინა ჩვენთვის, რომ ადამიანი ღირსეული ცხოვრებისათვის არის გაჩენილი. ანზორ ხერხაძე ღირსეულად ატარებს მსახიობის სახელს.

იუბილე

თელის თაბუკა უკელი

ქართული
კინოს
ლეგენდა

ნატო ვაჩნაძე
100-

„ღიქითის ზიქუონი
აღზე მიღან“



ერთხელ, პირველი ქართველი კინო-ვარსკვლავის ნატო ვაჩნაძისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის პრემიერის შემდეგ, ვილაცამ გამოჩენილ მსახიობთან დაკავშირებით ვოლტერის სენტენცია ასე გადააკეთა: „ნატო ვაჩნაძე რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონა“.

მაგრამ ნატო ვაჩნაძე იყო. იყო თვალი თავისი ეპოქისა, რომელიც დროთა განმავლობაში იქცა ერის კუთვნილებად XX საუკუნის საქართველოს სილამაზის სიმბოლოდ. ნატოს აღმერთებდა მილიონობით მაყურებელი, პოეტები უძღვნიდნენ მგზნებარე ლექსებს, მხატვრებს პატივად მიაჩნდათ ტილოზე აღებეჭდათ არაამქვეყნიური მზეთუნახავის პორტრეტი...

მოგვიანებით მისი მეგობარი პოეტები იტყვიან: „მე თურმე ამქვეყნად არაფერი

ვიცოდი, როდესაც ვფიქრობდი, რომ ნატო ვაჩნაძე მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერი მსახიობია. მერეღა მივხვდი, როგორი მეგობრობა შესძლებია! რა შესანიშნავი ადამიანი ყოფილა! და როგორ სცოდნია პოეზია!“ — ვლადიმერ მაიაკოვსკი.

„არ იყო ჩვენი მინა-წყლის (და არა მარტო ჩვენი) კუთხე-კუნჭული, სადაც ნატო არ სცოდნოდათ და არ ჰყვარებოდათ, სადაც მას არ აფასებდნენ, როგორც მთელი ქართველი ერის მშვენიებისა და არტისტული ნიჭის შთაგონების გამოხატულებას“ — სიმონ ჩიქოვანი.

„უყვარდა იგი საქართველოს მინა-წყალს და საერთოდ, მთელ დედამიწას არამინიერო, არამქვეყნიური ხალასი ნიჭის, იშვიათი სისვეტაკისა და სისადავისათვის“ — ბორის პასტერნაკი.

ნატო ვაჩნაძის სახელი, რომელიც ოციანი წლების დამდეგს შემოიჭრა ქართულ ეკრანზე, თვალის დახამხამებაში ჯადოსნურად შეერწყა XX საუკუნის ქართული ეროვნული კულტურის ცნებას. დღეს შეუძლებელია წარმოიდგინო

გასული საუკუნის კულტურა ამ გასაოცარი მსახიობებისა და ქალის გარეშე, რომლის გარეგნობასაც ერთხმად ადარებდნენ ლეთისმშობლის სახეს, ქართულ ფრესკას; რომლის იშვიათი სილამაზის, უძირო სიღრმის თვალები, მომწუსხველ-მომაჯადოებელი ღიმილი ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანის ალტაცებასა და თაყვანისცემას იწვევდა.

მას ადარებდნენ ფრანჩესკა ბერტინის, მერი პიკფორდს, სიყვარულით უწოდებდნენ მელოდრამის ჩაპლინს. მაგრამ ვისთვისაც უნდა შეედარებინა მადლიერ მაყურებელს, ნატო ვაჩნაძე უბადლო იყო, იგი არავის ჰგავდა და ჭეშმარიტად განუმეორებელი იყო ეკრანზე, სიცოცხლეში თუ... სიკვდილში.

თავისებური და უჩვეულოა ნატო ვაჩნაძის ბიოგრაფია. იგი 1904 წლის 14 ივნისს დაიბადა ვარშავაში, პოლკოვნიკ გიორგი ანდრონიკაშვილის ოჯახში. ნატოს დედა, ეკატერინე სლივაცკაია ცნობილი იტალიელი მომღერლის ვაზოლის შვილიშვილი იყო. ამ ცოტა ხნის წინათ გავიგე, რომ ნატო ვაჩნაძე დედის მხრივ იტალიელი ყოფილა. მე ეს დღემდე არ ვიცოდი, მაგრამ ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას: 1923 წლის შემოდგომის დღეს ყველასათვის ნორჩი მზეთუნახავი ქართული ეკრანის პრინცესად იქცა.

იქამდე კი... ანდრონიკაშვილების ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას ერთ წამში დაუსვა წერტილი კავკასიის მთებში ყაჩაღ ზელიმხანის ტყვიამ; ეკატერინე სლივიცკაია დაქვრივდა და ოთხი შვილი დარჩა. დაიწყო უაღრესად მძიმე გაჭირვების ხანა ანდრონიკაშვილების ოჯახის ცხოვრებაში.

ოჯახს რომ დახმარებოდა, ყმანვილი ნატო სწავლასთან ერთად მუშაობდა კიდეც. თავდაპირველად უბრალო მუშად აიყვანეს ასანთის ფაბრიკაში, შემდეგ გაადის ბორბლის საცხის ფაბრიკაში. გოგონას ჯანმრთელობა მძიმე დატვირთვას ვერ უძლებს და ნატო იძულებული ხდება მიატოვოს სამუშაო. ოჯახი წავიდა სოფელში, სადაც ნატოს მამაპაპეული სახლი იყო. საუცხოო მუსიკალური განათლების წყალობით ნატო მუსიკის გაკვეთილებს

აძლევდა თანასოფლელ ბავშვებს.

ერთხანს ასე გრძელდებოდა. მერე კი ნატოს ბედმა კარს მოუკაკუნა — ეს იყო კინოსტუდიის ადმინისტრატორი ზაქრო ბერიშვილი, რომელიც ეძებდა თბილისის შიხმანის ფოტოატელიეში გამოფენილ სურათზე აღბეჭდილ გოგონას. რეჟისორ ვლადიმერ ბარსკის სწორედ ასეთი შემსრულებელი სჭირდებოდა ნენოს როლისთვის ფილმში „არსენა ყაჩაღი“. ნატოს დანახვაზე სტუდიის წარმომადგენელმა ალტაცება ვერ დაფარა. ნატომ სტუმრების წინადადება ხუმრობად მიიჩნია და უარი უთხრა. მეუღლის ახლობლებთან მოლაპარაკების შემდეგ (ნატო იმ დროს უკვე მერაბ ვაჩნაძეზე იყო გათხოვილი) იგი დათანხმდა. კინოგასინჯვამ წარმატებით ჩაიარა და 18 წლის ახალბედა მსახიობს ერთბაშად დაუდეს კონტრაქტი ორ ფილმში — „არსენა ყაჩაღსა“ და „მამის მკვლელში“ გადასაღებად.

ერთ მშვენიერ დილას ნატო ვაჩნაძეს ხალხს უსაყვარლეს მსახიობად გაეღვიძა. ფილმებს განსაცვიფრებელი წარმატება ხვდათ. აფიშები, პლაკატები, გაზეთები იუნყებოდნენ, რომ ქართული კინემატოგრაფიის ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა.

ნატო ვაჩნაძე კი საკუთარი თავის უკმაყოფილო იყო. მოგონებათა წიგნში იგი წერდა: „სულ ვნანობდი, რატომ დავთანხმდი გადაღებას, ლამის აღშფოთებული ვიყავი ჩემი სახით, რომელსაც ეკრანზე ვხედავდი“.

იმ დროს ცნობილი კინორეჟისორი ივანე პერესტიანი ემზადებოდა ორი ფილმის „სამი სიცოცხლისა“ და „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის“ გადასაღებად. გამოცდილმა ხელოვანმა ახალ ვარსკვლავში უმაღ ამოიცნო უაღრესად ემოციური, მოაზროვნე პიროვნება და ნატო ერთბაშად ორი როლის — ესმასა და დესპინეს განსასახიერებლად მიიწვია.

მსახიობს კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო სწავლა, საკუთარ თავზე მუშაობა. იგი აანალიზებდა განუულ საქმიანობას — ერთი წლის მანძილზე 4 ფილმი, — და განუწყვეტილვ სრულყოფს პლასტიკას, მიმიკას, ცდილობს

მიანისოს თავის გმირთა გარეგნულ და შინაგან ჰარმონიას.

რეჟისორ ალექსანდრე ნუნუნავას ფილმში „ვინ არის დამნაშავე“ ფატი სოლომონოვი მუშაობისას ნატო ვაჩნაძე, ბოლოს და ბოლოს, სწვდება თავისი გმირის ხასიათსა და საქციელის ფსიქოლოგიურ სიღრმეს.

1926 წელი გარდამტეხი გახდა როგორც მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ასევე პირად ცხოვრებაში. იგი შეხვდა დამწყებ რეჟისორს, პოეტს, დაუოკებელი ენერგიითა და გასაოცარი ნიჭით აღსავსე ადამიანს ნიკოლოზ შენგელაიას, კაცს, რომელმაც აზიარა უსაზღვრო სიყვარულს, ოჯახს, შვილების ბედნიერებას.

ისინი ერთმანეთს 1925 წელს შეხვდნენ თბილისის კონსერვატორიის დარბაზში. იმ საღამოს მოეწყო ცნობილი რეჟისორის, სცენის დიდოსტატის კოტე მარჯანიშვილის პირველი ფილმის „ქარიშხლის წინ“ გასინჯვა და განხილვა. ნატო ვაჩნაძემ სურათი გააკრიტიკა. განაწყენებული ნიკოლოზ შენგელაია (იგი რეჟისორის ასისტენტი იყო) მივიდა განთქმულ მსახიობთან და უთხრა: „თუკი მე ოდესმე კინორეჟისორი გავხდები, თქვენ ეპიზოდურ როლსაც კი არ გაღირსებთ“.

მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება, როგორც კი ახალგაზრდა რეჟისორს პირველი დამოუკიდებელი ფილმი ანდეს, მან „გიულის“ გმირის როლზე მაშინვე ნატო ვაჩნაძე მიიწვია.

1928 წელს ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია, პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის ლოცვა-კურთხევით, რომელმაც მათ საჯაროდ „დასწერა ჯვარი“ რუსთაველის თეატრში გამოსვლისას, დაქორწინდნენ.

„ნიკოლოზ შენგელაია ჩემი ცხოვრების რეჟისორია, — წერს ნატო, — მას უნდა ვუმაღლოდე ყოველივეს, რისთვისაც მიმიღწევია ხელოვნებაში. ის იყო ჩემი ბედნიერების წყარო“.

იმავე 1928 წელს ეკრანზე გამოდის მარჯანიშვილის ორი ფილმი „კრახანა“ (ვოინიჩის რომანი) და „ამოკი“ (ცვაიგის მოთხრობა), სადაც ნატო ვაჩნაძე მთა-

ვარ როლებს ასრულებს. მარჯანიშვილთან მუშაობა განუმეორებელი სამსახიობო სკოლა გახდა. მეტადრე ჯემასა და უცნობი ქალის როლებში გამოამყდუნა მსახიობმა თანდაყოლილი უფაქიზესი მუსიკალობა, რომელიც დაეხმარა გმირთა პოეტური სახეების შექმნაში.

ოცინი წლები ინჟერობდა. „დიდი მუნჯი“ გზას უთმობდა ხმოვან კინოს. მუნჯ კინემატოგრაფიაში შვიდი წლის მუშაობის მანძილზე, ნატო ცამეტ ფილმში გადაიღეს. მას იღებდნენ საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში. პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა ნატო ვაჩნაძის ბრწყინვალე ნამუშევრებს ფილმებში: „ცოცხალი გვამი“, „გარეუბანი“, „რკინის ბრიგადა“.

ნატო ვაჩნაძეს ესმოდა, რომ მხოლოდ განუწყვეტელი მუშაობა მისცემდა შესაძლებლობას, არ გადმოსულიყო ეკრანიდან. კინემატოგრაფის ცის კაბადონზე ქრებოდა „დიდი მუნჯის“ ანთებული ვარსკვლავები. მას რამდენიმე წელიწადს არ იღებდნენ. ნატო დაულაღვად მუშაობდა, ხვეწდა მეტყველებას, დიქციას. გატაცებით კითხულობდა მხატვრულ და ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურას, შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურის ისტორიის ფაკულტეტზე.

დრო გადის, გადალებას კი არავინ სთავაზობს. მოსკოვში მიემგზავრება და ყველაფერზე რეკომენდაციით მიმართავს ცნობილ კინოდოკუმენტალისტს ესთერ შუბს. იოლი წარმოსადგენია რეჟისორის გაოცება, როდესაც მასთან მივიდა სახელგანთქმული ნატო ვაჩნაძე და გაუბედავად შესთავაზა ასისტენტად ამიყვანეთო. „ვაჩნაძე — წერს ე. შუბი, — მუშაობდა გატაცებით და გულმხურვალედ, არავითარ საქმეს არ თაკილობდა. მარწმუნებდა, ეს სამუშაო შინაგანად მამდიდრებსო. მე მარტო შესანიშნავი, ინიციატივიანი თანაშემწე კი არ შევიძინე, არამედ მეგობარიც, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე“.

სურათს იღებდნენ ლენინგრადში, რუსეთის ჩრდილოეთში, სომხეთში. ყველგან, სადაც ნატო ვაჩნაძე გამოჩნდებოდა, მას აღტაცებულნი ესალმებოდნენ, უძღვნიდ-



ნენ ყვავილებს, ლექსებს. მისი ფილმები იცოდნენ, ახსოვდათ და უყვარდათ. ეს მატებდა ნატოს ძალას, ენერჯიას და ეკრანზე დაბრუნების იმედს.

ეს დღეც დადგა. ნატოს ერთბაშად შესთავაზეს ორი როლი ხმოვან კინოში — რეჟისორ მიხეილ ქიაურელის „უკანასკნელ მასკარადში“ და სიკო დოლიძის „უკანასკნელ ჯვაროსნებში“. ეკრანმა კვლავ დაიბრუნა დაკარგული სატრფო. უფრო გვიან შეიქმნება სურათები: „არსენა“ და „ნარინჯის ველი“. როლი როლს მისდევს ფილმებში: „სამშობლო“, „ქაჯანა“, „ხიდობნელი გოგონა“.

1943 წელმა უბედურება მოუტანა ნატოს. ფილმის „ის, კიდეც დაბრუნდება“ გადაღების დროს მოულოდნელად გულის შეტევით დაიღუპა უძვირფასესი და უსაყვარლესი ადამიანი, მეუღლე და მეგობარი ნიკოლოზ შენგელაია.

და თავისი უფაქიზესი სულის მთელ ტკივილს აქსოვს ნატო აკაკის ძიძის სახეში კ. პიპინაშვილის ფილმში „აკაკის აკვანი“. მისი უკანასკნელი ნამუშევარი გახდა მამაცი მთამსვლელის დედის როლი ფილმში „მწვერვალთა დამპყრობნი“ (1952 წელი). მსახიობს შემოქმედებითი აყვავების ხანა დაუდგა. მას უკან ჰქონდა მოტოვებული 23 ფილმი და აღსავსე იყო ახალ ფილმებში თამაშის დაუოკებელი სურვილით. ბრწყინვალე და მრავალმხრივი სამსახიობო ნიჭის გარდა, ნატო ვაჩნაძეს მომადლებული ჰქონდა წერის ტალანტი. მისი ლიტერატურული ნიჭის თაყვანისმცემლებს ახსოვთ 50-იანი წლების დამდეგს გამოსული ნატო ვაჩნაძის მოგონებათა წიგნი, რომელშიც იგი გატაცებით გვიამბობს თავისი ოჯახის, სამსახიობო კარიერის, იმ შესხვედრების შესახებ, რომელმაც დაუახლოვა პოეტებს: ვლადიმერ მაიაკოვსკის, სიმონ ჩიქოვანს, ტიციან ტაბიძეს, რეჟისორებს: ალექსანდრე დოვჟენკოს, კოტე მარჯანიშვილს, ალექსანდრე ნუნუნავას, გრიგოლ ალექსანდროვს, კინომსახიობ ლუბოვ ორლოვას, მწერალსა და დრამატურგს ვიქტორ შკლოვსკის და მრავალ სხვა გამოჩენილ პიროვნებას.

ნატო ვაჩნაძე ცნობილი იყო როგორც ყოველმხრივ განათლებული პიროვნება,

იგი უსაზღვროდ შესტრფოდა ქართულ პოეზიას, ფოლკლორს, სიმღერებსა და ცეკვებს. მისი მეგობრები ხშირად იგონებდნენ უძძიმეს 30-იან წლებს, როდესაც ნატო კოლეგებთან ერთად დადიოდა დათოვლილ ციმბირში და კონცერტებს მართავდა. მისი დანახვისას სულგანაბული დარბაზი ირინდებოდა და შემდეგ აღტაცებით იფეთქებდა ხოლმე.

მისი ტრაგიკული სიკვდილიც ზღაპარს ჰგავს.

1953 წელს 14 ივნისი... მოსკოვის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში განსაცვიფრებელი სილამაზის შავ-თეთრ კოსტუმიანი ქალი, რომლის მშვენება მაინც ატანს ფარფლიანი შლაპიდან ჩამოშვებულ პირბადეში, აღელვებული დაეძებს ბილეთს მოსკოვი-თბილისის რეისზე.

დღეს მისი დაბადების დღეა და აუცილებლად უნდა იყოს სახლში, თავის შვილებთან ერთად. თავაზიანი ახალგაზრდა უცნობი კაცი დიდ პატივად მიიჩნევს, დაუთმოს სათაყვანო ნატოს თავისი ბილეთი. და მას უზომოდ ეჩქარება. მფრინავებს სთხოვს მისი დაბადების დღის ხათრით ძირს დაუშვებლად გაფრინდნენ თბილისში. ნატო ვაჩნაძეს ვინ ეტყვის უარს. თვითმფრინავი პირდაპირ თბილისში მიფრინავს. მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ქულაც კი არ მოჩანს... მაგრამ თვალის დახამხამებაში ყველაფერი იცვლება. ელვა, მეხი და თვითმფრინავი აფეთქების ცეცხლის ალში უჩინარდება.

კატასტროფამ თავზარი დასცა სრულიად საქართველოს, მსახიობის ბრწყინვალე ნიჭის მილიონობით თაყვანისმცემელს მის ფარგლებს გარეთ.

დაიხურა წარსულის კარი და განიფხვნენ ბჭენი უკვდავებისანი... ნატო ვაჩნაძე ცაში დაიფერფლა და ცად ამალდა. ვარსკვლავის ადგილი ცაშია...

სახელოვანი დედის ხსოვნას უკვდავყოფენ მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორები, ელდარ და გიორგი შენგელაიები, რომელთა ფილმები ასე შეიყვარა მაყურებელმა. ნატოს შვილი თენგიზ ვაჩნაძე (პირველი ქორწინებიდან) ცნობილი მშენებელ-ინჟინერია და ძმებთან ერთად სპეტაკად ინახავს დედის ხსოვნას.

სახელოვანი

80

წელი

სათეატრო განათლების გენეზისი დაკავშირებულია თეატრალურ-სანახაობითი კულტურის განვითარების ადრეულ პერიოდთან. მისი სათავეები ანტიკური ხანიდან იწყება. თეატრალური კულტურის მაღალი დონე ბუნებრივად აღძრავდა თეატრალური განათლებისადმი ინტერესს.

ძვ. წ. I საუკუნეში რომში უკვე არსებობდა მსახიობ როცის სკოლა, მაგრამ ბევრად უფრო დიდი იყო თეატრალური ხელოვნების არსში წვდომის სურვილი. თუმცა, დიდხანს იგი მაინც ერთეულ მოღვაწეთა ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. თანდათან ჩამოყალიბდა მსახიობების, რეჟისორების, სცენოგრაფების, თეატრმცოდნეების და თეატრის რთული სინთეზის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა პროფესიული მომზადების სისტემა. აღორძინებისა და განათლების ეპოქებში მწერლები მეთაურობდნენ სათეატრო განათლების საქმეს. მწერლობა (უპირველესად, დრამატურგები) განსაზღვრავდა სწავლების ხასიათსა და დონესაც. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა სასკოლო თეატრმა და კლასიციკურმა ესთეტიკამ. ბუალოს ტრაქტატი განათლების თავისებური წყარო იყო. იგი აფართოებდა სათეატრო განათლების არეალს და იმპულსს აძლევდა საერთოდ თეატრალური განათლების განვითარებას.

შექსპირის, მოლიერის, ლოპე დე ვეგას, კალდერონის, შილერის, გოეთეს, ოსტროვსკის და სხვა მწერალთა შემოქმედება გარკვეულწილად განსაზღვრავდა სათეატრო განათლების იმჟამინდელ დონეს. შექსპირის „ჰამლეტში“ მოცემულია

მსახიობის ხელოვნების სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპები. ანალოგები დაიძებნება სხვა მწერალთა-ნაწარმოებებშიც.

თეატრალური ესთეტიკის, თეატრის სტრუქტურის გართულებამ სულ უფრო და უფრო მწვავედ დააყენა პროფესიული სათეატრო განათლების პრობლემა. თეატრის შესახებ დაგროვილი ცოდნის საფუძველზე საჭირო გახდა თეატრის მეცნიერების აკადემიური სწავლების სისტემის შექმნა. ამ მიმართულებით პირველი გაბედული ნაბიჯი გადაიდგა გერმანიაში. მაქს ჰერმანის მეთაურობით 1923 წელს ბერლინის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა თეატრის მეცნიერების ინსტიტუტი. თეატრალური ხელოვნების განვითარების მაღალი დონე მოითხოვდა არა მარტო მსახიობთა და რეჟისორთა აღზრდის სისტემის ფორმირებას, არამედ თეატრის საფუძვლების კვლევა-ძიებას, მის მეცნიერულ შესწავლას.

საქართველოში სათეატრო განათლების ისტორია მოიაზრება დასავლეთ ევროპულ და რუსულ საგანმანათლებლო სისტემასთან კონტექსტში. გიორგი ერისთავი, როცა თავის დასს ქმნიდა, მსახიობებს სათეატრო განათლებისათვის საჭირო ცოდნას აძლევდა. დრამატული საზოგადოების წესდებაში პირდაპირ წერია, რომ საჭირო იყო მსახიობთა მოსამზადებელი სკოლის გახსნა. მოგვიანებით ლადო მესხიშვილი აყალიბებს კურსებს (1912), ხოლო ილიას, აკაკის, ვასო აბაშიძის, ვ. გუნიას, ი. მაჩაბლის, კ. ყიფიანის და სხვათა ნაშრომები მტკიცე ფუნდამენტს ქმნიან უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადასაწყვეტად. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში 1923 წელს ევროპული სათეატრო განათლების პარალელურად იქმნება უმაღლესი სათეატრო ინსტიტუტი.

საქართველოში სტუდიური მუშაობის პირველი ნაბიჯებიც დასავლეთ ევროპის სათეატრო განათლების შესაბამისი იყო, რომელსაც გიორგი ჯაბადარი ხელმძღვანელობდა. იგი კარგად იცნობდა ფრანგული სათეატრო განათლების მოდელს. სამწუხაროდ, სტუ-

დიამ მხოლოდ ორი წელი იარსება (სტუდიაში სწავლობდნენ ვ. ანჯაფარიძე, უ. ჩხეიძე, ა. ვასაძე, შ. ლამბაშიძე და სხვები).

1922 წელს აკაკი ფალავამ ჩამოაყალიბა სტუდია, რომელიც 1923 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (ოქმი №31) გადაკეთდა სათეატრო ინსტიტუტად. ინსტიტუტის დირექტორი იყო ა. ფალავა, სამხატვრო ხელმძღვანელი — კ. მარჯანიშვილი, პედაგოგებად მონვეულნი იყვნენ: პროფესორები ი. ჯავახიშვილი, ალ. ნათიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, აკ. შანიძე, დ. უზნაძე, ი. შარლემანი, რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი, აკ. ფალავა, ა. ახმეტელი, მ. ქორელი. მწერლები: კ. გამსახურდია, ნ. შიუკაშვილი და სხვები. ინსტიტუტს ჰქონდა განყოფილებები: 1. დრამატული სტუდია, 2. საოპერო სტუდია, 3. საოპერო გუნდის კლასი, 4. დრამატული სკოლა და 5. პლასტიკისა და რითმული გიმნასტიკის კლასი. ინსტიტუტში ჩაირიცხნენ ა. ფალავას სტუდიისა და X სკოლის მსმენელები, გამოცხადდა ახალი მიღებაც.

ინსტიტუტის შექმნას ფართოდ გამოეხმაურა პრესა. უძღვნეს ლექსებიც. ზარზეიმით აღინიშნა პირველი გამოშვებაც. გაიცა დიპლომები. ეს ისტორიული ფაქტია, მაგრამ მოხდა საოცარო რამ, — ინსტიტუტის დაარსების თარიღმა თანდათან გადმოინაცვლა 1939 წელზე და შემდეგ იგი ასეთნაირად დამკვიდრდა კიდეც თაობების მესხიერებაში.

ტრაგიკული პარადოქსია თუ უბრალოდ ბედის ირონია, რომ ინსტიტუტის პირველი რექტორი აკ. ფალავა, რომლის ძალისხმევითაც დაფუძნდა ინსტიტუტი, 1953 წელს გ. ერისთავის თეატრის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში ასე წერს: „1922 წლის გაზაფხულზე გაიხსნა ქართული დრამატული სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა. ფალავა და რომელიც 1924 წელს (უნდა იყოს 1923-ვ.კ.) გადაკეთდა სახელმწიფო დრამატულ სტუდიად“ (ხაზგასმა ჩემია-ვ.კ.)

ინსტიტუტის დამაარსებელმაც კი ვერ გაბედა სიმართლე ეთქვა. ასევე დუმდნენ

სხვებიც. ამ დუმილს ის შედეგი მოჰყვა, რომ 1969 წელს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე საზეიმოდ აღინიშნა ინსტიტუტის ვითომდა დაარსების 30 წლისთავი. ასე რომ, თითქმის ოფიციალურად დაკანონდა 1939 წელი, როგორც ინსტიტუტის დაარსების თარიღი.

ისტორიაზე ძალადობის ეს ფაქტი გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით: ა. ფალავა ცნობილი ფედერალისტი გახლდათ, რის გამოც ყოველთვის განიცდიდა შესაძლო რეპრესიების შიშს, ცდილობდა არავინ არ გაეღიზიანებინა, ეცხოვრა შეუმჩნეველად. ამ პერიოდში ბატონი აკაკი ხორავა განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას იმდენად დიდი დამსახურება ჰქონდა, რომ სრულიადაც არ სჭირდებოდა სხვისი დამსახურების მიწერა, მაგრამ როგორც ჩანს, მისი გარემოცვისათვის აქტუალური არ იყო ინსტიტუტის დაარსების ნამდვილ თარიღზე ლაპარაკი და ხაზგასმით აღნიშნავდნენ მხოლოდ აღდგენის ფაქტს, რადგან იგი ბატონ აკაკი ხორავას სახელს უკავშირდებოდა.

თანდათან დავინწყებას მიეცა ინსტიტუტის სათავეები.

ეს ჩვენი ინსტიტუტის ისტორიის მწარე სინამდვილეა!..

ინსტიტუტის დაარსების ანუ 1923 წლის 10 ოქტომბრის შემდეგ, ყველა დოკუმენტი ინსტიტუტის სახელით იგზავნებოდა, მაგალითად, 1923 წლის 8 ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭოში გაიგზავნა ასეთი წერილი: „სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის დრამატული სტუდია ამზადებს გერმანელი კომუნისტის ერნესტ ტოლერის პიესას „ადამიანი თუ მასა?“, მაგრამ ვინაიდან სტუდიას ამ პიესის დასადგმელად საჭირო სახსარი არ გააჩნია, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, რათა ამასთანავე დართული ნუსხის მიხედვით მოგვცეთ საჭირო თანხა. სახ. სათეატრო ინსტიტუტის ხელმძღვანელი კ. მარჯანიშვილი, დირექტორი ა. ფალავა“. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტი დავიმომხმეთ მრავალთა შორის.

ინსტიტუტის სასწავლო-მეთოდოლოგიური მუშაობა სტუდიურ პრინციპზე

დაფუძნდა. ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ: ა. ხორავა, ვ. გომიაშვილი, ს. თაყაიშვილი, თ. ნულუკიძე, პ. კობახიძე, მ. მრეველიშვილი, პ. მურღულია, გ. კუპრაშვილი, ნ. შენგელაია, ს. ქელიძე, პ. კანდელაკი და სხვები.

აი, ასეთი სახელოვანი ისტორიით დაიწყო ინსტიტუტმა ფუნქციონირება. ისტორიული სიმართლის აღდგენა კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1993 წელს, როცა რუსთაველის თეატრში ზემით აღინიშნა ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავი. ჩვენს მიერ სახელმწიფო არქივში მოძიებული იქნა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომების ოქმები. დადგენილების ოქმებში პირდაპირ წერია: „განხილვის საგანი: განათლების სახ. კომისიის მოხსენება ტფილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ (მომხს. ამხ. კანდელაკი), გადანყვეტილება: მონონებული იქნას სახ. კომისარიატის მოხსენება ტფილისში სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების შესახებ“. ბატონი აკაკი ფაღავას პირად არქივში დაცულია ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებული მასალები.

რუსთაველის თეატრში მომხდარი ცნობილი განხეთქილების შემდეგ, როდესაც კ. მარჯანიშვილი წავიდა თეატრიდან, ინსტიტუტმაც შეიცვალა სახე. აქაც იჩინა თავი ქართულმა სენმა და ინსტიტუტი დანაწევრდა სტუდიებად.

1927 წელს სტუდია დაარსდა რუსთაველის თეატრთან. 1927-35 წლებში სტუდიას ხელმძღვანელობდა ა. ვასაძე, 1935-39 წლებში ა. ხორავა, ქართული (აჭარის) ჯგუფის გარდა აქ იყვნენ აფხაზური და ოსური ჯგუფები. 1927-39 წლებში მომზადდა 160-დე მსახიობი, 1931-35 წლებში კ. მარჯანიშვილის თეატრის სტუდიას ხელმძღვანელობდა უ. ჩხეიძე, 1935-37 წლებში დ. ჯანელიძე, 1937-39 წლებში პ. კობახიძე, 1939 წელს აკაკი ფაღავამ შექმნა „სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები“.

1939 წელს საქართველოს თეატრალური სტუდიების და აკაკი ფაღავას „უმაღლესი კურსების“ ბაზაზე სახელმწიფომ ა. ხორავას თავკაცობითა და ა. ფაღავას დიდი მეცადინეობით

აღადგინა თეატრალური ინსტიტუტი.

აღდგენილ ინსტიტუტში ა. ფაღავამ პროექტორის ადგილი დაიკავა, ხოლო რედაქტორად დაინიშნა აკაკი ხორავა.

სამსახიობო ფაკულტეტს დაემატა ახალი ფაკულტეტები: 1940 წელს გაიხსნა რეჟისურის ფაკულტეტი, 1944 წელს თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი. თანდათან ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, დღეს უნივერსიტეტში 15 კათედრაა, ექვსი დეკანატი, სადაც 50-ზე მეტი სპეციალობის კადრი მზადდება.

უნივერსიტეტი გახდა ქართული თეატრის, კინოს, ტელევიზიისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მძლავრი კერა. უკვე კარგა ხანია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები განსაზღვრავენ ქართული თეატრის დონეს, მისი განვითარების ხასიათს. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან კინოხელოვნების ახალი თაობები, რომლებიც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევნავენ საერთაშორისო ასპარეზზე. პროფესორ-მასწავლებელთა ძირითადი ნაწილიც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

უნივერსიტეტში არის სასწავლო თეატრი, რომელსაც აქვს ორი სცენა, დიდი ხანია ფუნქციონირებს თეატრისა და კინოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელსაც ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე. ხოლო 2000 წლიდან — დ. მუმლაძე. შეიქმნა სოციოლოგიის (გ. ჯავაშვილი) საინფორმაციო-საგამომცემლო (ნ. არველაძე) საქმის განყოფილებები. თეატრის ისტორიის კაბინეტი (ლ. გაბრიაძე).

უნივერსიტეტი გახდა თეატრისა და კინოს ეროვნული კადრების მომზადების საუნივერსიტეტო განათლების დიდი ცენტრი.

უნივერსიტეტში სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები. აქ სწავლობდნენ ჩრდილო კავკასიის, თურქეთის, ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, შუა აზიის ქვეყნების წარმომადგენლები. უნივერსიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის სტუდენტთა მომზადების ტრადიციას.

უნივერსიტეტში მსახიობთა და რეჟისორთა აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ: ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. ტოვსტონოგოვი, ვ. ყუშიტაშვილი, დ. ალექსიძე, ა. მიქელაძე, მ. თუმანიშვილი, ი. კაკულია, ვ. თავზარაშვილი, თ. მესხი, ა. ქუთათელაძე და სხვები. უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა არაერთი თეატრი. მათ შორის მესხეთში (ხელმძ. ნ. დემეტრაშვილი), მ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით კინომსახიობთა თეატრი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ახალმა თაობამ გიგა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით რუსთავეში შექმნა თეატრი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ა. ღოლენჯაშვილმა საინგილოში შექმნა თეატრი, რასაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა თბილისში მეტეხის ექსპერიმენტული თეატრი (ს. მრევლიშვილი), პანტომიმის თეატრი (ა. შალიკაშვილი), საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების ბაზაზე რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე შექმნა ახალგაზრდული თეატრი, გლდანის რაიონში შეიქმნა ს. ახმეტელის სახ. თეატრი (ლ. პაქსაშვილი).

ასე რომ, უაღრესად ფართოა ქართული სამსახიობო სკოლის შესაძლებლობანი. ერთმანეთისგან განსხვავდებიან რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, კინომსახიობთა და სხვა თეატრების დასების სპექტაკლების სტილისტიკა, მათი შესრულების ხასიათი, მაგრამ ინდივიდუალობასა და მრავალსახეობას აერთიანებს უნივერსიტეტში აღზრდის სისტემა, ქართული არტისტული გენია, მისი გამოვლენის უნივერსალური შესაძლებლობები.

ასე ფართო „პლანში“ იაზრება ქართული კინოსკოლის მიღწევებიც. უნივერსიტეტის კინორეჟისორმა პედაგოგებმა თენგიზ აბულაძემ, რეზო ჩხეიძემ, ოთარ იოსელიანმა, ელდარ შენგელაიამ, ლანა ლოლობერიძემ, გიორგი შენგელაიამ, მ. კოკონაშვილმა, გ. ჭუბაბრიამ, რ. ესაძემ, გ. კალანდიამ, ბ. ხოტივარმა და სხვებმა მოამზადეს კინოსკოლის ახალი რეჟისორები, რომელთაც არაერთი საერთაშორისო პრიზი დაიმსახურეს. საკმა-

რისა ითქვას, რომ ინსტიტუტის საკურსო და სადიპლომო ფილმებს: გ. ჩოხელის „ადგილის დედას“, გ. მეგლაძის „არა, მეგობარი“ ა. ჭიხინაშვილის „კაცუნას“ და ლ. ოთხმეზურის „ბეობასტერს“ სხვადასხვა ფესტივალზე მიენიჭათ „გრანპრი“, უნივერსიტეტი არის საერთაშორისო ორგანიზაცია „სილექტის“ წევრი.

1994 წელს თეატრალურ ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი — ხოლო 2002 წელს 31 დეკემბერს იგი უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა.

უნივერსიტეტში გახსნილია დრამატურგების მოსამზადებელი სპეციალობა (ხელმძ. თ. ჭილაძე), ჩამოყალიბდა რეჟისორების, თეატრმცოდნეების, ჟურნალისტების უმაღლესი მოსამზადებელი კურსები (ხელმძღვანელები გ. ლორთქიფანიძე, რ. ესაძე, ა. გამსახურდია, ნ. არველაძე, მ. ბერიკაშვილი და სხვები).

90-იანი წლებიდან დაიწყო უმაღლესების დეიდეოლოგიზაციის პროცესი, თანდათან მოხდა სასწავლო გეგმების შეცვლა, მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მაგრამ დაცული იქნა ეროვნული კულტურის, ეროვნული ცნობიერების დამამკვიდრებელი დისციპლინების უზუნაესობის პრინციპი. დიდი ძალისხმევა დაგვიჩრდა, რათა დაგვეძლია სასწავლო გეგმებში გამოვლილი რუსული იმპერიული აზროვნების ინერცია, რომელიც სახელმძღვანელო იყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის. ფაქტობრივად ნიველირებული იყო ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, ქართული ხელოვნებისა და საქართველოს ისტორიის სწავლება, მაგ. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სპეციალობაზე რუსული თეატრის ისტორიას დათმობილი ჰქონდა 436 საათი, საზღვარგარეთის თეატრის ისტორიას-426 საათი, ყველა რესპუბლიკის თეატრის ისტორიებს-172 საათი, ხოლო ქართული ხელოვნების ყველა დარგი ერთად იყო „ჩასმული“ (ლიტერატურა, თეატრი, სახვითი ხელოვნება, მუსიკა და სხვა) და მას რესპუბლიკის თავისებურება ერქვა, როსთვისაც გამოყოფილი იყო მხოლოდ 154 საათი. ასე ნიველირებული იყო და ზოგად კონტექსტში ითქვიფებოდა ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული თვით-

მყოფადობის დამამკვიდრებელი დისციპლინები. საკავშირო სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული არ იყო ქართული ლიტერატურაც კი, როგორც ცალკე დისციპლინა. თავისთავად ცხადია, არც საქართველოს ისტორიის კურსი იკითხებოდა. საგულისხმო ფაქტია, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა საქართველოში პირველმა შემოიღო მისაღები გამოცდები საქართველოს ისტორიაში, რასაც თავის დროზე პრესაც გამოეხმაურა. ჩვენ მაგალითისთვის დავასახელებთ მარტო ერთი სპეციალობა, ანალოგიური მდგომარეობა იყო (1974 წლის გეგმების მიხედვით) სხვა სპეციალობებზე.

ადვილი არ იყო რუსიფიკაციის სულით გაჟღენთილ საკავშირო სასწავლო გეგმებთან გამკლავება და ქართული ეროვნული ცნობიერების გამომხატველი საგნების დამოუკიდებელ დისციპლინებად ფორმირება, რომელიც სრულიადაც არ გამოირიცხავს ქართული კულტურის საერთო ეროვნული კულტურის კონტექსტში მოაზრებას. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ახალგაზრდების ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყოველ ეროვნულ დისციპლინაზე აქცენტს, მის განსაკუთრებულ ღირებულებაზე ხაზგასმას, მის ავტონომიურობას. უნივერსიტეტმა ეს შესძლო და ამ ფუნდამენტზე აღიზარდნენ მთელი თაობები.

ინსტიტუტიდან საუნივერსიტეტო განათლების ფორმირებისათვის ჩვენ სამზადისი დავინწყეთ 90-იან წლებში, როცა სასწავლო გეგმებს, დატვირთვებს, ინსტიტუტის სტრუქტურულ დანაყოფებს, სემესტრებს, სწავლების დროს და მრავალ სხვა ნორმატიული ხასიათის დებულებებს საფუძვლად დავუდეთ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სანესდებო და სასწავლო-მეთოდური ნორმები. საბაზრო ეკონომიკამ მოითხოვა მთელი რიგი ახალი სპეციალობების წარმოქმნა (კლიპების რეჟისურა, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, შოუ-ბიზნესის მენეჯერი, თეატრმცოდნე-ექსპერტი, სათეატრო კრიტიკა და ჟურნალისტიკა, ტელე-ჟურნალისტიკა და სხვა). ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ბუნებრივად გარდაქმნილიყო ინსტი-

ტუტი უნივერსიტეტად.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისათვის რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელ ომში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპნენ: ლევან აბაშიძე, გია რეხვიაშვილი, შმაგი სამნიაშვილი, იასონ ჭილაია, ქ. გოდოლაძე, მიხო ჭინჭარაული...

დიდება მათ სახელს!...

უნივერსიტეტის რექტორები იყვნენ: ა. ფალავა, ა. ხორავა, დ. ალექსიძე, მ. კვესელავა, ლ. კიკნაძე, ი. თავაძე, ხოლო 1973-1992 წლებში ე. გუგუშვილი, 1991-1998 წლებში გ. ჟორდანიას, 1998 წლიდან უნივერსიტეტის რექტორია გ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს 2003/2004 სასწავლო წლისათვის სწავლება მიდის სახელმწიფო და ფასიან სექტორებზე. სახელმწიფო სექტორზე სწავლობს 403 სტუდენტი, ფასიანზე-680, დაუსწრებელზე-144. სულ უნივერსიტეტში სწავლობს 1227 სტუდენტი, რომლებსაც ემსახურება 250-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი. უნივერსიტეტი გადავიდა ორსაფეხურიან სწავლებაზე (ბაკალავრი-მაგისტრი), თუმცა, უნივერსიტეტის სპეციფიკის გამო სამსახიობო, სარეჟისორო, საოპერატორო და ზოგიერთ სხვა სპეციალობაზე დარჩა სწავლების არსებული სისტემა. მსახიობი არის მსახიობი და მისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

უნივერსიტეტში დამკვიდრდა „წლის მოსავლის“ შემაჯამებელი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებისა და ფილმების ფესტივალების ტრადიცია, რომელსაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს. ყოველწლიურად 12-14 სპექტაკლი იდგმება, ამდენივე ფილმი. ასეთი ინტენსიური, ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება იმის დასტურიც არის, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ახალ სასიცოცხლო ენერგიას მატებენ ქართულ თეატრსა და კინოს, ქმნიან განახლებისა და წარმატების საფუძველს.

მეკუარები

კახილი კახიძე

გამოთხოვება მოგონებებთან

რაიონის გაზეთში პირველი წერილი რომ დავბეჭდე, გავიცანი რედაქციის თანამშრომელი ზაქრო გალუსტოვი. გაზეთში ხშირად ვკითხულობდი მის წერილებს. დიდი კაცი მეგონა. გავიცანი და გამიკვირდა, - სულ უბრალო კაცი იყო. თბილად მიმიღო. მერე ერთმანეთს დავუახლოვდით, დავმეგობრდით, ხშირად მიბეჭდავდა წერილებს. ჩემთვის ის მცირე ჰონორარიც დიდი შეღავათი იყო. არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ ზაქრო სხვა ერის შვილი იყო, არც ის მიფიქრია, რომ ჯგუფში ერთ-ერთ ამხანაგს უკრაინული გვარი ჰქონდა. ვიყავით ერთად, ვცხოვრობდით ერთად, ყველას გვაერთიანებდა ქართული ცხოვრება. მხოლოდ თბილისმა დამანახა ეროვნული განსხვავებულობა. მაშინ გავიგე ზაქროს სომხობა, როცა ჩემი შესანიშნავი კოლეგა, ნიჭიერი თეატრმცოდნე და ქართული თეატრის პატრიოტი ეთერ გალუსტოვა გავიცანი. თუმცა, შემდეგ გამოირკვა, რომ ეთერის ძირი ქართული ჰქონდა — გვიან, მე-17 თუ მე-18 საუკუნეში ტერტერას სომხებად ჩაუწერია, მისი გვარის (გვინდაძე) ხალხი.

თუმცა, ეს რა სალაპარაკოა. არაფერია იმაში საკვირველი, რომ კაცობრიობა ერთმანეთზე უცნაურად არის გადაჯაჭ-

ვული. ასე იყო წარსულში და მით უფრო გაძლიერდა ურთიერთზემოქმედების პროცესი ცივილიზაციის განვითარების შემდეგ. კაცი ვერ გაიგებს, ვისი სისხლი ვისაში ჩქეფს, ან ცოტა მაინც თუა შერეული. თითქოს ყველაფერი ერთმანეთში აირია. მე მეგონი, ამ მხრივ, ამერიკანიზმა ყველა რეკორდი მოხსნა. სტაბილური რელიგიური და ეროვნული თვითმყოფადობა შეცვალა ამერიკის მოქალაქის სახემ. ამერიკული პატრიოტიზმი სულაც არ ჰგავს ფრანგულ, ინგლისურ, ან რუსულ პატრიოტიზმს, იგი არც ქართულს ჰგავს, ამერიკული პატრიოტიზმი არ ეფუძნება არც ეროვნულსა და არც — რელიგიურ ფუნდამენტს.

ამერიკანიზმი სრულიად შეცვლის პატარა ქვეყნების სახეს!... ნუთუ, მართო ნოსტალგია დაგვრჩება ერის ეროვნულ თვითმყოფადობაზე...

საშინელია ამაზე ფიქრი!

კი ბატონო, იფრინონ ცაში არნივებმა, მაგრამ პატარა ჩიტებმა რა დააშავეს?!

ცხადია, არც ერთი ერი იზოლირებულად არ ვითარდება.

ვინ მოთვლის, რამდენი სისხლი გადაისხეს ფრანგებმა, იტალიელებმა, გერმანელებმა, თურქებმა, თუ სპარსელებმა...

განახლდნენ და გაძლიერდნენ!...

ასეთივე გზა გავიარეთ ქართველებმაც — ბერძნები, რომაელები, არაბები, სპარსელები, თურქები, რუსები, - ყველამ დატოვა თავისი კვალი.

ცოტ-ცოტა ყველას სისხლი გადავისხით...

მაგრამ ქართულმა ჯიშმა შეინოვა და გაითავისა იგი.

განვასხლით და გავძლიერდით...

ყველაზე მეტად გვანახლებდა და გვახარებდა ჩვენივე შინაგანი წყაროები — ქართული სისხლი.

ჩვენ ვლაპარაკობთ ტომობრივ სისხლზე — ერთ ჯიშზე და გენზე აღმოცენებულ, მაგრამ უცნაურად განსხვავებულ, ზოგჯერ სრულიადაც განსხვავებულ ტომობრივ სისხლზე — კახელსა და იმერელზე, ქართლელსა და მეგრელზე, რაჭველსა და აჭარელზე,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება“ 2003-2004წ.

გურულსა და მესხზე, სვანსა და ჯავახზე, თუშზე, ხევსურსა და სხვებზე, რომელთაც ქართველის სახელი აერთიანებთ.

იგივე ხდებოდა ძველ რომში, საბერძნეთსა და ესპანეთში.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ სწორედ ქართველთა მკვეთრმა განსხვავებულობამ იხსნა ერი დაბერებისაგან.

ფეოდალურ საქართველოში კახელისა და იმერელის ან მეგრელისა და ქართლელის შეუღლება ისეთივე იშვიათი შემთხვევა იყო, როგორც დღეს ქართველისა და რომელიმე უცხოელის ქორწინება.

შესაძლოა, მთლად ასე არაა, მაგრამ რაღაც ამგვარი სიტუაცია კი იყო. თუმცა, რა საჭიროა მობოდიშება, გავიხსენოთ ო. წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“, სადაც იმერელი და ქართლელი ქალ-ვაჟის დაქორწინების ამბავია მოთხრობილი, პიესა ისეა დაწერილი, თითქოს ქართველისა და აფრიკის რომელიმე ქვეყნის შვილის ქორწილი იყო.

რეალისტური პიესაა!...

თუ თვალს გავუხსნორებთ მას, ასეთი იყო სინამდვილე.

ქართველ ბაგრატიოვანთა ათასწლოვანი ისტორია და, საერთოდ, საქართველოს ისტორია სისხლის განახლების არაერთ ბედნიერ შემთხვევას იცნობს, ხოლო „წმინდა“ ქართული სისხლის — ათას უბედურებას (სერგო ორჯონიკიძეს)!

წარმატების გარანტს არც ერთი შემთხვევა იძლევა და არც მეორე.

ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე.

დავით აღმაშენებელს (დედა ბერძენი ჰყავდა) სომეხი ცოლისაგან შეეძინა დემეტრე, — შემდეგში მეფე დემეტრე პირველად წოდებული (საგალობლის „შენ ხარ ვენახი“-ს ავტორი). დემეტრე პირველს შეეძინა გიორგი მესამე, (ე.ი. ბებინით სომეხი იყო).

გიორგი მესამეს ოვსთა მეფის ულამაზესი ასულის ბურდუხანისაგან შეეძინა დიდი თამარი!...

აი, სისხლის განახლების ბედნიერი შედეგი!...

ეს ისტორიაა, დღეს ათასჯერ გართულდა საქმე, რას მოგვიტანს გლობალიზაციის პროცესი?

მსოფლიოში გაიფანტება, გაითქვიფება და დიდ ოკეანეში დაიკარგება ქართული სისხლი?

იქნებ, სადღაც იყივლოს კიდევ სისხლმა, მაგრამ მერე რა, — ვინ გაიგონებს?

ამერიკანიზაციის დროს რა ელის ქართულ სისხლს?...

ყველა იმპერია ერთი ოხრობაა!

1961 წელს გერმანიაში 25 ათასი თურქი ცხოვრობდა, დღეს სამი მილიონი ცხოვრობს. ევროპის ერთ-ერთ პატარა ქვეყანაში, ლუქსემბურგში მოსახლეობის 25 თურქია. 1980 წელს საფრანგეთში 15 მეჩეთი იყო, დღეს 100-ზე მეტი, ჰოლანდიაში კიდევ უფრო მეტია.

ამბობენ, თურქეთში შვიდი მილიონი ქართული წარმოშობის თურქი ცხოვრობს, საოცარი ამბავია: აგერ, გვერდით არიან და საქართველოში ცხოვრებას არ ესწრაფვიან, ხომ იციან თავიანთი წარმომავლობა? რატომ არ მოდიან? ვითომ ქრისტიანობის გამო? ვგონებ, არა, ქრისტიანობა რა შუაშია — ევროპაც ხომ ქრისტიანულია?

მაშ, რა მიზეზით?...

იქნებ, განიხიბლნენ, როცა აქაური ქართველები გაიცნეს?

ძნელია ერთნიშნა პასუხი!...

„ყაზირი“

დიდი ბედნიერება იყო დოდო ალექსიძის გვერდით მუშაობა. როცა იგი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ, მე ლიტერატურის დარგში მის მოადგილედ ვითვლებოდი. ასაკის სხვაობა ხელს არ გვიშლიდა. ბატონი დოდო საოცრად ნიჭიერი და იმპულსური კაცი იყო. თუ გაბრაზდებოდა, წონასწორობას კარგავდა. განსაკუთრებით განიცდიდა, როცა სპექტაკლი არ გამოსდიოდა. პანიკა ეუფლებოდა, იწყებდა მომავალი სპექტაკლის ქება-დიდებას, რომ რაღაც გენიალური გამოსდის...

- ვასო, რაღაც საოცარი რამ ხდებოდა. ასეთი კარგი სპექტაკლი არ დამიდგამს, - მეტყობდა და ვიცოდი, რომ საქმე ცუდად იყო. ხოლო როცა წარმოდგენას კარგი პირი უჩანდა, მეტყობდა ხოლმე:

- არ ვიცი, რა გამოვია, ვნახოთ!...

თავის სუსტ სპექტაკლს ორი-სამი კვირის შემდეგ ისე აგინებდა, თითქოს ვიღაც გადამთიელის წარმოდგენა იყო — მინასთან ასწორებდა.

- ვასო, ნახე, ეს რა ბითურობა გამომივიდა, ვიღაც იდიოტებს მაინც მოსწონთ...

- რა იცი, იქნებ, არც მოსწონთ? — ვუპასუხებდი მე.

- აბა, ეს მაყურებელი რას დადის?... მეტი საქმე არა აქვთ?...

ამით არ კმაყოფილდებოდა, შემდეგ იწყებდა სპექტაკლის პაროდირებას. ვუყურებდი და მიკვირდა, როგორ უცხოვდებოდა ამდენი ნაშრომი. ადვილად შეეძლო გადაეტანა მარცხი. ადამიანთა წყენაც. ყველას ადვილად მიუტყევებდა. საოცარი ცვალებადი ხასიათისა იყო. ამ წუთას რომ დიდი გულწრფელობით აქებდა ვინმეს, თუ მის საწინააღმდეგოს იტყობდი, უცებ შეიცვლიდა აზრს.

- და!... და!... მართალია!...

ერთხელ ოთარ ჩიჯავაძემ მოიტანა პიესა. სუსტი პიესა იყო. ბატონი ოთარი აქა-იქ ბეჭდავდა მოთხრობებს. მახსოვს მისი „ზვიგენის კბილი“. მასთან ემოციური დამოკიდებულება გვქონდა, გვინდოდა მეტი სიტბო ეგრძნო. — მაინც რაზეა პიესა? — მკითხა დოდომ. ვუთხარი, რომ ყაზახეთში ყამირის ათვისებას ეხებოდა.

- მომავლორე თავიდან, ყამირი მინდა ახლა მე?... ჩემთან ნუ მოვა ავტორი, ამ საუბრის შემდეგ გავიდა ორიოდე კვირა. დოდოს კაბინეტში ვარ, ვსაუბრობთ. უცებ გაიღო კაბინეტის კარი და შემოვიდა პიესის ავტორი — ოთარ ჩიჯავაძე. დოდომ გაშალა ხელები და შესძახა: ვაა, ვინ მოსულა! სწორედ ახლა მელაპარაკებოდა ვასო შენზე, მალადეც, კარგი პიესა დაგინერია...

ბატონი ოთარი გადაირია სიხარულით.

- თქვენი აზრი ჩემთვის დიდი ბედნიერებაა! — უთხრა ოთარმა.

- მალადეც, მალადეც! ... მასტერ! ... ასე უნდა წერა!...

მე გაოგნებული ვუსმენდი დოდოს. ის არც კი მიყურებდა, ისე ელაპარაკებოდა ავტორს. ვერაფრით ვერ გაიხსენა, რაზე იყო დაწერილი პიესა. დაინწყო ზოგადი საუბარი. აი, ის სცენა, რომ უყვარს, სიყვარულზე რომ არის, რა ჰქვია ბიჭს... გოგოს რა ჰქვია? ოთარმა უთხრა: ყამირზე მიდის ქართველი ბიჭი და იქ გოგოს გაიცნობს.

- მალადეც, ზდოროვო!... რა კარგი სცენაა... მაგრამ პრიჩომ ყამირი?!...

- იდეური პიესაა, ახლა ხომ პარტია ასეთ თემებს თხოულობს...

- მართალია, მართალი, მთავარი სიყვარულია და არა ყამირი, - თქვა და დაიწყო სრულიად ახალი ამბის მოყოლა. თხზავდა რაღაც ახალ სიუჟეტს. რა არ მოიგონა, ოთარი სიხარულით ცას ენია.

- ბატონო დოდო! თქვენ შესანიშნავად გაგიგიათ ჩემი პიესა... თქვენ გენიალური რეჟისორი ხართ!...

- ტი ტოჟე გენი! — უთხრა ოთარს და გახარებულმა ისევ დაიწყო იმპროვიზაციები.

- ბატონო დოდო, პიესას თქვენზე კარგად ვინ დადგამს! — უთხრა ოთარმა. როგორც იქნა, დოდომ შემომხედა.

- ბატონო დოდო, ხომ გახსოვთ, ეს ის პიესაა, რომ გელაპარაკეთ, ყამირზე რომ მიდიან ქართველები, ყამირ მინაზე რომ ცეკვავენ, მღერიან...

დოდოს უცებ გაახსენდა, რა პიესაზეც იყო ლაპარაკი, არ დაიბნა:

- ვასო, ჩვენ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობდით? ოთარი ჩვენი კაცია, პიესაც სერიოზულია, მაგრამ მე დაკავებული ვარ, მიშას ხომ არ დავადგმევინოთ?... რას იტყვი? არ დაელოდა ჩემს პასუხს და თავადვე უპასუხა: — არა, არა, ამ პიესას მიშა ვერ დადგამს... მისი სტილი არ არის... ბოლოს და ბოლოს, ვინმე მოვიწვიოთ... შენ ვის გვირჩევ? — მიმართა ოთარს.

- მე თქვენ მინდოდით... თუ დაკავე-

ბული ხართ... იყოს მიშა თუმანიშვილი...
სხვა არ ვიცი, ვინ შეიძლება...

- რატომ, რატომ, მაგალითად, ჩხ-
არტიშვილი... ერთი სიტყვით, მოვი-
ფიქროთ... პიესასაც გადახედვა უნდა
ისე, როგორც ახლა მოგიყვები... ჩაას-
ნორე და მერე ვასოს ნააკითხე, მეც
გავეცნობი... ნუ აჩქარდები... პატარა ამბავი
არ არის... ყამირზე პიესა, კიდევ მეტი
თანამედროვეობა შეიტანე, მეტი იდეურო-
ბა...

- მეტი რალა უნდა იყოს, მაინც
როდის უნდა წარმოგიდგინოთ გასწორე-
ბული ვარიანტი?

- სამი, ოთხი თვის შემდეგ... რა
გეჩქარება... თუ გინდა, ექვსი თვის
შემდეგაც იყოს...

ბატონმა დოდომ იგრძნო, რომ ოთარს
არ ესაიამოვნა პიესის დადგმის საკითხი
ასე შორს რომ გადაუდეს.

- კი, ბატონო, თუ გინდათ, სვალვე
მოიტანეთ... მაგრამ თქვენ სერიოზული
მწერალი ხართ... რა საჭიროა აჩქარე-
ბა?...

- კი, ბატონო, ვიმუშავებ, ვნახოთ,
რა დრო დამჭირდება...

- აგრე სჯობია! ვასო, თათბირი
გვეწყება, არა?...

დიახ!...

ოთარი კმაყოფილი წავიდა.

- ეს რა ჰქენით, ბატონო დოდო?!...
დოდოს აუტყდა სიცილი.

- ბიჭო, სულ დამავეინყდა, რა პიე-
საზე იყო საუბარი... ხომ კარგად გამ-
ოვძვერით?.. ან ალარ მოვა... თუ მოვა,
რალაცას მოვიფიქრებთ... ვინ იცის, შეი-
ძლება დაწეროს კიდევ...

გავიდა ორი თუ სამი თვე და
ბატონმა ოთარ ჩიჯავაძემ ისევ მოგვა-
კითხა თავისი პიესით. წავიკითხე, პიე-
სის ახალი ვარიანტი ცოტათი უკეთესი
იყო. ბატონ დოდოს ვუთხარი ჩემი
აზრი. მეორე დღეს კომკავშირის ცეკა-
ში თათბირი გაიმართა, რომელმაც
მოუნოდა შემოქმედებით ინტელიგენციას
თავიანთ ნაწარმოებებში აესახათ
ქართველების მონანილეობა ყამირის
ათვისებაში. ყამირზე ხომ ასობით ქართვე-
ლი ახალგაზრდა მუშაობდა. გაიშალა
დიდი პროპაგანდისტული მუშაობა. კულ-

ტურის სამინისტროშიც ჩატარდა თათ-
ბირი. ბატონმა დოდომ უცებ თავის
მოსაწონებლად წამოიძახა:

- რუსთაველის თეატრი უკვე მუშაობს
ყამირის თემაზე!...

კომკავშირის ცეკას პასუხისმგებელმა
პირმა მაღალი შეფასება მისცა ბატონ
დოდოს იმპულსურ განცხადებას.

- ჩვენ აღტაცებულნი ვართ ბატონი
დოდოს განცხადებით. რუსთაველის
თეატრში ყამირის თემაზე პიესის დადგმა
დიდი მოვლენა იქნება, მთელ საბჭოთა
კავშირში გახმაურდება.

ბატონი დოდო ბავშვით გახარე-
ბული დაბრუნდა თეატრში.

- ვასო, მე თათბირს პირობა მივე-
ცი, რომ ყამირის თემაზე დავდგამთ
პიესას. აღტაცებულნი შეხვდნენ ჩემს
აზრს. ნუთუ, არაფერი გამოვა ამ
პიესიდან? მე წავიკითხავ და რამეს
მოვიფიქრებ...

ბატონი დოდო უსაზღვროდ დიდი
ფანტაზიის რეჟისორი იყო. მართლაც
დაიწყო ოთარ ჩიჯავაძის პიესაზე მუშაო-
ბა. რეპეტიციებზე ცეცხლს ანთებდა,
მაგრამ პიესაში არ იყო კონფლიქტი,
არ იყო ხასიათები, ამიტომ დოდომ
სანახაობებზე გადაიტანა მთელი ყურა-
დღება. სპექტაკლში შესანიშნავი ოს-
ტატი გ. გეგეჭკორიც მონანილეობდა,
მაგრამ ვერაფერ იხსნა სპექტაკლი. დად-
გა სპექტაკლის საჯარო განხილვის დღე.
ჩვენ მთელ იმედებს კომკავშირის ცეკას
მხარდაჭერაზე ვამყარებდით. ბოლოს და
ბოლოს ერთი ასეთი „მაღალიდეური“
სპექტაკლი საშუალებას გვაძლევდა რეპ-
ერტუარი უფრო თავისუფლად შეგვედ-
გინა.

წარმოდგენის გასინჯვაზე მოვიდნენ
ზემდგომი პარტიული ორგანოების წარ-
მომადგენლები. მათ შორის კომკავშირის
ცეკას ხელმძღვანელები. დამთავრდა
წარმოდგენა, განსახილველად შევიკრი-
ბეთ დირექტორის კაბინეტში. სიტყვით
გამოვიდნენ კომკავშირის ცეკას წარმო-
მადგენლები და მკაცრად გააკრიტიკეს
წარმოდგენა.

- ჩვენ ქართველები ყამირზე ცეკვა-
სიმღერისათვის არ გაგვიზავნია, სცენაზე
ვინ არიან, რას აკეთებენ ყამირზე, ეს

არის ანტიპროპაგანდა...

დაახლოებით ასეთი იყო მათი აზრი. გადაირია ბატონი დოდო. აღელდა, არ ელოდა ასეთ შეფასებას.

- იცით, რა გითხრათ, მე თქვენი აზრი აღარ მაინტერესებს. სპექტაკლს ვხსნი, მეგონა, კარგ საქმეს ვაკეთებდი. არ გინდათ? კარგად იყავით, სპექტაკლი აღარ გავა. დიახ, დიახ, „სნიმუ სპექტაკლ“, - თქვა და გაცოფებული დაჯდა.

განხილვის მონაწილენი არ ელოდნენ ასეთ რეაქციას. სთხოვეს, რომ აზრი შეეცვალა, რადგან წარმოდგენის მოხსნა სკანდალი იქნებოდა. „ყამირის თემა“ ჩავარდაო — იტყოდნენ და ეს ამბავი ფართოდ გახმაურდებოდა.

წარმოდგენა წავიდა, მაგრამ მაცურებელი არ ჰყავდა და რეპერტუარს ვერ შერჩა.

ბატონი დოდო ძალიან იმპულსური კაცი იყო. უცებ შეეძლო საოცარი რეაქცია მიეცა მოვლენისათვის. მაგონდება ასეთი შემთხვევა:

მაშინ კულტურის მინისტრი გახლდათ დავით ჩხიკვიშვილი. პატრიოტი და ვაჟკაცური ბუნების კაცი დიდ პატივს სცემდა დოდოს. „ჰამლეტის“ პრემიერაა. დოდო ნერვიულობს, ადგილზე ვერ ჩერდება, თავის კაბინეტში წრიალებს. პირველი მოქმედების შემდეგ მის კაბინეტში შევედით ახლობლები. სპექტაკლი კარგად მიდის — ვამხნევევებთ ბატონ დოდოს. მეორე მოქმედების შემდეგ, შესვენებაზე ვილაცამ დოდოს უთხრა, ჩხიკვიშვილს სპექტაკლი არ მოსწონსო. ამ დროს შევედი დოდოსთან, გაცოფებული ყვირის:

- მე გავალ ახლა და ჩხიკვიშვილს გავარტყამ... „პადლეც“... ვინ არის ეგ ... ოხ... მაგის...

- რას ამბობ, ვინ გითხრა, ტყუილია!..

- არა, არა, ტყუილად მამშვიდებ! — წამოხტა და კარებისაკენ წავიდა. ჩავდექი კარებში

- არ გაგიშვებ, დანყნარდი — ვეუბნები, არაფერი ჭრის.

ამასობაში დაიწყო მესამე მოქმედება. მე ვაქებ და ვადიდებ სპექტაკლს.

ხომ ვიცი მისი ხასიათი, ცოტა დამშვიდდა.

„ვკანცე-კანცოვ“ შენი აზრი უფრო მნიშვნელოვანი არ არის? ვინ მიგდია ჩხიკვიშვილი? „პადუმაეშ“...

ანტრაქტში ვნახე ბატონი დავითი და ვუთხარი, რომ დოდო აღელვებულა, ვილაცას ამბავი მოუტანია, თითქოს სპექტაკლს აგინებდით. როცა წარმოდგენა დამთავრდება, ძალიან გთხოვთ დაამშვიდოთ.

- ვასო, სერიოზული ნამუშევარია, მაგრამ აღფრთოვანებული არ ვარ!..

- ძალიან გთხოვთ, პრემიერაზე შენიშვნას ნუ ეტყვით.

დამთავრდა წარმოდგენა. ბატონი დავით ჩხიკვიშვილი დოდოს კაბინეტში გაღიმებული შემოვიდა.

- დოდო, ეს რა სერიოზული სპექტაკლი დაგიდგამს!..

დოდო უცებ შეიცვალა, გადაირია სიხარულით, გადაეხვია დავითს.

- დავით, შენ ჩემი ძმა ხარ! ჩვენ მტრებს უნდათ, რომ დაგვაპირისპირონ... ფრთხილად ვიყოთ, არ გამოუვათ...

დავითი მიყურებს და იცინის.

„ჰამლეტის“ დადგმის შემდეგ გავიდა ორი კვირა. წარმოდგენა არ იყო სიახლით გამორჩეული, მაგრამ მაინც ანშლაგებით მიდიოდა (70 ანშლაგი ჰქონდა!). ვიფიქრე, რომ საკმარისი დრო გავიდა პრემიერის შემდეგ და უკვე შეიძლებოდა სიმართლის თქმა. შევედი დოდოს კაბინეტში:

- ბატონო დოდო! „ჰამლეტი“ მაინცა და მაინც არ გამოვიდა...

- ვასო, იცი რა კარგი პიესაა?!..

- პიესა კარგია, მაგრამ სპექტაკლი?...

დოდოს სახეზე სინითლემ გადაჰკრა, მივხვდი, რომ ცოტა აწქარდი, ჯერ არ ჰქონდა მონელებული საშუალო სპექტაკლის ტკივილი. ამიტომ უცებ შევიცვალე პოზიცია.

- არა, ბევრი რამ ისეთ დონეზეა, მარჯანიშვილის „ჰამლეტშიც“ რომ არ იყო — დამაჯერებლად ვთქვი ტყუილი, დოდოს გუნება გამოუკეთდა.

სიტყვას მაგიური ძალა აქვს. გინდა კაცს მოკლავ, გინდა — აცოცხლებ.

პირველი იყო სიტყვაო, შემთხვევით არ არის ნათქვამი. სიტყვით მკურნალობა შეიძლება, სიტყვით შეიძლება ადამიანი მოსპო, გაანადგურო. განსაკუთრებით შესამჩნევია სიტყვის ძალა იმპულსური ადამიანების მაგალითზე.

გალაკტიონი მოდის!..

მწერალთა კავშირის პატარა ბაღი დიდ შთაგონებას იტევდა. აქ დადიოდნენ ქართული პოეზიის მუზები. ვის არ შეხვდებოდით ბაღში. მე ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდა ვიყავი, სიტყვებში ლექსებსაც ვწერდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, უნიჭოდ. პოეზია კი მუდამ მიყვარდა. განსაკუთრებით ბარათაშვილი და გალაკტიონი.

ჩემი ახალგაზრდობის წლებში თბილისში ლიტერატურული ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. მწერალთა ბაღში მისვლა მიყვარდა. ხშირად დავდიოდი. ვხედავდი მწერლებს, ზოგი ნარდს თამაშობდა, ზოგი წყვილ-წყვილად სეირნობდა და საუბრობდა. არაჩვეულებრივი სიჩუმე იდგა, „ხიდან ხეზე გადაფრინდებოდა ჩიტი“, აქა-იქ ისმოდა ფრინველთა ხმა. ამ ბაღში თითქოს უკეთ შეიგრძნობდით თითოეული მწერლის ხმის ინტონაციას, საუბრის მანერას...

ნამდვილად ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში!..

ერთ დღესაც ჩვეულებრივ შევიარე მწერალთა კავშირში. ბაღში გავედი. დავინახე, დავით გაჩეჩილაძე და კოლაუ ნადირაძე ნარდს თამაშობდნენ. ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) ვიდაცას ეკამათებოდა. ვერ ვიცანი, ვინ იყო. დათიკოსა და კოლაუს კარგად ვიცნობდი, მივესალმე, მაგრამ ისე იყვნენ თამაშის ეშში შესული, რომ ყურადღება არ მოუქცევიათ ჩემთვის. ისე, სასხვათაშორისოდ მიპასუხეს და თამაში განაგრძეს.

- ხომ იცი, ვასო, ნარდში ჩემი მომრევი არავინ არის! — ნაიტრაბახა ბატონმა დავითმა. კოლაუმ შემომხედა და კეთილად გამიღიმა, თითქოს მაგრძობინა, რას ტრაბახობს ეს ჩვენი დავითო.

ბაღში ახალგაზრდა შემოვიდა, მაშინ მას არ ვიცნობდი, მერე გავიცანი, კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე იყო. დაიძახა: გალაკტიონი მოდის!.. მართლაც, ორი-ოდე წუთის შემდეგ ეზოში შემოვიდა გალაკტიონი, დავით გაჩეჩილაძე და კოლაუ ნადირაძე ფეხზე ადგომით შეეგებნენ გალაკტიონს:

- ნარდი... დარდი... ნარდი... დარდი... — ღიმილით თქვა გალაკტიონმა და საოცარი კმაყოფილებით მოისვა წვერებზე ხელი.

- ბატონო გალაკტიონ, ნარდი მართლაც, დარდის წამალია, - შეაგება სიტყვა დავით გაჩეჩილაძემ.

გალაკტიონმა დავითს მხარზე ხელი დაადო და რაღაც უცნაური ღიმილით და თან თითქოს საუბარს აგრძელებსო, ჰკითხა:

- დათიკო, ძამია, რაო ბესიამ (ჟღენტი-მა), გალაკტიონი პირველი პოეტიაო?!..

- მაგას რათ უნდა ბესოს თქმა...

- არა, მაინც სად გამოსულა, შენ გეცოდინება...

- სახლში, სტუმრად ჰყოლია პოეტები...

- რომელი პოეტები?!..

- გოგლა ლეონიძე, ირაკლი — (აბაშიძე), სიმონი (ჩიქოვანი), სხვებიც ყოფილან...

- მეტი არაფერი უთქვამს?!..

- ალბათ, სხვა რამეც ითქმებოდა, ისე ხომ არ იქნებოდა...

- ბესოსთან იკრიბებით, არა?...

დავით გაჩეჩილაძე გალაკტიონს აღმერთებდა, იცოდა მისი ბავშვური ხასიათი და ასეთი ჩაცვიების მიზეზსაც მიუხვდა.

- ასე მითხრეს, შენი სადღეგრძელო ხაზგასმით დაუღვევია ბესოს.

- მართლა თუ?!..

- ნამდვილად, ასე საგანგებოდ!..

კოლაუ ნადირაძე ისე მორიდებით გაეცალა გალაკტიონისა და დავით გაჩეჩილაძის საუბარს, რომ არც შემიმჩნევია, იმდენად გატაცებით ვუსმენდი გალაკტიონს. პირდაპირ ურცხვად ვიდექი იქვე... გალაკტიონს არც ჩემთვის მოუქცევია ყურადღება. დათიკომ მაგრძობინა, რომ სადღეგრძელოს ამბავი მისი

მოგონილი იყო.

- მერე, მერე... რაო კიდევ?..

- ბატონო გალაკტიონ, ბესო სხვას რას იტყოდა, სიმართლეს ყველა ხედავს...

- ეგ არ თქვა, ძამიკო, სიმართლის დანახვა ყველას არ შეუძლია... სიმართლეს მხოლოდ ერთეულები ხედავენ...

არ ვიცი, გალაკტიონი რას გულისხმობდა, მაგრამ მახსოვს, 50-იან წლებში სკოლებში დისკუსიები იმართებოდა — გალაკტიონი თუ გრიშაშვილი. მეც დავსწრებივარ ასეთ დისკუსიას, ერთხანს გოგლასაც უპირისპირდებოდნენ. გალაკტიონმა ყველაფერი ეს იცოდა. თავის დღიურში იქნებ ამიტომაც ჩაუნერია გრიშაშვილზე ირონიული ფრაზა: სახალხო პოეტი შემხვდა და მითხრა: გალაკტიონ! იმ „სტოლბასთან“.. „სტოლბა“?!...

ამას ამბობდა სახალხო პოეტი! — შენიშნავს გალაკტიონი.

სხვა მინიშნებაც აქვს გაკეთებული...

სიმართლე ვის ესმისო, რომ თქვა, სახე მოელუშა, თითქოს სინათლე მოაკლდა მის ფართო შუბლს. დავით გაჩეჩილაძეს მხარზე ხელი დაადო მოფერებით და გატრიალდა. ბალიდან გავიდა ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა, მწერალთა კავშირშიც ხანდახან შეიხედებოდა ხოლმე. ცოტა ხანს გაჩერდებოდა და ნავიდოდა, მისი ადგილი სულ სხვა გალაქტიკაში იყო, - ახალი და დიდი პოეზიის გალაქტიკაში, სადაც ვარსკვლავებივით ანათებდნენ მისი ლექსები...

* * *

1956 წლის 28 თებერვალს რუსთაველის თეატრში გაიმართა სამხატვრო საბჭოს სხდომა. მე საბჭოს მდივნის ფუნქციას ვასრულებდი. მაინც დამინერია 30 გვერდიანი ოქმი. საბჭოს სხდომა დიდხანს გაგრძელდა. განხილული იქნა სამი საკითხი: 1. დეკადისათვის

მზადება. 2. 1956 წლის მეორე ნახევრის რეპერტუარი. 3. თეატრის მხატვრული გეზისა და სარეპერტუარო პოლიტიკის საკითხი. სხდომაზე ცხარე პოლემიკა გაიმართა. ერთმანეთს შეეკამათნენ ა. ხორავა და მ. თუმანიშვილი. მიშას თითქოს ღიად, პირდაპირ არაფერი უთქვამს ხორავასა და ვასაძის სანინალმდეგო, მაგრამ მაინც ხაზგასმით განაცხადა: „მე დავდგამ ისე, როგორც მესმის, მე არავითარი მოხსენების გაკეთება არ შემიძლია, ჩვენი გარდაქმნა მოხსენებებზე არ შეიძლება“. ეს იყო პასუხი ხორავას მოთხოვნაზე — თქვით რა მიმართულებით გინდათ თეატრის განვითარებაო. აკაკი ხორავამ განაცხადა: „მე თეატრის იდეოლოგი არასოდეს არ ვყოფილვარ. მე პრაქტიკოსი ვიყავი. წინააღმდეგი ვარ სტილის აღრევისა, ნატურალიზმისა. გთხოვთ გამოიყენოთ ის, რაც თეატრს საუკეთესო ჰქონდა. ნუთუ, თქვენ ეს არ გაინტერესებთ? უამრავი მასალა არსებობს, ჩაუჯექით, შეისწავლეთ ახალგაზრდებმა“...

საბჭოს სხდომაზე აშკარად იგრძნობოდა თაობათა დაპირისპირება, თეატრი იწყებდა ახალ სუნთქვას, ეძებდა განახლებისათვის გზებს.

ა. ხორავა და ა. ვასაძე უკვე განთავისუფლებულნი იყვნენ თანამდებობიდან. ბოლო წლებში აკაკი ხორავა (ვასაძე ქუთაისში წავიდა სამუშაოდ) თავის რუსთაველის თეატრში სრულიად უსაქმოდ იყო.

ერთ დღეს აკაკი ხორავა თეატრში მოვიდა ხელფასის მისაღებად. ყურში ახლაც ჩამესმის ორიოდე ახალგაზრდა მსახიობის ხმა ფოიეში:

- ჩვენ ვმუშაობთ, ის კი კარგ ხელფასს იღებს!...

ნეტავ, აქვს საზღვარი ადამიანის დაცემას?!

(გაგრძელება იქნება)

ლილი ლომთათიძის ხსოვნას

როდესაც ჩვენგან მოულოდნელად მიდის ადამიანი, რომელთანაც თითქმის მთელი შენი შეგნებული ცხოვრებაა დაკავშირებული, ძალიან ძნელია ბოლომდე გააცნობიერო ვინ წავიდა, ვინ აღარ იქნება...



ჩემი თაობის თეატრის მკვლევართა ცხოვრებაში ლილი ლომთათიძე შემოვიდა მაშინ, როცა ის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი გახდა. არ იყო მაშინ საგამომცემლო საქმე ადვილი. მიუხედავად ამისა, სწორედ იმ წლებში, ლილის განსაცვიფრებელი ენერჯისა და თავდადების წყალობით, საუკეთესო პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა შესანიშნავი ალბომები და მონოგრაფიები საქართველოს თეატრებზე, მსახიობებზე, რეჟისორებზე, თეატრის მხატვრებზე, უიშვიათესი ნიმუში საყმანვილო თეატრალური ლიტერატურისა „თეატრის სამყაროში“...

საქართველოს თეატრებზე, მსახიობებზე, რეჟისორებზე, თეატრის მხატვრებზე, უიშვიათესი ნიმუში საყმანვილო თეატრალური ლიტერატურისა „თეატრის სამყაროში“...

ვფიქრობ, ეს არასრული ჩამონათვალიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი იყოს თუ როგორი მეგობარი დაკარგა ქართულმა თეატრმა. მისმა ახლობლებმა კი ადამიანი, ვისი იმედიც ყოველთვის ჰქონდათ...

მოვა დრო და მეტს გავიხსენებთ... მეტად ვიგრძნობთ უიმისობას.

ნათელა ურუშაძე

ლილი ლომთათიძეს თავგადაკლული მეგობრობა შეეძლო. იმდენად მტკიცე იყო მისი მეგობრობა, რომ პიროვნებას თუ მიიღებდა, აიდეალებდა, ბოლომდე ენდობოდა, ტენდენციურიც კი ხდებოდა (ბევრჯერ ჰქონია ამის გამო მწვავე პაექრობა).

ლილი ლომთათიძე საყვარელი ძმის სიკვდილის შემდეგ ვაჟკაცურად უძღვებოდა ოჯახს, ძმისშვილებს ხომ გადაგებული იყო. მისი მოღვაწეობა საგამომცემლო საქმიანობას ეხებოდა და იმ დროისათვის მეტად მძიმე ტვირთს ეწეოდა: როცა წიგნის გამოცემა ლიმიტირებული იყო, ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამდი, საჭირო ქაღალდის მოპოვება და პოლიგრაფიული ბაზა მეტად რთული გახლდათ. ლილი ლომთათიძე — გამომცემლის ნიჭიერების წყალობით „საქართველოს თეატრალური საზოგადოების“ გრიფით ქართული თეატრალური ლიტერატურა მრავალი წიგნითა თუ ალბომით გამდიდრდა. თავადაც შეადგინა შესანიშნავი კრებული-ალბომი „პეტრე ოცხელი“. იგი რამდენიმე საინტერესო გამოფენის მოთავე იყო.

ლილი ლომთათიძეს მეგობართა დიდი წრე ჰყავდა: გამოჩენილი მხატვრები, მსახიობები, კულტურის მოღვაწენი... ამიტომაც ამშვენებდა მისი გემოვნებით მონყობილ ბინას ნათელა იანქოშვილის სურათები, ირაკლი გამრეკელის ფერწერული ტილო „იასამნები“ (ელენე გამრეკელის საჩუქარი) და ნანა ბოტკოველის კერამიკა. მრავალი წიგნი ცნობილ ავტორთა სამახსოვრო ავტოგრაფებით.

მედიდური გამოხედვით, ოქროსფერი გაშლილი თმით, დიდრონი ზღვისფერი თვალებით — ასეთი დარჩება ჩვენს ხსოვნაში ლილი ლომთათიძე.

კოტე ნინიკაშვილი

გარეგანი პირულ გვერდი:

სცენა თბილისის სამეფო უბნის თეატრის სპექტაკლიდან
„ნუგზარი და მეფისტოფელი“

გარეგანი პირთა გვერდი:

თბილისის თეატრების რუკა
(რუკა შეადგინეს თეატრალური უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა)

**„თეატრი და სოციალიზმი“
“ТЕАТР И ЖИЗНЬ”
“THEATRE AND LIFE”
№ 3, 2004.**

ტექნიკური რედაქტორი
ნელი თვაური

კორექტორი
მარინე ვასაძე

ფასი სახელშეკრულებო
რედაქციის მისამართი: თბილისი-380007, გ.ლეონიძის ქ. №11-ა.
ტელ.: 99-90-96

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „გლობალ პრინტი“
დაიბეჭდა გამომცემლობა „საარში“

F567
2004



თუაშვილი
და
ცნობები
3
2004